

# არსენალი

12 (55). 13 – 26 ივნისი. 2008. „კვირის პალიტრა“. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი



აქართველოს ცაში
ხალი
ვეულმფრენები
ამოჩნდნენ

1425
2008

ინ აიარაღებს
ეპარატისტებს

ველაზე
ბეზარი მტერი

ფხაზური დეზინფორმაცია:
ვიდი სამის მაგიერ...

ტამპლიერები
„უქონელთა“
უმდიდრესი
ორდენი



სამი და არა შვიდი...
6



ქართულ ცაში ორძრავიანი „იროკეზები“ გამოჩნდნენ
10



23
უნივერსალური ჯარისკაცი

ავღანეთის ცხელ ცაში...
30

ტამპლიერები – „უქონელთა“ უმდიდრესი ორდენი
39





ქართველები ფრენას სწავლობენ
42



უცნაური, მაგრამ ევოლუციური
54

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 უცხოური ამბები

**სინამდვილე**

6 სამი და არა, შვიდი...

**რეპორტაჟი სწავლებიდან**

7 სასწავლო ცენტრი „კრწანისი" კურსანტებს ბევრ სიახლეს სთავაზობს

**ახალი შენაძენი**

10 ქართულ ცაში ორძრავიანი „იროკეზები" გამოჩნდნენ

**სამეზობლო**

11 რაზე იხარჯება აზერბაიჯანის სამხედრო ბიუჯეტი

**ექსკლუზიური რეპორტაჟი**

14 ვინ აიარაღებს აფხაზ სეპარატისტებს

**სპეცსამსახურები**

17 როგორ იცავენ პრეზიდენტებს

**სპეცსამსახურები**

21 მსტოვრობის ისტორია საქართველოში

**იარაღი**

23 „უნივერსალური ჯარისკაცი"

**ომგამოვლილი**

30 ავღანეთის ცხელ ცაში...

**გამოჩენილი მხედართმთავრები**

36 VENI, VIDI, VICI

**ლეგენდები და მითები**

39 ტამპლიერები - „უქონელთა" უმდიდრესი ორდენი

**ოფიციალური გვერდი**

42 ქართველები ფრენას სწავლობენ

**„უხილავი ფრონტი"**

44 მტერი, რომელიც მწარედ იკბინება

**ომგამოვლილები**

47 ნაცნობი-უცნობი ყარაბაღის ომი

**ფლოტი**

50 ვენეციის ფლოტის ისტორია

**კროსვორდი**

53 არსენალვორდი

**„არსენალის" იარაღის მაღაზია**

54 **Kriss Super** - უცნაური, მაგრამ ევოლუციური


## რედაქტორის სვეტი

ერთ თვეში სამი დაღუპული ქართველი სამხედრო ძალზე მტკივნეულად აღსაქმელია. ერაყში 2003 წლის ზაფხულიდან 2007 წლის შემოდგომამდე არავინ დაგვღუპვია, თუმც, მძიმედ დაჭრილები გვყავდა...

ღმერთი გვიფარავდა. კოალიციის სხვა წარმომადგენლები ხანდახან თავს ვერ იკავებდნენ და დაუფარავი შურით ამბობდნენ, — ჩვენ ყოველ კვირას ორ-სამ ჯარისკაცს მაინც გვიკლავენ, თქვენ ვინ ხართ ასეთები ქართველები, რომ ტერორისტების ბომბებს ყოველთვის ცოცხალი გადაურჩებით ხოლმეო.

სამწუხაროდ, სიტუაცია ტრაგიკულისკენ შეიცვალა. ერაყში ტერორისტების მოქმედება ძლიერდება, რაც უფრო რთულსა და სახიფათოს გახდის იქ ქართველი სამხედროების მოქმედებას.

„არსენალი" თანაუგრძნობს ერაყში საბრძოლო დავალების შესრულების დროს დაღუპული ირაკლი კორძაიას, გიორგი მარგიევისა და ზურაბ გვენეტაძის ოჯახებს.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

ყურადღება!
გამოიწერეთ
„არსენალი"
და მიიღეთ შინ,
თვეში ორჯერ!
ტელ: 42-43-40;
38-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში


გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
**email: arsenali@kvirispalitra.com**
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბერძნეთმა ახალი „ლეოპარდები" მიიღო




საბერძნეთის სახმელეთო ჯარების შეიარაღებაში შევიდა 170 ძირითადი საბრძოლო ტანკები LEOPARD 2A6 HELL, რომლებიც გერმანულმა კომპანია KRAUSS-MAFFEI WEGMANN-მა (KMW) ააწყო შეკვეთით. ამ შემთხვევის გამო ოფიციალური ცერემონია საბერძნეთის ქალაქ ქსანთიში შედგა. შემდეგი თაობის ტანკი საბერძნეთის სახმელეთო ჯარებისათვის 2002 წელს შეარჩიეს ტენდერის შედეგად. 1,7 მლრდ ევროდ ღირებულ კონტრაქტს KMW-თან ხელი წელიწადის მოგვიანებით მოეწერა. გარდა „ლეოპარდებისა" საბერძნეთმა შეუკვეთა 12 შეჯავშნული სარემონტო-საევაკუაციო მანქანა BUFFEL-ი, 8 შეჯავშნული ხიდგამდები LEGUAN-ი, ასევე ტრენაჟორები და საბრძოლო სიტუაციების მოდელირების ცენტრი. კონტრაქტის პირობების შესაბამისად, 140 ახალი ტანკის აწყობა საბერძნეთის საწარმოებში მიმდინარეობს. პირველი LEOPARD 2A6 HELL-ი საბერძნეთში გამოსაცდელად 2005 წლის ოქტომბერში ჩაიტანეს. მთლიან შეკვეთას შემკვეთს 2009 წლის ბოლომდე გადასცემენ. ამჟამად გერმანიასა და საბერძნეთში 90-ზე მეტი ძირითადი საბრძოლო ტანკია აწყობილი. ექსპერტთა შეფასებით, ახალი თაობის ბერძნული ტანკი „ლეოპარდის" ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ვერსიაა. მის შეიარაღებაშია 120მმ კალიბრის სტაბილიზებული გლუვლულიანი ქვემეხი, 7,62 მმ კალიბრის ტყვიამფრქვევი და დიდი სიშორის სითბოვიზურსამიზნიანი ცეცხლის მართვის ციფრული სისტემა. 1500 ცხ.ძ.-ის სიმძლავრის დიზელის ძრავა ტანკს საშუალებას აძლევს საათში 72 კმ-მდე სიჩქარე განავითაროს.

# რუსული შვეულმფრენები ვენესუელაში



რუსეთმა დაამთავრა ვენესუელისთვის შვეულმფრენების მიწოდება, რომლებიც ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ქვეყნის საარმიო ავიაციისთვის შეუკვეთა. ამჟამად ვენესუელის სახმელეთო ჯარების შეიარაღებაშია 10 დამრტყმელი შვეულმფრენი Ми-35М2, 3 მძიმე სატრანსპორტო Ми-26Т2 და 20 სატრანსპორტო-საბრძოლო Ми-17. გარდა ამისა, ორი შვეულმფრენი Ми-17V5 ვიპ-კომპლექტაციაში გადაეცა ვენესუელის სამხედრო-საჰაერო ძალების მე-4 ავიაჯგუფს, რომელიც კარაკასშია დისლოცირებული. კიდევ 6 Ми-17 შეკვეთილია მე-9 სატრანსპორტო ავიაჯგუფისათვის, რომელიც შტატ ამაზონასის დედაქალაქში – პუერტო-აიაკუჩოშია დისლოცირებული. რუსული შვეულმფრენები მწვანე ფერის სამი ტონის კომბინაციით შექმნილი ფერით არის შეღებილი. ვენესუელა მე-11 სახელმწიფოა მსოფლიოში და მეორე ლათინურ ამერიკაში (პერუს შემდეგ), რომელსაც მძიმე სატრანსპორტო შვეულმფრენები Ми-26-ები ჰყავს. რუსულმა Ми-35М2-მა ვენესუელაში მიიღო აღნიშვნა – CARIBE. უახლოეს მომავალში უგო ჩავესს განზრახული აქვს რუსული შვეულმფრენების შესყიდვა 10 წელზე გათვლილი საარმიო ავიაციის განვითარების სტრატეგიის ჩარჩოებში. კერძოდ, ჩამოყალიბდება ერთი საშვეულმფრენო ესკადრილია, რომელიც ბაზირებული იქნება ქალაქ ბარინ□ასში. როგორც ცნობილია, ვენესუელას დაგეგმილი ჰქონდა აგრეთვე ახალი დამრტყმელი შვეულმფრენ Ми-28НЭ „ნოჩნოი ოხოტნიკების" შესყიდვაც.

# ამერიკელები ახალ ქარხანას აშენებენ

კომპანია BAE SYSTEMS-ის ამერიკული ქვედანაყოფი მალე შეუდგება თვითმავალი საარტილერიო დანადგარების NLOS-C (NON-LINE OF SIGHT CANNON)-ების გამომშვები ქარხნის მშენებლობას, რომლებიც შემუშავდა პენტაგონის პროგრამა „მომავლის საბრძოლო სისტემები" (FCS) ფარგლებში. ქარხანა აშენდება სამრეწველო ზონაში, აშშ-ის არმიის საარტილერიო ცენტრ ფორტ-სილის ახლოს. გეგმის მიხედვით, ქარხანა მუშაობას 2008 წლის აგვისტოს შეუდგება. NLOS-C-ების გამოშვების გარდა, ახალ საწარმოში აშშ-ის არმიის შეიარაღებაში არსებული თვითმავალი ჰაუბიცა M109 PALADIN-იც გაივლის მოდერნიზაციას. „პალადინების" სრულყოფილი ვერსიების შექმნის თაობაზე კონტრაქტი ახლახან დაიდო. გასულ კვირას კი კომპანია BAE SYSTEMS-მა აშშ-ის არმიის მეთაურობას წარუდგინა NLOS-C-ს პირველი სრულფუნქციური პროტოტიპი. თვითმავალი ჰაუბიცების შეიარაღებაში მიღება 2010 წლისთვის არის დაგეგმილი.



პარლამენტის ბიბლიოთეკა

# აშშ ინდოეთს ავიამზიდს არ მიჰყიდის

„აშშ არ აპირებს ინდოეთისთვის ავიამზიდის მიყიდვას, — განაცხადა პენტაგონის ხელმძღვანელმა რობერტ გეიტსმა, რომელიც სინგაპურში გამართულ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა ფორუმში მონაწილეობდა, — ამის თაობაზე ჩემთვის არაფერია ცნობილი“, — ლაკონიურად მოუჭრა გეიტსმა ჟურნალისტებს ბოლო დროს ინდური საინფორმაციო საშუალებებით მსოფლიოში გავრცელებული ინფორმაციის საპასუხოდ, თითქოს აშშ „მცურავი აეროდრომის“ ინდოეთისთვის მიყიდვას აპირებს. დამრტყმელი ავიამზიდი „კიტი ჰოკი“ შეიარაღებაში 47 წლის წინ მიიღეს. ახლა ის ამ კლასის ყველაზე „ხანდაზმული“ გემია. მისი მუდმივი ბაზირების ადგილია აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ბაზა იაპონიაში, იოკოსუკიში. ახლახან „კიტი ჰოკი“ თავის უკანასკნელ ლაშქრობაში გავიდა — ამერიკის სანაპიროსკენ აიღო გეზი. მომავალ წელს ავიამზიდს ჯართად დაჭრიან. არცთუ დიდი ხნის წინ დასავლეთის პრესა გამოთქვამდა ვარაუდს, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ინდოეთს საჩუქარს უმზადებს „კიტი ჰოკის“ სახით. ამის სანაცვლოდ, ვაშინგტონი ინდოეთს შესთავაზებს თავისი სამხედრო-საზღვაო ძალებისთვის 65 უახლესი საგემბანო გამანადგურებლები F/A-18E/F იყიდოს. ამ გარიგების რეალიზების შემთხვევაში, როგორც ერთი დასავლური გაზეთი წერს, „ინდოეთ-რუსეთის მეგობრობის ტორპედირება მოხდებოდა“, — ინდოეთი იძულებული გახდებოდა, უარი ეთქვა მძიმე ავიამზიდ კრეისერ „ადმირალ გორშკოვზე“. ეს ავიამზიდი ამჟამად მოდერნიზაციას გადის და მალე სახელწოდებით „ვიკრამადიტია“ ინდოეთის სამხედრო ფლოტის შეიარაღებაში შევა.



# LOCKHEED MARTIN-მა ახალი შეკვეთა მიიღო

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა გამანადგურებელ F-16 BLOCK 52-ების მიწოდებაზე მაროკოსთან დადებული შეთანხმების ფარგლებში კომპანია LOCKHEED MARTIN-თან პირველი კონტრაქტი გააფორმა. მისი ღირებულება 233,6 მლნ დოლარს შეადგენს. 2007 წლის დეკემბერში, ამერიკული კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, პენტაგონმა აშშ-ის კონგრესს შეატყობინა მაროკოში დაახლოებით 2,4 მლრდ დოლარის ღირებულების 24 გამანადგურებლის, მათი შეიარაღებისა და აღჭურვილობის შესახებ მიწოდების გეგმის შესახებ. მაროკოს შეკვეთა, რომლის მოპოვებისთვის იბრძოდა ასევე ფრანგული კომპანია DASSAULT-ი, მეტად დროული გამოდგა LOCKHEED MARTIN-ისთვის, რომელიც გასულ წელს იძულებული შეიქნა, მკვეთრად შეემცირებინა საექსპორტო კონტრაქტების რაოდენობა. შეკვეთების საერთო პორტფელის გაზრდამ 125 გამანადგურებლით ამერიკელებს საშუალება მისცა ამწყობი ხაზი 2011 წლამდე დაეტვირთათ. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის მაისში აშშ-მა ასევე შესთავაზა 48 გამანადგურებელი F-16 რუმინეთს, მათ შორის 24 ახალი BLOCK50/52.

# პენტაგონმა პირველი საბრძოლო რობოტი მიიღო





კომპანია FOSTER-MILLER-მა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს პირველი საბრძოლო რობოტი MAARS-ი (MODULAR ADVANCED ARMED ROBOTIC SYSTEM) მიაწოდა, რომელიც შეიძლება აღიჭურვოს ზემოქმედების მომაკვდინებელი და არამომაკვდინებელი სისტემებით. ახალი დისტანციური მართვადი აპარატი მუხლუხებიანი შასის ბაზაზეა შექმნილი, რაც ოღროჩოღრო ადგილებში მაღალ გამავლობას უზრუნველყოფს. რობოტის მაქსიმალური სიჩქარე საათში 12 კილომეტრს უდრის. ჩქაროსნული მახასიათებლების ასამაღლებლად შეიძლება მუხლუხები ბორბლებით შეიცვალოს. რობოტი აღჭურვილია თანამგზავრული ნავიგაციით, ოპტიკური და ინფრაწითელი გადამცემებით, ლაზერული მანძილსაზომებით, ასევე, კავშირისა და ინფორმაციის გაცვლის საშუალებებით. ეს რობოტის ოპერატორიდან კილომეტრის დაშორებით გამოყენების საშუალებას იძლევა. Maars-ის მბრუნავ კოშკურაზე შეიძლება დაყენდეს 7,62მმ კალიბრის ტყვიამფრქვევი M240B და 40მმ კალიბრის გამშვები დანადგარი მსხვრევად-ფუგასური, კვამლის, მანათობელი ან ცრემლსადენი ყუმბარებით ცეცხლის საწარმოებლად. რობოტის მოდულური კონსტრუქცია სხვა მოწყობილობის დამონტაჟების საშუალებასაც იძლევა. კერძოდ, ნაცვლად საბრძოლო სისტემებისა, აპარატზე შეიძლება დაყენდეს 45 კგ ტვირთამწევის მანიპულატორი ნაღმებისა და თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების გასაუვნებლად, ასევე, მხედველობისათვის უსაფრთხო ლაზერული გამომსხივებლები, მოწინააღმდეგის დროებით დასაბრმავებლად. უახლოეს მომავალში, ახალი რობოტის შეიარაღებაში მიწოდების მიზნით, დაგეგმილია მისი გამოცდის გაგრძელება სხვადასხვა პირობებში.

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამი და არა, შვიდი...

**რუსეთის საბრძოლო ავიაციამ და საზენიტო საშუალებებმა აფხაზეთის კონფლიქტის ზონის თავზე სამი ქართული უპილოტო „ჰერმესი“ ჩამოაგდეს და არა შვიდი, როგორც სეპარატისტული სოხუმი ამტკიცებს.**

აფხაზეთის სეპარატისტული დე ფაქტო ხელისუფლება კვლავ აგრძელებს მტკიცებას, თითქოს მათ შვიდი ქართული უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

მთელი მსოფლიო მოიარა ვიდეოკადრებმა, სადაც ძალზე კარგად ჩანს, როგორ უტევს და ესვრის „ჰაერი-ჰაერი“ კლასის Р-73 ტიპის სითბური დამიზნების მართვად რაკეტას ქართულ „ჰერმესს“ МиГ-29 ან Су-27 ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავი. ასეთი საბრძოლო თვითმფრინავები აფხაზეთის კონფლიქტის სიახლოვეს მხოლოდ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს ჰყავს შეიარაღებაში და ეჭვგარეშე ვიდეოკადრებზეც რუსული გამანადგურებელია აღბეჭდილი.

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედმა გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფმა UNOMIG-მა უკვე ჩაატარა დეტალური და ძალზე პროფესიონალური კვლევა და დაასკვნა, რომ 20 აპრილის ვიდეოკადრები არ არის დამონტაჟებული და იმ მომენტში ქართული „ჰერმესი“ მართლაც რუსული გამანადგურებლიდან გაშვებულმა რაკეტამ ჩამოაგდო.

დასკვნაში UNOMIG-ის ჯგუფი ერთ საინტერესო მიგნებასაც აკეთებს. კერძოდ, ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს კონფლიქტის ზონაში ჩამოგდებული „ჰერმესების“ ნაწილები და დაასკვნეს, რომ სულ მხოლოდ სამი ჩამოგდებული „ჰერმესის“ ფრაგმენტები არსებობს.

ის, რომ ჩვენ მართლაც მხოლოდ სამი „ჰერმესი“ დავკარგეთ, „არსენალმა“ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ იცოდა, მაგრამ მიზეზთა გამო ამ ინფორმაციის გამოქვეყნებისგან თავი შევიკავეთ.

ალბათ, ბევრს ეხსომება 4 მაისის კვირადღე, როდესაც სეპარატისტებმა ერთმანეთის მიყოლებით გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს ზედიზედ ორი ქართული „ჰერმესი“ ჩამოაგდეს. მერე 8 მაისს აყვირდნენ სოხუმელი სეპარატისტები კიდევ ერთი ქართული „ჰერმესის“ ჩამოგდების შესახებ.

არადა, არც 4 და არც 8 მაისს არც ერთი ქართული „ჰერმესი“ არ ჩამოუგდიათ. ძნელი სათქმელია, რა მოელანდათ სოხუმში, მაგრამ ეტყობა, ამ მითური ჩამოგდებების რიცხვის დამატებით მათ მიიღეს შვიდი ჩამოგდებული ქართული „ჰერმესი“.

სინამდვილეში, პირველი ქართული „ჰერმესი“ 18 მარტს ჩამოაგდეს. „არსენალის“ ინფორმაციით, ეს დაახლოებით ასეთი სცენარით მოხდა: ცაში ნელი სიჩქარით მფრენი „ჰერმესის“ ძებნა ჯერ აფხაზურმა სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავმა L-39 „ალბატროსმა“ დაიწყო, მაგრამ „ალბატროსის“ პილოტი პირში ჩალაგამოვლებული დარჩა, ვერ იპოვა „ჰერმესი“ და იძულებული შეიქნა, ბაბუშერის აეროპორტში დაბრუნებულიყო. თუმცა, თავად „ჰერმესის“ ვიდეოკამერამ დააფიქსირა აფხაზური „ალბატროსი“.




ცოტა ხანში „ჰერმესი“ ჰორიზონტალური ფრენიდან მოულოდნელად შტოპორში აღმოჩნდა და წყალში ჩავარდა. ერთ-ერთი ვერსიით, რუსულმა რეაქტიულმა საბრძოლო თვითმფრინავმა მას ძალზე ახლოს, თითქმის ზებგერითი სიჩქარით ჩაუქროლა, რამაც ტურბულენტურობა გამოიწვია და „ჰერმესი“ შტოპორში ჩააგდო.

ამ „ჰერმესის“ საქარხნო ნომერი 553 იყო, რის აღმნიშვნელი დეტალიც სეპარატისტებმა ზღვიდან ამოიტანეს.

20 აპრილის ინციდენტზე დეტალურად აღარ შევჩერდებით, რადგან რუსული გამანადგურებლის მიერ ქართული „ჰერმესის“ ჩამოგდებაზე უკვე ბევრი დაიწერა (მათ შორის „არსენალშიც“).

ამ „ჰერმესის“ საქარხნო ნომერი 551 იყო და მისმა ვიდეოკამერამ უპილოტოს „სიცოცხლის“ ბოლო წამებში მართლაც რომ ისტორიული კადრები დააფიქსირა, — რუსული სამხედრო მანქანის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცეში განხორციელებული აგრესიის ფაქტი!

მესამე „ჰერმესი“ 12 მაისს გალის რაიონის თავზე ჩამოგვიგდეს. „ჰერმესის“ ვიდეოკამერა ზღვის პირას ერთ-ერთ ობიექტს ზვერავდა, როდესაც მოულოდნელად ვიდეოკადრი „აყირავდა“ და გადაცემა შეწყდა. ჩვენი ვარაუდით, ამ შემთხვევაში „ჰერმესი“ სახმელეთო-საზენიტო საშუალებების გამოყენებით ჩამოაგდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფოთის ან სენაკის რადიოლოკატორები დააფიქსირებდნენ „ჰერმესის“ გვერდით ცაში გამოჩენილ სხვა მფრინავ ობიექტს.

ჩამოსაგდებად, სავარაუდოდ, გამოიყენეს მობილური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსიდან Бук-М1-იდან გაშვებული საზენიტო რაკეტა.

რამდენიმე ცალი „ბუკი“ რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მალულად შეიტანა. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ 12 მაისს ქართული „ჰერმესი“ С-60 ან КС-19 ტიპის საზენიტო ქვემეხებით ნასროლმა ჭურვებმა ჩამოაგდო.

სულ ქართულმა მხარემ 18 მარტიდან 12 მაისამდე მხოლოდ სამი „ჰერმესი“ დაკარგა და არა შვიდი, როგორც სეპარატისტული სოხუმი ირწმუნება.

მიუხედავად ამ დანაკარგისა, „ჰერმესების“ რიცხვი უკვე შევსებულია და მათ ყოველწუთს შეუძლიათ გააგრძელონ მონიტორინგი აფხაზეთის თავზე.

ერთი ეგაა, — „ჰერმესების“ ოპერატორებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რომ საზენიტო „ბუკების“ გარდა რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ სოხუმის ბაბუშერის აეროპორტის მიდამოებში განათავსა 36Д6 ტიპის სამკოორდინატიანი მობილური რადიოლოკაციური სადგური, რომელიც საჰაერო სივრცეს 360 კმ-ის რადიუსში აკონტროლებს.

თუკი ფოთისა და სენაკის ანალოგიურ ქართულ რადიოლოკატორებს შეუძლია „ჰერმესის“ ფრენის დაფიქსირება, მაშინ ბაბუშერაში განთავსებულ რუსულ რადიოლოკატორსაც, ეტყობა, არ გაუჭირდება ქართული „ჰერმესების“ აღმოჩენა...

*ირაკლი ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასწავლო ცენტრი „კრწანისი“ კურსანტებს ბევრ სიახლეს სთავაზობს



ეროვნული სასწავლო ცენტრი „კრწანისი“ შეიარაღებული ძალების შტაბის განათლების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულია, რომლის მთავარი ამოცანაა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს კარგად გაწვრთნილი, მორალურად და ფიზიკურად ძლიერი კაპრალთა პირადი შემადგენლობა მოუმზადოს.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში განვითარებული მოვლენების შემდეგ რუსეთის არმიამ საქართველოს ეროვნულ გვარდიას „იაღლუჯას“ პოლიგონი გადასცა. 1994 წელს ის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაეცა და მალე სახელწოდებაც შეეცვალა, – 2004 წელს ეროვნული სასწავლო ცენტრის სტატუსი მიენიჭა. წელიწად-ნახევარია, რაც ცენტრს პოლკოვნიკი კობა ლაჭყეპიანი ხელმძღვანელობს. ამჟამად სწავლებას მეხუთე ბრიგადის ბატალიონები გადიან მონაცვლეობით. სწავლების პარალელურად ეროვნული სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელთა დიდი ნაწილი წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

„არსენალმა“ გადაწყვიტა, თავად ენახა და თქვენთვისაც ეჩვენებინა სასწავლო ცენტრში არსებული სიტუაცია, ყოველდღიური ყოფა და სიახლეები.

ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ დილის პირველ საათზე მივედი. საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე სერიოზული გამომეტყველების მქონე მორიგემ პირადობის მოწმობა მოითხოვა, როგორც ჩანს, „არსენალის“ ვიზიტის თაობაზე გაფრთხილებული იყო და აუცილებელი პროცედურის შემდეგ სამკერდე ბარათი წარწერით „ვიზიტორი“ გადმომცა და ცენტრის ტერიტორიაზე შემიშვა.

უპირველესად ცენტრის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი კობა ლაჭყეპიანი უნდა მენახა. გზა შტაბამდე ცენტრს ორ ნაწილად ყოფს. მარჯვნივ ყაზარმები, შტაბი, სასადილო, სასწავლო ოთახები, სავარჯიშო მოედნები და უზრუნველყოფის შენობებია განლაგებული, ხოლო მარცხნივ სასროლეთები.

შორიდან AK-74-ებისთვის დამახასიათებელი სროლის ხმა ისმოდა. მსროლელები ვარჯიშობდნენ. როგორც შემდეგ შევიტყვე, აქ წვრთნა და ვარჯიში არასოდეს წყდება.

პოლკოვნიკმა ლაჭყეპიანმა მისვლისთანავე მიმიღო და ჩემს ჟურნალისტურ სამუშაოსაც შევუდექი.

— **ბატონო კობა, რას წარმოადგენს კრწანისის ეროვნული სასწავლო ცენტრის ძირითადი სტრუქტურა?**

– ჩვენი ცენტრი, შეიარაღებული ძალების ყველა სხვა სასწავლო დაწესებულების ანალოგიურად, შედგება მმართველობის, სასწავლო სფეროსა და სასწავლო სფეროს უზრუნველყოფის ჯგუფისაგან. ჩვენთან ხდება როგორც ახალბედების მომზადება, ასევე ნამსახურები ჯარისკაცების გადამზადება. მათი განთავსებისა და დაბინავების შემდეგ ვგეგმავთ პროგრამას და ამის მიხედვით სასწავლო სფერო კურსების შესაბამისად წარმართავს სასწავლო პროცესს. ჩვენთან არის ქვეითთა, საარტილერიო, ჯავშანსატანკო, საბრძოლო მხარდაჭერის სპეციალისტთა და გადასროლისწინა მომზადების ჯგუფები. ეს ბოლო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე ჯგუფებია. მათ სჭირდებათ იარაღი, საბრძოლო მასალები, კვება და სხვა ელემენტები, რითაც უზრუნველყოფის ჯგუფი ამარაგებს.

— **წელიწად-ნახევარია ამ თანამდებობაზე ხართ, რა ცვლილებები და რეფორმებია გატარებული ამ ხნის განმავლობაში?**

– ჩვენი სერჟანტები, რომლებიც უცხოელმა სპეციალისტებმა გაწვრთნეს, დღეს თავად უტარებენ ინსტრუქტაჟს ჯარისკაცებს. ასე რომ, ახალგაზრდა ჯარისკაცებს ქართველი ინსტრუქტორები ამზადებენ. ეს ინსტრუქტორები არიან ის სერჟანტები, რომლებმაც ორ-სამჯერ გაიარეს იგივე კურსი, ოღონდ ამერიკელ ინსტრუქტორებთან, დაწყებული „წვრთნა და აღჭურვის“ პროგრამით და სოპით დამთავრებული. სიახლეა აგრეთვე ის, რომ ჯარისკაცების მომზადება დავიწყეთ ორ ეტაპად. სწავლების ხანგრძლივობა 12 კვირაა. პირველი 4 კვირის განმავლობაში ახალწვეულისაგან ვაყალიბებთ ჯარისკაცს. ვაძლევთ სამხედრო მომზადების პირველად თემებს, ვაცნობთ სამხედრო ცხოვრების ყოფას, ტაქტიკური მომზადების ძირითად საკითხებს, ვასწავლით პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას და ა. შ. შემდეგი 8 კვირა უკვე სპეციალიზაციის კურსია. ანუ მსროლელები, მეტყვიამფრქვევეები, ყუმბარმტყორცნელები, არტილერისტები, ტანკისტები თავიანთი მიმართულებებით იწვრთნებიან. გადამზადების ჯგუფი ამზადებს მეკავშირეებს, ინჟინრებს, მძღოლებსა და მზარეულებს.

ჩვენ ვითვალისწინებთ, რისკენ აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდრეკილება ახალგაზრდა ჯარისკაცს და იმ მიმართულებით ვავითარებთ, ვცდილობთ პროფესიონალ ჯარისკაცად ჩამოვაყალიბოთ.

საბრძოლო მომზადების საწყისი კურსი ყველა ახალმოსულისათვის ერთნაირი და სავალდებულოა. შეიარაღებულ ძალებში ეს ერთი სტანდარტით ხდება. ამ კურსს ყველა გადის, — იქნება მფრინავი, მეზღვაური თუ არტილერისტი. შემდეგ გადანაწილდებიან ბრიგადებში, თუ პირად შევსებაზე ვმუშაობთ. შეიძლება მოვიდეს ჩამოყალიბებული ქვედანაყოფიც, მაგალითად, ბატალიონი. მას 12 კვირის განმავლობაში ვწვრთნით და მერე თავის ბრიგადას უბრუნდება.

ამ ხნის განმავლობაში ჯარისკაცები არიან ყაზარმულ მდგომარეობაში, გამონაკლისია კვირადღე, — ამ დღეს შეუძლიათ დასვენება, ბაზიდან გასვლა.

**— რა თანხებია გამოყოფილი თქვენი სასწავლო ცენტრის დასაფინანსებლად?**

— მინისტრის გადაწყვეტილებით კრწანისის სასწავლო ცენტრის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის და სასწავლო საქმისთვის 1.500.000 ლარია გამოყოფილი, რომელიც 2008 წლის ბოლომდე უნდა ავითვისოთ. სწავლების პარალელურად მიმდინარეობს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, კეთდება სიმულაციის ოთახები, ეს ძალზე აუცილებელია სასწავლო ცენტრისათვის.

**— რამდენ ხანში ერთხელ აახლებთ სასწავლო ტექნიკას?**

— პერიოდულად, საჭიროების მიხედვით. როგორც წესი, თანამედროვე იარაღი შემოსვლისთანავე ჩვენთან მოდის. ინსტრუქტორები მას შეისწავლიან და შემდეგ იწყება ჯარისკაცების მომზადება.

**— ახლა თუ მუშაობენ თქვენთან უცხოელი ინსტრუქტორები?**

— ამჟამად ჩვენს სერჟანტებს ინსტრუქტაჟს ებრაელი ინსტრუქტორები უტარებენ, — საბრძოლო მაშველებს ამზადებენ. გამოცდილებას გვიზიარებენ ასევე ამერიკელი ინსტრუქტორები.

**— ერთდროულად რამდენ ჯარისკაცზეა გათვალისწინებული თქვენი სასწავლო ცენტრი?**

— „კრწანისის" ინფრასტრუქტურა 800 კაცს ემსახურება. ჩვენი ცენტრი მხარს უჭერს სხვადასხვა სწავლებასაც. „კრწანისის" დაქვემდებარებაშია ვაზიანის, სიმონეთის, ორფოლოს, ალგეთის პოლიგონები...

...მოკლე ინტერვიუს დამთავრების შემდეგ პოლკოვნიკმა ცენტრის დათვალიერება შემოგვთავაზა და მეგზურობა სერჟანტ ბესო ხატიაშვილს დაავალა. სერჟანტი ყაზარმებისაკენ და სასადილოსაკენ გაგვიძღვა, რადგან შესვენების დრო იყო და ძირითადი შემადგენლობა სადილობდა. ყაზარმებში წესრიგი და სისუფთავე იყო. იდეალურად გასწორებული ორსართულიანი საწოლებ-



**კობა ლაჟყეპიანი**

დაიბადა: 1966 წლის 20 იანვარს ცაგერის რაიონ სოფელ ტვიშში

განათლება: 1984 წელს დაამთავრა ქ. თბილისის კონსტანტინე ლესელიძის სახელობის სპეცსკოლა, 1988 წელს — ლენინგრადის წითელი ორდენის საზენიტო-სარაკეტო სამეთაურო სასწავლებელი; 2001 წელს — უკრაინის თავდაცვის ეროვნული აკადემია; 2003-2006 წლებში გაიარა შემდეგი კურსები: აშშ-ის მობილური საწვრთნელი საშტაბო ინტეგრირების ჯგუფის სამხედრო გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევების შენარჩუნების კურსი (საქართველო, თბილისი), საქართველო-აშშ-დიდი ბრიტანეთის ერთობლივი სამშვიდობო ოპერაციების საწვრთნელი კურსი (ვაზიანი), საშტაბო დაგეგმვისა და ოპერატიული წვრთნების უზრუნველყოფის კურსი (ვაზიანი), ბრიტანეთის სამხედრო მრჩეველთა კურსი (ჩეხეთის რესპუბლიკა).

სამუშაო გამოცდილება: 1988-2007 წლებში მუშაობდა შემდეგ თანამდებობებზე: ს/ნ ს/ფ 58325 ოცმეთაური, ს/ნ ს/ფ 58325 სამეთაურო პუნქტის უფროსის მოადგილე (გერმანია), წყალტუბოს სწრაფი რეაგირების ბატალიონის ს/ნ 18333 შტაბის უფროსი, 21-ე მოტომსროლელი ბრიგადის ს/ნ 51654 შტაბის უფროსი, ბატალიონის მეთაურის მოადგილე (ქუთაისი), ამავე ბატალიონის მეთაური, ასევე ამავე ბრიგადის ს/ნ 51654 ბატალიონის მეთაური, ამავე ბრიგადის ს/ნ 10144 მეთაურის მოადგილე, მე-11-ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაური (დ-კოდა), 21-ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაური, საქართველოს სახმელეთო ძალების მე-11-ე მექანიზებული ბრიგადის მეთაური, სამშვიდობო ძალების წარმომადგენლობის უფროსი, სამხედრო მეთაური ცხინვალის რეგიონში საქართველოს მხრიდან, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორი.

სამხედრო წოდება: პოლკოვნიკი.



კურსანტები სასროლეთზე რიგის მოლოდინში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ბოლოს გამზადებული ეკიპირება ელაგა. სასადილოდან დაბრუნებული ჯარისკაცები სასროლეთებზე გასასვლელად ემზადებოდნენ.

სასადილოში შესვლისთანავე ჩემი ყურადღება გაკრიალებულმა ჭურჭელმა და თეთრხელთათმანიანმა მომსახურე პერსონალმა მიიქცია. ამის შემდეგ მენიუთი დავინტერესდი, რომელიც ძალზე მრავალფეროვანი აღმოჩნდა. როგორც სასადილოს უფროსმა გვითხრა მენიუ ყოველკვირა იცვლება. „ვცდილობთ ჯარისკაცების სურვილების გათვალისწინებას. განსაკუთრებით ლობიო მოსწონთ, ყველა სიამოვნებით მიირთმევს. რაც შეეხება ნორმებს, იგი მხოლოდ ხორციან კერძებზეა დაწესებული. კვება სამჯერადია. ჩვენი ძირითადი მომწოდებელი ფირმა „FOOD SERVICE“-ა. მალეფუჭებად პროდუქტებს ადგილზევე ვყიდულობთ“.

გარეთ გამოსულს შთამბეჭდავი სანახაობა დამხვდა, — ოცეული ლოცვას წარმოთქვამდა, როგორც აღმოჩნდა სულიერი მომზადება ამ ცენტრში არანკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წმინდა საბრძოლო. ამაში მაშინაც დავრწმუნდი, როდესაც სასროლეთებისკენ მიმავალმა მშენებარე ეკლესია ვნახე. როგორც სერჟანტმა ხატიაშვილმა გვითხრა, სამშენებლო სამუშაოებში მხოლოდ ცენტრის პერსონალი მონაწილეობს. ეკლესია ქვისაგან და აგურისაგან შენდება. იგი მოქმედებას შემოდგომიდან დაიწყებს.

სერჟანტი სასროლეთისაკენ გამიძღვა. პირველი, რაც ვნახე, მაღალ კოშკურაზე დამონტაჟებული შვეულმფრენის ფიუზელაჟი იყო, რომლის საშუალებითაც ებრაელი ინსტრუქტორები სრულად ეკიპირებულ მაშველებს დაჭრილის ევაკუაციაში ავარჯიშებდნენ. ვარჯიში პირველადი დახმარების აღმოჩენისა და 10-15 მეტრ სიმაღლეზე დაკიდებულ შვეულმფრენში დაჭრილის მოთავსების იმიტირებას ახდენდა. სანახაობა მართლაც შთამბეჭდავი იყო. ამის შემდეგ უშუალოდ სასროლეთებისაკენ გადავინაცვლე. პირველ სასროლეთზე მეტყვიამფრქვევეები РПК-74-ებს აკაკანებდნენ. მეორე სასროლეთზე მსროლელები გადიოდნენ მომზადებას. სამიზნეები 50 და 100 მეტრზე იყო განლაგებული. ინსტრუქტორი ერთ-ერთ მსროლელს ინდივიდუალურად უხსნიდა სროლის წარმართვის წესებს. ერთდროულად 5 კურსანტი ცდილობდა საკლასო ოთახებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. ათეულმა სროლის დასრულების შემდეგ მჭიდების ჩალაგება დაიწყო. დრო ვიხელთე და ერთ-ერთს გავესაუბრე.

**კაპრალი ქვაცარია:** — სამი თვეა, რაც აქ ვარ. ბოლომდე არ მაქვს ათვისებული ყველაფერი, მაგრამ დავძლევ, პრობლემა არ იქნება. ყველაზე მეტად მკაცრ დისციპლინასთან შეჩვევა გამიჭირდა. იარაღი ჩემთვის უცხო ხილი არ ყოფილა — ვნადირობდი, ამიტომ საბრძოლო იარაღს იოლად შევეგუე“.

მესამე სასროლეთი, სადაც ყუმბარმტყორცნელები ვარჯიშობდნენ, პირველი ორისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ აქ სამიზნეებად ნამდვილი ტანკები, კუმულაციური ყუმბარებისაგან დაცხრილული მეორე მსოფლიო ომისდროინდელი Т-34-ები იყო გამოყენებული.

მეოთხე სასროლეთი ცარიელი დამხვდა. როგორც სერჟანტმა ხატიაშვილმა განმიმარტა, იმ დღეს სნაიპერთა წვრთნა არ მიმდინარეობდა და სასროლეთები სრულად შემდეგი კვირიდან დაიტვირთებოდა.


კაპრალი ქვაცარია

ბოლო ლუკმად ჩემთვის ყველაზე საინტერესო სროლის სიმულაციის ოთახი მოვიტოვე, სადაც ესტონელების მოწოდებულ და დამონტაჟებულ კომპიუტერულ სისტემაზე აწყობილი სასიმულაციო ტექნიკა დამხვდა. АК-47 გადაკეთებულია გადატენვის გაზის საშუალებაზე. ლულაზე დამაგრებულია ლაზერული მოწყობილობა. სროლა მიმდინარეობს ეკრანზე, რომელზეც პროექტორით ხდება გამოსახულების მიღება. მორტყმული რაოდენობები აღინიშნება კომპიუტერში დაგროვილი ქულებით, შესაძლებელია მანძილის კონტროლი, სხვადასხვა სიტუაციის სიმულირება. ეს დანადგარი მაქსიმალურად მიახლოებულად ახდენს საბრძოლო ვითარების ასახვას. ყუმბარმტყორცნ РПГ 7-საც ანალოგიური პრინციპი აქვს. ეკრანზე პროექტორით ხდება ტანკის მოძრაობის იმიტაცია. მორტყმის შემთხვევაში ტანკი ფეთქდება. ხდება გამოსახულების, ხმის, ლულის და გასროლის შედეგის იმიტირება. იმის გამო, რომ РПГ 7-ს უკუცემის ძალა სინამდვილეშიც არა აქვს, მისი სიმულატორი უფრო მიახლოებულია რეალობასთან, ვიდრე АК-47-ის. РПГ 7 სიმულატორი რამდენიმე კვირის წინ არის ჩამოტანილი, ხოლო АК-47 დაახლოებით ერთი წლის წინ.

შთაბეჭდილებებით დატვირთული დავემშვიდობე მასპინძლებს. უკანა გზაზე, ღია კლასში ორი ოცეული ატარებდა მეცადინეობას. თავდახრილ ჯარისკაცებს სერჟანტი მკაცრი ხმით რაღაცას აწერინებდა, შორიდან ფრაზები: „ოცეულის პოზიცია“ და „ფლანგის ჩაკეტვა“ გავარჩიე.

*მოამზადა*
*ნინო მამუკაძე*


ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ ერთდროულად 800 კურსანტი გადის წვრთნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართულ ცაში ორძრავიანი „იროკეზები“ გამოჩნდნენ



UH-1N-ის სიგრძე 13,6 მ-ია, სიმაღლე 4,4 მ, მთავარი ხრახნის დიამეტრი 14,8 მ, ხოლო კუდის ხრახნისა კი 2,59მ.

**ჩვენი დოსიე:** ახალშეძენილი ორძრავიანი UH-1N „იროკეზი“ ცარიელ მდგომარეობაში 5,3 ტ-ს იწონის, ხოლო მაქსიმალური ასაფრენი მასა 8,2 ტ-ს აღწევს. მას 18 ეკიპირებული ჯარისკაცის გადაყვანა ან 2,5 ტონა ტვირთის გადატანა შეუძლია. ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 304 კმ/სთ-ია, კრეისერული კი 250 კმ-ს შეადგენს. ფრენის სიშორე 648 კმ-ია, ხოლო საბრძოლო მოქმედების რადიუსი კი 241 კმ. ფრენის მაქსიმალური ხანგრძლივობა 3,3 სთ-ია, ფრენის პრაქტიკული სიმაღლე 6,1 კმ-ს უტოლდება.

## საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალებს რამდენიმე ორძრავიანი UH-1N „იროკეზი“ შეემატა

თბილისელები, და არა მარტო ისინი, ყველა, ვისაც ხანდახან თავის ზემოთ აწევა არ ეზარებათ, შენიშნავდნენ, რომ ცაში გამოჩნდნენ თეთრი ფერის „იროკეზები“, რომლებიც აქამდე ჩვეული მწვანე ფერის UH-1H „იროკეზებისგან“ თითქოს არაფრით განსხვავდებიან, მაგრამ მაინც ფრენისას სხვა ხმას გამოსცემენ. ეს ორძრავიანი UH-1N „იროკეზებია“, რომლებიც საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალებს შეემატა ევროპის ერთ-ერთი ქვეყნიდან.

არ დავაკონკრეტებთ, რამდენი ცალი და ევროპის რომელ ქვეყანაში იქნა შეძენილი. თუმცა, „არსენალს“ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ჰქონდა ინფორმაცია ორძრავიანი „იროკეზების“ დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში შესყიდვის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებებზე, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ფაქტი არ გავახმაურეთ.

როდესაც თეთრი, ორძრავიანი „იროკეზები“ უკვე ქართულ ცაში დაფრინავენ, ამ ფაქტის დამალვა შეუძლებელია და არც არის საჭირო, რადგან ქვეყნის პატრიოტებს ნამდვილად გაუხარდებათ ქართული ავიაციის გაძლიერება.

ისე, „ახალგამოჩეკილ“ ორძრავიან „იროკეზებს“ შორის ერთ-ერთი ყველა ჩვენგანის ძველი ნაცნობია, რომელიც რამდენიმე წელია ქართულ ცაში დაფრინავს. ეს ორძრავიანი „იროკეზი“ „ბრიტიშ პეტროლეუმს“ ეკუთვნოდა, ბაზირებდა თბილისის აეროპორტში და თითქმის ყოველდღე დაფრინავდა საქართველოს სამხრეთ რაიონებში, იქ, სადაც ნავთობსადენი გაჰყავდათ. „ბრიტიშ პეტროლეუმისგან“ ეს „იროკეზი“ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შეიძინა, სავარაუდოდ, შუამავლების დახმარებით.

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში ორძრავიანი შვეულმფრენები 1970 წელს შევიდა, ხოლო სამხედრო-საზღვაო ძალებისა და საზღვაო ქვეითების კორპუსის შეიარაღებაში 1971 წელს.

ახალ ორძრავიან „იროკეზს“ სამხედრო დასახელება – UH-1N მიენიჭა. მასზე ერთის ნაცვლად (როგორც ეს ქართულ UH-1H-ებზეა) ორი ტურბოხრახნიანი ძრავა დამონტაჟდა, რამაც ფრენის უსაფრთხოება გააძლიერა.

1977 წელს UH-1N გახდა პირველი თხილამურებიანი შვეულმფრენი, რომელსაც მიეცა უფლება, ჰაერში საწვავის გაწყობა ერთი პილოტით შეესრულებინა.

2000 წელს პირველი გაფრენა შეასრულა „იროკეზის“ კიდევ ერთმა თანამედროვე მოდელმა – UH-1Y-მა. ის UH-1N-ის ბაზაზეა შექმნილი და საზღვაო ქვეითების კორპუსის შეიარაღებაში ისინი უნდა ჩაანაცვლოს. UH-1Y-საც ორი ტურბოხრახნიანი ძრავა აქვს, ოღონდ თავზე ორის ნაცვლად ოთხი ხრახნი აქვს დაყენებული, რაც აუმჯობესებს მისი ფრენის მაჩვენებლებს.

ქართული ავიაციის შეიარაღებაში ოთხხრახნიანი და ორძრავიანი UH-1Y-ები რომ გვყოლოდა, რა თქმა უნდა, ბევრად უკეთესი იქნებოდა.

*ირაკლი ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოსა და ქართველების ასე მოყვარულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს იშვიათად თუ შევხვედრივარ. დამოუკიდებელი აზერბაიჯანის პირველი გენერალი ელბრუს ორუჯოვი აზერბაიჯანის სამხედრო ატაშეა საქართველოში და ძალიან ამაყობს საქართველო-აზერბაიჯანის კეთილმეზობლური ურთიერთობით.

# რაზე იხარჯება აზერბაიჯანის სამხედრო ბიუჯეტი



## ინტერვიუ აზერბაიჯანის სამხედრო ატაშესთან

ელბრუს ორუჯოვი: – დავიბადე აზერბაიჯანში, 1956 წელს. მერვე კლასში ვიყავი, როცა სახლიდან გავიპარე. ბაქოში მატარებელში ჩავჯექი და... გავემგზავრე. მივედი ქალაქ სვერდლოვსკამდე, გზად სამხედროები გავიცანი. სწორედ მათ მირჩიეს, ჩამებარებინა სუვოროვის სახელობის სასწავლებელში. 1972 წელს ჩავაბარე გამოცდები. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა ჩელიაბინსკის უმაღლეს სამეთაურო-სატანკო სასწავლებელში გავაგრძელე და მისი დამთავრებისას ლეიტენანტის წოდება მივიღე. ვმსახურობდი ბალტიისპირეთში, კავკასიაში, შორეულ აღმოსავლეთში, გერმანიაში. 1991 წელს ჩავაბარე მოსკოვის მარშალ მალინოვსკის სახელობის ჯავშანსატანკო აკადემიაში. შემდეგ მოვხვდი დნესტრისპირეთში, მე-14-ე არმიაში, მაგრამ რომ ვნახე, როგორი ვითარება იქმნებოდა დნესტრისპირეთსა და მოლდავეთში, გადავწყვიტე დამეტოვებინა საბჭოთა არმიის რიგები და დავბრუნებულიყავი აზერბაიჯანში. 1992 წლის იანვრიდან აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებში ვმსახურობ.

ძალიან მიყვარს საქართველო. 1982-1984 წლებში ვმსახურობდი კიდეც აქ, ბათუმში სატანკო ასეულის მეთაური ვიყავი. საქართველოსთან მხოლოდ სამუშაო კი არა, დიდი სიყვარული და სამეგობრო მაკავშირებს. მას შემდეგ, რაც პირველად ვნახე საქართველო, მისი ხშირი სტუმარი გავხდი. ვმეგობრობდი ვახტანგ შამუგიასთან, რომელიც გალიდან იყო, ერთად ვისვენებდით გაგრასა და სოხუმში. ყოველთვის მიზიდავდა აქაურობა და როდესაც დაისვა საკითხი, ვინ უნდა წამოსულიყო საქართველოში, უფროსობამ გაითვალისწინა ჩემი სურვილი და უკვე მეოთხე წელია, აქ ვარ. ძალიან კარგად ვიცი საქართველოს ისტორია, ვიცი, რისი გადატანაც მოუხდა ქართველ ერს. განსაკუთრებულ ინტერესს 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი იწვევს, რომლის დადების შემდეგაც შემოყვანილი რუსული ჯარის გაყვანას 200 წელი დასჭირდა. ეს მხოლოდ ცოტა ხნის წინ – სტამბოლის სამიტის შემდეგ მოხდა აზერბაიჯანის ხელშეწყობით, ჩვენს ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ეშელონების გატარებით.

**— მაგრამ ის, რომ რუსეთის ბაზებმა საქართველო აზერბაიჯანის გავლით დატოვეს, თქვენი ქვეყნის ინტერესებშიც შედიოდა.**

– კარგად იცით, რომ ჯერ კიდევ თავის დროზე სომხეთში, ლენინაკანსა და კიროვაკანში დისლოცირებული მოტომსროლელთა 107-ე დივიზიის, სტეპანაკერტის 366-ე პოლკისა და გიუმრიში 102-ე სამხედრო ბაზაში დისლოცირებული საბჭოთა ჯარების დახმარებით, 1992 წელს, ჩვენი მიწების 20%-ის ოკუპირება მოახდინეს. მარტო მთიანი ყარაბაღის საკითხი როდი იდგა, მას დაემატა კიდევ მთიანი ყარაბაღის მიმდებარე 7 რაიონიც. 1993 წელს რუსეთმა უანგაროდ გადასცა სომხეთს მილიარდი დოლარის ღირებულების შეიარაღება, საბრძოლო ტექნიკა. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი მე-12 და 62-ე ბაზებიდან მუდმივად მარაგდებოდა მთიანი ყარაბაღი. ამიტომ, როცა რუსეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ბაზების გაყვანას ზღვის საშუალებით ვერ შეძლებდა, აზერბაიჯანის ხელისუფლება ჩვენი პრეზიდენტის, ღრმად პატივცემული ჰეიდარ ალიევის ხელმძღვანელობით ვერ დაუშვებდა, რომ რუსეთის ბაზებს თქვენი ტერიტორიიდან სომხეთში გადაენაცვლა. დარწმუნებული ვიყავით, რომ შეიარაღება სეპარატისტების ხელში აღმოჩნდებოდა. ამიტომ შევთავაზეთ რუსებს ჩვენი ტერიტორია და ყველა ღონე ვიხმარეთ, რომ მათი მძიმე ტექნიკა, შეიარაღება, პირადი შემადგენლობა, საბრძოლო მასალა რუსეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილიყო და არა სომხეთში და შემდგომ მთიან ყარაბაღში. ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა ჩვენთვისაც ისეთივე მტკივნეულია, როგორც თქვენთვის. აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, დნესტრისპირეთი და მთიანი ყარაბაღი ერთი ჯაჭვია. რუსეთის ხელისუფლების ეს პოლიტიკა რუსეთის ირგვლივ ბუფერული ზონის შექმნას ისახავდა მიზნად, რომ არ დაეშვა ევროსაბჭოსა და NATO-ს მიახლოება თავის საზღვრებთან. რუსებმა კარგად იციან, რომ ამგვარი პრობლემების მქონე ქვეყნები ვერ შეძლებენ NATO-ში შესვლას. ჩვენ ზუსტად ერთნაირი უბედურება დაგვატყდა თავს. თუ საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 4,5-მილიონიან მოსახლეობაზე 300 ათასი ლტოლვილი მოდის, 7-8-მილიონიან აზერბაიჯანში მილიონამდე ლტოლვილი გვყავს. ამიტომ თქვენი ტკივილი მეც მტკივა.

**— როგორ ვითარდებოდა მოვლენები აზერბაიჯანში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ?**

– საქართველოში არსებული ვითარების ანალოგიურად. სამოქალაქო ომი, სამთავრობო გადატრიალებები, ხელისუფლებაში შემთხვევითი ხალხის მოსვლა. საღამოს ექვსი საათის შემდეგ მაღაზიაშიც კი ავტომატით გავდიოდით. ძალაუფლების წყურვილით შეპყრობილმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა, რომლებიც თავს ეროვნულ მოძრაობის ლიდერებად და მუსავატელებად ასაღებდნენ, 1991-1993 წლებში ქვეყანა საშინელ დღეში ჩააგდეს. დაიწყო სამოქალაქო ომი. იმ პერიოდში აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის კი არა, აზერბაიჯანის, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეულის, საკითხი იდგა საფრთხის ქვეშ. ვისაც ფული ჰქონდა, შეიარაღებულ დაჯგუფებას ქმნიდა. სახელმწიფო შეიარაღებული ძალების შექმნაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. 1993 წლის 16 ივნისს, აზერბაიჯანელი მოსახლეობის დიდი თხოვნის შემდეგ, ბატონი ჰეიდარ ალიევი დაბრუნდა ბაქოში და ქვეყანას სათავეში ჩაუდგა. მხოლოდ ამის შემდეგ, 1993 წლის 3 ნოემბრიდან გამოცხადდა შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ და დაიწყო ჩვენი არმიის შექმნა-ჩამოყალიბება. შეიარაღებული ძალების შექმნა მოხალისეთა რაზმების ბაზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე დაიწყო.

— **შეიარაღებული ძალების მშენებლობის პირველ ეტაპზე აზერბაიჯანმა, ისევე როგორც საქართველომ, მარცხი განიცადა, რა სიტუაციაა დღეს?**

– ჩემთვის კარგად არის ცნობილი როგორც აზერბაიჯანის, ასევე საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარებისა და პერსპექტივების შესახებ. 90-იან წლებში ძალიან ცუდი ტენდენცია იყო, ნებისმიერი, ვისაც ავტომატი ჰქონდა, სამხედროდ ითვლებოდა. ეს კი მცდარი დამოკიდებულებაა. შეიარაღებული ძალები სახელმწიფოს ძირითადი ღერძია. დღეს აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარებს მოიცავს. აზერბაიჯანის სახელმწიფოს სახმელეთო ჯარები სტრუქტურულად შედგება საკორპუსო ფორმირებების, ბრიგადების, მხარდაჭერის ჯარებისგან. სამხედრო-საზღვაო ძალები, რომელიც შედგება წყალზედა ხომალდების დივიზიონებისა და ბრიგადებისაგან, რადიოტექნიკური ჯარებისაგან, ზღვის მხრიდან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარებისგან, იცავენ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და საზღვაო საზღვრებს. შემადგენლობაში ჰყავს როგორც საზღვრის დაცვის ხომალდები, ასევე მტრალავები, გამნაღმველები და ის სპეციალური ხომალდები, რომლებიც საზღვაო ამოცანებს ასრულებენ.

აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები NATO-ს სტანდარტებისა და მიმართულების მიხედვით ვითარდება. ჩვენი ქვეყნის ძირითადი ამოცანა NATO-ში ინტეგრაციაა.

— **ცნობილია, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლება არ იშურებს თანხებს თავდაცვის განვითარებაზე, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ ფინანსურ უზრუნველყოფაზე არ არის დამოკიდებული. რა პრობლემებს აწყდებით მუშაობის პროცესში?**

– ამ შეკითხვაზე NATO-ს წარმომადგენლებს ასეთი პასუხი გავეცი: თქვენ გსურთ ჩვენთან ნახოთ ის, რაც თქვენ უკვე გაქვთ, მაგრამ თქვენ ხომ შეიარაღებულ ძალებს 100-200-წლიან დემოკრატიულ გარემოში აშენებდით. ჩვენ ჩვენი სახელმწიფო 15 წლის წინ შევქმენით, აქედან შეიარაღებული ძალები სულ რაღაც 10-12 წელია, რაც არსებობს, მოთხოვნებს კი ისეთივეს გვიყენებთ, როგორიც თქვენ გაქვთ-მეთქი. ისინი დამეთანხმნენ. პრობლემა, პირველ რიგში, საკადრო სისტემაში შეგვექმნა. ამისათვის აზერბაიჯანში რამდენიმე სამხედრო სასწავლებელი შეიქმნა: სახმელეთო ჯარების სამხედრო აკადემია, ნახჭევანის ორი სამხედრო ლიცეუმი, გენერალური შტაბის, სამხედრო-საავიაციო და სამხედრო-საზღვაო აკადემიები. ახალგაზრდამ ლეიტენანტის წოდება რომ მიიღოს, 8-9 წელი უნდა ისწავლოს. ძალიან ბევრს ვუშვებთ საზღვარგარეთ სასწავლებლად, მაგრამ მხოლოდ ადგილობრივ აკადემიადამთავრებულებს. მეორე ძირითადი პრობლემა, ბუნებრივია, შეიარაღებაა. ის შეიარაღება, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაგვრჩა, მოძველებული გახლდათ და არ პასუხობდა იმ ამოცანებსა და მოთხოვნებს, რაც ჩვენი სახელმწიფოს წინაშე იდგა. დღეს აზერბაიჯანის სამხედრო ბიუჯეტი 1 მილიარდ 300 მილიონია. ჩვენმა პრეზიდენტმა ახლახან გასცა განკარგულება, რომ წლის ბოლომდე ბიუჯეტი 2 მილიარდ დოლარამდე გაიზარდოს. ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის გამოყოფილი თანხების ძირითადი ნაწილი სწორედ ამ ორი მიმართულებით იხარჯება.

— **პრეზიდენტმა ალიევმა რამდენიმე ხნის წინ განაცხადა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარების თაობაზე. ლაპარაკი იყო სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალის აზერბაიჯანში წარმოებაზე. რისი თქმა შეგიძლიათ ამის შესახებ?**

– ხელისუფლებამ პრეზიდენტის ხელმძღვანელობით მიიღო გადაწყვეტილება თავდაცვის მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ, სადაც აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების შესავსებად აუცილებელი პროდუქცია იწარმოება. თავდაცვის მრეწველობის სამინისტროში გაერთიანდა სხვადასხვა ქარხანა. მაგალითად, აზოტის ქარხანა, რადიოქარხნები, შეიარაღების სარემონტო და მწარმოებელი ქარხნები. უკვე ამ წელს მიეწოდება აქ წარმოებული პირველი პროდუქცია აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებს. მოვახდინეთ ავიაქარხნების რესტავრაცია, შევისყიდეთ ახალი აღჭურვილობა. სრულიად განახლებულია ტანკშენებელი ქარხანა, გემთმშენებელი საწარმოები.

— **აზერბაიჯანმა ახლახან შეიძინა ავიაგამანადგურებლები, ჯავშანტექნიკა, საარტილერიო სისტემები. რა კომენტარს გააკეთებდით ამის თაობაზე?**

– ჩვენ არასდროს არაფერს ვუმალავთ არც ჩვენს მოსახლეობას და არც მსოფლიოს. სანამ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია, აზერბაიჯანი იტოვებს უფლებას, აღადგინოს თავისი ტერიტორიული მთლიანობა შეიარაღებული გზით. ამისთვის კი აუცილებელია უზრუნველვყოთ ჩვენი არმია უახლესი საბრძოლო ტექნიკით. ბოლო პერიოდში შევიძინეთ ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, არტილერია, МиГ-29-ები და სხვა. არ ვმალავთ, რომ ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდასთან ერთად, იზრდება სამხედრო ბიუჯეტიც.

— **რისი თქმა შეგიძლიათ საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე?**

– შემიძლია შედარება გავაკეთო, რა სიტუაცია იყო ამ სფეროში 4 წლის წინ და რა მდგომარეობაა ახლა. საქართველომ ამ მცირე ხანში ძალიან დიდი ნახტომი გააკეთა. მე, როგორც პროფესიონალს, ძალიან მომწონს, რომ თქვენმა ქვეყანამ, რომელმაც არ დაიშურა ძალისხმევა და სახსრები, დასძლია გარდატეხის პერიოდი და ახლა მას ჰყავს თანამედროვე, ბრძოლისუნარიანი, საბრძოლო მზადყოფნაში არსებული არმია. დავესწარი სწავლებებს ორფოლოს პოლიგონზე, რაც ძალიან შთამბეჭდავი იყო. მოვლილი მაქვს ყველა სამხედრო ქალაქი და შემიძლია ვთქვა, რომ გორის, სენაკის, საჩხერეს ბაზები საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობს. ეს ბაზები საქართველოში სტუმრობისას აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრსაც დავათვალიერებინეთ. რამდენიმე დღის წინ ფოთში ვიყავი, გავეცანი საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებს. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა, რადგან ფლოტის შენახვა ძვირი სიამოვნებაა. შეიძლება ის თანხები, რასაც სამინისტრო ფლოტის განვითარებაზე ხარჯავს, საკმარისი არ არის, მაგრამ აღმაფრთოვანა იმ ოფიცერთა და მატროსთა ენთუზიაზმმა, რაც იქ ვნახე. საქართველოსათვის დიდი პრობლემაა საჰაერო თავდაცვაც, საჰაერო სივრცე, სადაც უცხო ქვეყნის საფრენი აპარატები თავის ნებაზე დაფრინავენ. დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში ეს პრობლემაც მოგვარდება. ქვეყნის საზღვაო და საჰაერო თავდაცვა აუცილებელია. ამ მხრივ ჩვენ მცირე ხანში ძალიან ბევრს მივაღწიეთ და ეს მაშინ დავამტკიცეთ, როცა ირანის გამანადგურებელი შეეცადა, შეემოწმებინა ჩვენი საბრძოლო მზადყოფნა და თავდაცვისუნარიანობა. მას შემდეგ აზერბაიჯანის საჰაერო სივრცე აღარ დარღვეულა.

— **ბატონო ელბრუს, რას გვეტყვით საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო ურთიერთობებზე?**

– სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ არავითარი პრობლემა და გაუგებრობა სამხედრო საკითხებში, ისევე როგორც ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებში, ჩვენს სახელმწიფოებს შორის არ არსებობს. საქართველოს თავდაცვის მინისტრ დავით კეზერაშვილის ჩვენთან ვიზიტისა და ჩვენი მინისტრის, გენერალ-პოლკოვნიკ საფარ აბიევის საპასუხო ვიზიტის შემდეგ, კავშირი უფრო გამყარდა. თბილისში ხელი მოეწერა გეგმას ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის შესახებ სამხედრო-ტექნიკურ საკითხებში. მიდის გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი მონაწილეობა სამშვიდობო პროექტებსა და სწავლებებში. წელს დაგეგმილია საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერთა რამდენიმე ვიზიტი აზერბაიჯანში, მათ შორის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების დეპარტამენტებისა. დაგეგმილია საპასუხო ვიზიტებიც...

*ესაუბრა ნინო მამუკაძე*



# ათწლიანი ოცნება 10 წუთში აგვიხდა

*ბინა „არსში“ – ასეთი შესანიშნავი საჩუქარი გიორგი მამუკელაშვილმა თავის შვილს, 17 წლის თორნიკეს გაუკეთა, რომელიც წელს სკოლას ამთავრებს. ბატონი გიორგი თურმე დიდხანს ფიქრობდა, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამდა და როდესაც ბინის ყიდვა გადაწყვიტა, „არსში“ მივიდა. გიორგი მამუკელაშვილი თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელია და როგორც ამბობს, საჭირო თანხა არ ჰქონდა, რომ ოცნება აესრულებინა და 10-წლიანი განვადებით სწორედ ამიტომ ისარგებლა. ბატონი გიორგი თავადვე გაკვირვებულია, რომ ბინის შეძენა ასე მარტივად შეძლო.*

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲛᲣᲙᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

– როდესაც ამდენი ფიქრის შემდეგ ბინის ყიდვა გადავწყვიტე, პირველივე კომპანია, სადაც მივედი, იყო „არსი“.

— **რატომ?**

– პირველ რიგში, იმიტომ, რომ ჩემზე ძალიან იმოქმედა იმ რეკლამამ, სადაც ახალგაზრდა კრედიტის ასაღებად უამრავ საბუთს აგროვებს და ძალიან იტანჯება. მთელ ოჯახს მოგვწონდა „არსის“ ეს რეკლამა. ზედმეტი წვალებისა და ათასგვარი საბუთის გარეშე თუ შეიძლებოდა ბინის ყიდვა, სწორედ მაშინ გავიგე.

— **და რეალურად ასეც მოხდა, 10-წლიანი განვადებისთვის ბევრი საბუთი სულაც არ დაგჭირდათ.**

– დამეთანხმებით, რეკლამას ხშირად შევყავართ შეცდომაში, სხვა რამეს გპირდებიან და მერე, საქმე საქმეზე რომ მიდგება, აღმოჩნდება, რომ განსხვავებული პირობებია. აქ კი მართლაც ისე მოხდა, როგორც გვპირდებოდნენ. შევარჩიეთ სასურველი უბანი და ბინა. ბანკის თანამშრომელმა, რომელიც „არსის“ ოფისშივეა წარმოდგენილი, მარტივად აგვიხსნა განვადების პირობები და ოფისიდან გაუსვლელად, 1 დღეში, მხოლოდ პირადობის მოწმობით დაგვიმტკიცდა 10-წლიანი სესხი.

— **განვადების პირობები რამდენად ხელსაყრელია თქვენთვის?**

– საკმაოდ კარგი პირობებია, წლიური საპროცენტო განაკვეთიც არ არის მაღალი და იმ შემთხვევაში, თუკი ვადაზე ადრე გადავწყვეტ თანხის მთლიანად დაფარვას, ჯარიმის სახით მხოლოდ დარჩენილი თანხის 1% დამერიცხება. ასეთი პირობა კი, მგონი, არც ერთ კომპანიას არ აქვს. მართალია, პირველად „არსში“ მივედი, მაგრამ შემდეგ, ცხადია, სხვა კომპანიების პირობებიც გავიგე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ „არსის“ პირობები საუკეთესო იყო. მეგობრებმაც მირჩიეს, „არსს“ იმდენი ხნის გამოცდილება აქვს, რომ შეგიძლია ენდო, ძალიან კარგ სახლებს აშენებსო. ამიტომ ისევ „არსს“ დავუბრუნდი და ქეთევან წამებულის პროსპექტზე მშენებარე ახალ კომპლექს „პატარა ავლაბარში“ ჩემი შვილისთვის ბინა დამშვიდებულმა შევიძინე. მინდოდა ჩემი შვილისთვის განსაკუთრებული საჩუქარი გამეკეთებინა. რაც მთავარია, 15-პროცენტიანი ფასდაკლებითაც ვისარგებლე, ეს კი ჩემი ოჯახისთვის დიდი შეღავათი იყო. ასე რომ, „არსის“ პირობებითა და მომსახურებით მართლაც კმაყოფილი ვარ. დარწმუნებული ვარ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ახლა ყველა ჩემს მეგობარს ვურჩევ, სანამ ბინას შეიძენენ, გაიგონ, რას გვთავაზობს „არსი“.

ამრიგად, იმისთვის, რომ „არსში“ 10-წლიანი განვადებით ისარგებლოთ, საჭირო არ არის დამატებითი უზრუნველყოფა ან დოკუმენტაცია, მხოლოდ პირადობის მოწმობაა საკმარისი. „საქართველოს ბანკის“ და „თი-ბი-სი ბანკის“ თანამშრომლები კომპანიის ოფისში მუშაობენ და კლიენტს აქეთ-იქით სირბილი არ უწევს. თუკი კლიენტმა ბინა შეარჩია, თუ მას აქვს პირველადი შენატანის თანხა – ბინის ღირებულების მხოლოდ 20% და აქვს პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ავტომატურად აიღებს სესხს და თანაც 1 დღეში. „არსში“ თანხის ერთიანად გადახდის შემთხვევაში დიდი ფასდაკლებაა – 15% და მნიშვნელობა არ აქვს, თავად ფარავთ მთლიან თანხას თუ ბანკის კრედიტით სარგებლობთ, ფასდაკლების სისტემა ორივე სიტუაციში მოქმედებს. იმ შემთხვევაში კი, თუ ვადაზე ადრე გადაწყვეტთ თანხის დაფარვას, ჯარიმა არის მხოლოდ – 1%.

*ქეთი გეგელაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ აიარაღებს აფხაზ სეპარატისტებს



რუსული „ბუკი" აფხაზეთის ცის სადარაჯოზე

**ცოტა ხნის წინ რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხრიდან სხვადასხვა ქვეყანაში გაკეთებული შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შესყიდვებს შეეხებოდა. მოსკოვის აზრით, საქართველოს შეიარაღებული ძალების გადაიარაღება კავკასიაში უსაფრთხოებას და მშვიდობას დიდ საფრთხეს უქმნის და პირველ რიგში აფხაზეთში სამხედრო მოქმედებათა დაწყებისაკენ არის მიმართული.**

მოსკოვი 16 აპრილიდან სოხუმის ხელისუფლებასთან ურთიერთობათა პირდაპირ კავშირზე გადავიდა და ეთნიკურ წმენდაში დადანაშაულებულ რეჟიმს ახლა მრავალმხრივ მხარდაჭერას უწევს. ამას აკეთებს ქვეყანა, რომელიც საკუთარ ქვეყანაში სეპარატიზმს ებრძვის და მეზობელ საქართველოში კი პირიქით ხელს უწყობს.

იმ დროს, როცა რუსეთი კონფლიქტურ რეგიონში შერიგებისა და ნდობის აღდგენაზე უნდა ფიქრობდეს, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ორგანო გაზეთი „კრასნაია ზვეზდა" გამოკითხვას აწარმოებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შეყვანასთან დაკავშირებით და მკითხველებს სამ პასუხს სთავაზობს – ამით რუსეთი გაძლიერდება, მიზანშეუწონელია ეკონომიკური მოსაზრებებით და საქართველოსთან კონფრონტაციას გამოიწვევს.

შეკითხვას უკვე 3420 ადამიანი გამოეხმაურა და პირველ პასუხს დაეთანხმა 2282 ადამიანი ანუ 66%, მეორეს - 277 ანუ 8% და მესამეს – 857 ანუ 25%.

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთს გააძლიერებს და ამ აზრს პროპაგანდირებას უკეთებს იმ უწყების ორგანო, რომლის სამხედრო მოსამსახურეები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში „სამშვიდობო" მისიას ასრულებენ.

ყურადსაღებია სოხუმიდან გაკეთებული განცხადებები, სადაც კონფლიქტის განახლების შემთხვევაში აფხაზები ქუთაისამდე შემოჭრით იმუქრებიან.

სოხუმის სამხედრო მექანიზმი გაძლიერება-სრულყოფის პროცესში მუდმივად რომ იმყოფება, ამას სეპარატისტთა ერთობ გახშირებული სამხედრო სწავლებებიც მიანიშნებენ.

შარშან აფხაზთა ფორმირებებმა 10-მდე სამხედრო სწავლება გამართეს. არანაკლებ დატვირთულია მიმდინარე წელი. მარტის პირველ რიცხვებში ჩატარებულ სწავლებაში 2500 რეზერვისტი მონაწილეობდა. გამოყენებული იქნა 100 საარტილერიო სისტემა, ხოლო სატანკო ბატალიონმა პირველად ამ სწავლებაზე საცეცხლე ამოცანები დაამუშავა. მომდევნო სწავლება 24-28 მარტს უკვე 4 ათას რეზერვისტსა და სამხედრო მოსამსახურეს შეეხო.

პუტინის მიერ მიღებული ცნობილი



აფხაზური თვითმავალი საზენიტო დანადგარი „შილკა"

ეროვნული ბიბლიოთეკა



კასეტური ნაღმსატყორცნი „ვასილიოკი“

გადაწყვეტილების შემდეგ სოხუმმა კიდევ ერთი სწავლება 21-25 აპრილს 2 ათასამდე სამხედროსა და რეზერვისტის მონაწილეობით ჩაატარა. სწავლებაში გამოყენებული იქნა ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა „გრადი“ და შორსმსროლელი არტილერია.

შესაშური მონდომებითა და სიხშირით მიმდინარე სწავლებებზე არცთუ ცოტა საბრძოლო საშუალება იხარჯება, მაგრამ სეპარატისტთა თავდაცვის უწყება, როგორც ჩანს, ამის ნაკლებობას არ განიცდის. თუმცა 16 აპრილამდე აფხაზეთი „ბლოკადაში“ იმყოფებოდა.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, სოხუმი შეიარაღებასა და საბრძოლო მასალებს რამდენიმე არხის გამოყენებით იღებდა და იღებს.

მომარაგების მთავარ წყაროებად ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის მაიკოპის 131-ე ცალკეული მოტომსროლელი და და პრივოლჟსკო-ურალის სამხედრო ოლქის სამარის მე-15 ცალკეული სამშვიდობო მოტომსროლელი ბრიგადების ბატალიონებია, რომლებიც როტაციის წესით სამსახურს აფხაზეთში გადიან.

ბატალიონების შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევები, 82 მმ-იანი კასეტური ნაღმსატყორცნები „ვასილიოკი“, ავტომატური ყუმბარმტყორცნები АГС-17 „პლამია“, ტანკსაწინააღმდეგო და სხვა საშუალებები, აგრეთვე საბრძოლო მასალები გარკვეული დროის შემდეგ ჩამოწერა-განადგურებას ექვემდებარება. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ რუსი სამხედროები აფხაზეთში მხოლოდ განადგურებით იყვნენ დაკავებულნი, როცა ამის არანაირი კონტროლის საშუალება საქართველოს არ გააჩნია.

1991-93 წლების მოვლენების შემდეგ აფხაზური ფორმირებების შეიარაღებაში რამდენიმე 23 მმ-იანი საზენიტო დანადგარი ЗУ-23-2 და თვითმავალი საზენიტო დანადგარი ЗСУ-23-4 „შილკა“ ირიცხებოდა. ქართულ უპილოტო საფრენ აპარატებთან დაკავშირებულ ინციდენტებში მოულოდნელად აფხაზთა განკარგულებაში არსებული საჰაერო თავდაცვის ერთ-ერთ საუკეთესო კომპლექსი „Бук-М1“ ამოტივტივდა.

საკითხავია — სეპარატისტებმა როდის მოასწრეს ამ რთული კომპლექსის („Бук-М1“-ის შემადგენლობაში შედის: საკომანდო პუნქტი, სამიზნის აღმომჩენი სადგური, თვითმავალი საცეცხლე და რაკეტების დამტენი დანადგარები) სათანადოდ ათვისება და რაც განსაკუთრებულად აღსანიშნავია — უპილოტო საფრენი აპარატების ჩამოგდებაში დაოსტატება.

ეს ძალიან ჩამოჰგავს საბჭოთა პერიოდს, როცა გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საბჭოთა სამხედროები ხან კუბელებს, ხან არაბებს და ხანაც ავღანელებს ხდებოდნენ. ახლა ამ სიას უკვე შეიძლება გააფხაზებული რუსი სამხედროები თავიანთი „ბუკებით“ დაემატოს.

იარაღის მოწოდების კიდევ ერთი წყაროა დნესტრისპირეთის დე-ფაქტო ხელისუფლება, რომელთანაც სოხუმის მჭიდრო ურთიერთობებს საფუძველი ჯერ კიდევ კონფლიქტის დროს ჩაეყარა.

1992-93 წლებში დნესტრისპირელთა სპეცბატალიონი „დნესტრი“ აფხაზეთში სეპარატისტთა მხარეს იბრძოდა, ხოლო 1993 წლის გაზაფხულიდან აფხაზთა ფორმირებებში დნესტრისპირეთიდან შემოტანილი „გრადის“ ტიპის დანადგარები და ჭურვები გამოჩნდა.

2004 წელს ტირასპოლი, სოხუმი და ცხინვალი ერთმანეთთან სამხედრო-პოლიტიკურმა ხელშეკრულებამ დააკავშირა, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე სუბიექტზე აგრესიას სამივე მხარეზე თავდასხმად აღიქვამს.

შესაბამისად აფხაზეთისთვის შეიარაღებისა და საბრძოლო საშუალებათა მოწოდების ერთ-ერთ წყაროდ დნესტრისპირეთი კვლავინდებურად რჩება. მით უფრო, რომ იქ არის ყოფილი საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ისეთი საწარმოები, როგორიცაა ტირასპოლის ქარხნები „პრიბორი“, „ელექტრომაში“, რიბნიცის მეტალურგიული ქარხანა და სხვები.

დნესტრისპირეთში მზადდება და ცხელ რეგიონებში შემოდის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნები СПГ-9, 50 მმ-იანი ნაღმსატყორცნი „კატრანი“, 82 მმ-იანი კასეტური ნაღმსატყორცნები „ვასილიოკი“, გადასატანი სარაკეტო დანადგარი „დუგა“, ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალები და მრავალი სხვა.

ყოფილი საბჭოთა მე-14 არმიის საწყობებში დუბოსარში ჯერ კიდევ დარჩე-



აფხაზური ტანკსაწინალო სარაკეტო კომპლექსი „ფაგოტი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აფხაზური ფორმირებების განკარგულებაშია:





ხელით გადასატანი საზენიტო კომპლექსი „სტრელა 2M“



რეაქტიული ცეცხლმტყორცნი „შმელი“



ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი РПГ-7



ნილია 60-მდე ეშელონი საბრძოლო მასალა, რომელის დიდ ნაწილს დნესტრისპირეთის ხელისუფლება აკონტროლებს.

უნდა ვიფიქროთ, რომ იარაღის ტრანსპორტირებისათვის სეპარატისტები ძირითადად ტირასპოლთან მდებარე აეროდრომს იყენებენ, რომლითაც ახლა დნესტრისპირეთში მყოფი რუსი სამშვიდობო ძალები სარგებლობენ.

აფხაზეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების დიასპორაში შეგროვილი ფული იარაღის შესაძენად არაერთხელ იქნა გამოყენებული. 1993 წელს სომხური დიასპორის ფულით ბაგრამიანის სახელობის ორივე ბატალიონი სოხუმის შტურმის წინ „შმელის“ ტიპის ხელის ცეცხლმტყორცნებით აღიჭურვა.

სომხებს არც ბერძნული დიასპორა ჩამორჩა და 2007 წელს სოხუმს „ფლამინგოს“ (პროექტი PB 1415) ტიპის 2 კატარღა უყიდა შეიარაღების გარეშე. სამოქალაქო დანიშნულების 45 ტონა წყალწყვის ეს კატარღები აფხაზებმა მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით უკვე აღჭურვეს.

საზღვარგარეთული აფხაზური დიასპორის ფულით სეპარატისტებმა 2004 წლის ზაფხულში შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობიდან გამოყვანილი და კონსერვაციაში მყოფი „შმელის“ (პროექტი 1204) ტიპის სამი სამდინარო ჯავშანკატარღა სრული შეიარაღებით შეიძინეს და მაგრადაც შეცდნენ. სამდინარო კატარღები ზღვაში მოქმედებისათვის არ გამოდგება.

თურქეთის, იორდანიის, სირიის, ლიბანისა თუ სხვა ქვეყნების აფხაზური დიასპორები სოხუმს ყოველმხრივ მხარდაჭერას უკეთებენ, მათ შორის ფინანსურს. ახლო აღმოსავლეთის რეგიონი საბჭოთა, რუსული, დასავლური თუ ადგილობრივი წარმოების იარაღით გადატვირთულია და მისი მოპოვება სირთულეს არ წარმოადგენს. არც ტრანსპორტირება იქნება რთული საქმე, როცა თურქეთთან საზღვაო მიმოსვლა პრაქტიკულად უკონტროლოა და 16 აპრილის გადაწყვეტილება მიმოსვლას ალბათ კიდევ უფრო გააიოლებს.

საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის სარკინიგზო ჯარების ბატალიონის შემოყვანა და რკინიგზის ხაზის აღდგენის დაწყება სამშვიდობო ოპერაციის ინტერესებიდან გამომდინარე აშკარად მიანიშნებს რეგიონში რუსეთის სამხედრო აქტივობის შემდგომ გაზრდას, რასაც დამატებითი სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების შემოტანა მოჰყვება. ამ პროცესის ერთ-ერთი შედეგი სეპარატისტთა შეიარაღებულ ფორმირებათა მოძველებული მძიმე სამხედრო ტექნიკის უფრო თანამედროვე მოდელებზე გადაიარაღება იქნება.

არის დახმარების კიდევ ერთი ფორმა, რომელიც აფხაზთა შეიარაღებული ძალებისათვის ოფიცრებისა და სპეციალისტების მომზადებას შეეხება. 2005 წლის მარტში სეპარატისტთა მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა სულთან სოსნალიევმა ერთ ინტერვიუში ჟურნალისტს ღიად განუცხადა, რომ მოსკოვში „ვისტრელის“ 2-3 თვიან კურსებზე აფხაზეთის არმიის ოფიცრები იგზავნებიან.

დაუზუსტებელი მონაცემებით სოხუმის საერთო-საჯარისო სამხედრო სასწავლებლის საავიაციო ფაკულტეტის კურსანტები კრასნოდარისა და არმავირის მფრინავთა უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში სტაჟირებას და მომზადებას გადიან.

აფხაზური ფორმირებების მუდმივი დამსწრენი რუსული სამშვიდობო კონტინგენტის სამხედროები და კაზაკთა წარმომადგენლები არიან. ზოგიერთი რუსი სამხედრო შემდგომში სეპარატისტთა ფორმირებებში სამსახურს აგრძელებს.

სამხედრო პოტენციალით მომძლავრებული სოხუმი რუსული სამშვიდობოების ზურგსუკან თავს ბევრად დაცულად გრძნობს და მუქარის ენით ლაპარაკსაც არ ერიდება.

*ვახტანგ მაისაია*
*თემურ ჩაჩანიძე*



# როგორ იცავენ პრეზიდენტებს

## შეჯავშნული ავტოების საიდუმლოება

**ზოგიერთს შეიძლება ეგონოს, რომ პრეზიდენტების სიცოცხლე მხოლოდ იმ ჯუნთმაგარ, გაზის ბალონივით ოთხკუთხა პირადი დაცვის ბიჭებზეა დამოკიდებული, რომლებიც მართალია, დიდი ინტელექტით არ ბრწყინავენ, მაგრამ ხალხში უეჭველად გამოარჩევთ შავი სათვალეებით, ყურში გარჭობილი სასმენი აპარატებითა და „კაცისმკვლელი" სახეებით. ეს მხატვრულ ფილმებში ჩანან ასეთებად, ისე კი, რეალურ ცხოვრებაში ეს ბიჭები უდიდეს პატივისცემას იმსახურებენ, _ მათ სიცოცხლეს ხომ ყოველწუთს საფრთხე ემუქრება. მათ თავგანწირვაზეა დამოკიდებული დასაცავი ობიექტის (დიახ, სწორედ ასე ჰქვია დასაცავ პირს) უსაფრთხოება.**

პრეზიდენტების დაცვა არც მხოლოდ იმ პირზეა დამოკიდებული, რომელიც ობიექტს შეყვარებულივით სულ თან დასდევს, – ის პირადი დაცვის უფროსია და დაცვის რთული გეგმის ადგილზე შესრულების კოორდინირება ევალება.

ამ გეგმას კი ის ხალხი ადგენს, რომლებიც არასდროს ჩანან და სახითაც მხოლოდ მეგობარი თუ მოწინააღმდეგე სპეცსამსახურების თანამშრომლები იცნობენ. ეს ,,უჩინარი" ხალხი კარგა ხნით ადრე გეგმავს №1 ობიექტის მეზობელ ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტს თუ ხალხთან შეხვედრას. სხვათა შორის, მათ ოპერატიულ-აგენტურულ მუშაობაზეა დამოკიდებული იმ პირადი დაცვის თანამშრომელთა სიცოცხლეც, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ.

თუ პირად დაცვას დასაცავი ობიექტისთვის სიცოცხლის გაწირვა დასჭირდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ცუდად იმუშავეს სახელმწიფო დაცვის სამსახურის სხვა სტრუქტურულმა დანაყოფებმა – ოპერატიულმა, ანალიტიკურმა, სპეციალური კავშირის, ელექტრონსიგნალების ჩახშობის და ა.შ. ამიტომ ეფექტიანი დაცვის სამსახური (სახელმწიფო იქნება თუ კერძო სტრუქტურა) კომპეტენტური, თავდადებული და ერთგული ხალხის ერთობლივი და კოორდინირებული მუშაობის შედეგია. ამ სამსახურის ცალკეულ დანაყოფს საინტერესო სპეციფიკა აქვს, რომლის შესახებაც დღეს მოგითხრობთ.

ყველა ქვეყანაში და ყველა დროს პირადი დაცვა გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ ცალკეულ პირთა სიცოცხლისა და ქონების უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. დაცვა დასაცავი პირის ოჯახის წევრი და მათი ყველა საიდუმლოების მცოდნეც ხდება. განსაკუთრებით დაფარული ოჯახური და ფინანსური საქმეები არა მარტო დაცვის თვალწინ ხდება, არამედ ხშირად ამასაც სწორედ დაცვის ბიჭები აკვარახჭინებენ.

საბჭოთა კავშირის დროს სახელმწიფო მოღვაწეებისა და ობიექტების დაცვას კაგე-ბეს სტრუქტურაში არსებული მე-9 მთავარი სამმართველო კურირებდა. რესპუბლიკებში კი ამ დანაყოფს განყოფილების სტატუსი ჰქონდა, რომლის ოპერატიულმა თანამშრომლებმა ზეპირად იცოდნენ, მაგალითად, ედუარდ შევარდნაძის კორტეჟის მოძრაობის მთელ მანძილზე რამდენი ბომჟი თუ რეციდივისტი ცხოვრობდა, რამდენი გადამკვეთი ქუჩა და საკანალიზაციო ჭა იყო ტრასაზე. კორტეჟის გავლისას აივანზე გამოსვლაც კი სასტიკად იკრძალებოდა. წინასწარ და გულმოდგინედ მუშავდებოდა ყველა დეტალი, რათა მოულოდნელობა ნაკლები ყოფილიყო. ეს კი დაცვის ობიექტზეც არის ბევრად დამოკიდებული. პრეზიდენტ შევარდნაძეს, განსხვავებით მისი შემცვლელი პრეზიდენტ სააკაშვილისგან, არ უყვარდა იმპროვიზაციები, რაც დაცვის სამსახურს მუშაობას უადვილებდა.

ამავე დროს საბჭოთა კავშირში მიღებული იყო, რომ როცა ერთს აკეთებდნენ, მეორეს აუცილებლად ანგრევდნენ. ქვემოთ მოგითხრობთ იმ ძნელად დასაჯერებელ, მაგრამ რეალურ ისტორიას, რომელიც ქვეყნის პირველი პირის საზღვარგარეთ ერთ-ერთი ვიზიტისას მოხდა.

### შპიონი ზედა სართულზე ცხოვრობს

საბჭოთა მზვერავები საზღვარგარეთ ხანგრძლივი მივლინებების დროს სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ მოწინააღმდეგეს არ გაეშიფრა მათი ნამდვილი პროფესია, რადგანაც უცხოელი ,,კოლეგების" მიერ გამოვლენილ საბჭოთა მზვერავის შემდგომ საზღვარგარეთულ მივლინებებს მაშინვე წერტილი დაესმებოდა, – ადგილობრივი კონტრდაზვერვა არ მოასვენებდა ჯერ გადაბირების წინადადებებით, ხოლო შემდეგ კი ისეთ გარეთვალთვალს დაუწესებდა, რომ სადაზვერვო მუშაობის საშუალებას არ მისცემდა.

ამიტომაც მაშინ მოქმედი წესის თანახმად, გაშიფრული საბჭოთა მზვერავი დაუყოვნებლივ მოსკოვში უნდა დაებრუნებინათ და კარიერას, უკეთეს შემთხვევაში, ცენტრალურ აპარატში აგრძელებდა, ხოლო თუ გავლენიანი ნაცნობ-მეგობრები არ ჰყავდა, რომელიმე სამინისტროს ან ქარხნის კადრების განყოფილებაში გაამწესებდნენ ,,მოქმედი რეზერვის ოფიცრად" (ანუ ოდეერად).

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა




სტალინის ჯავშნოსანი

ამ გარემოების გამო ბევრი საბჭოთა მზვერავი ცდილობდა სხვა ქვეყანაში განსაკუთრებით არ ეაქტიურა, კურდღელივით ჩირგვში მჯდარიყო და მშვიდობიანად დაესრულებინა სამ-ოთხწლიანი მივლინება.

ამიტომ ცდილობდნენ, შეენიღბათ თავიანთი ნამდვილი პროფესია — დიპლომატებივით შუაღამემდე რჩებოდნენ საელჩოში, ჟურნალისტების საფარქვეშ მოქმედნი დაუღალავად წერდნენ უნიჭო სტატიებს, ხოლო საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობას შეკედლებული მზვერავები უცხო თვალის დასანახავად გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდნენ მათთვის გაუგებარ ეკონომიკურ და ფინანსურ ჟურნალებს.

ამდენი წვალების მიუხედავად, საბჭოთა მზვერავების დადგენას ადგილობრივი კონტრდაზვერვა და უცხოელი „კოლეგები" მაინც ახერხებდნენ.

ყველაზე კურიოზული კი ის შემთხვევები იყო, როცა, არ გაოცდეთ და, საბჭოთა მზვერავს თვით... რეზიდენტი „უშვებდა", თანაც... მოსკოვის დავალებით.

„გაყიდვის ოპერაცია", როგორც წესი, ყველაზე „მოგზაური" საბჭოთა ლიდერების (ხრუშჩოვის, ბრეჟნევის ან გორბაჩოვის) რომელიმე მეგობარ ქვეყანაში (ყველაზე ხშირად ინდოეთში ან ეგვიპტეში) ოფიციალური ვიზიტისას ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კა-გე-ბეს სტრუქტურაში სამთავრობო დაცვის მე-9 მთავარი სამმართველო არსებობდა (რომელსაც საბჭოთა ლიდერების დაცვა ევალებოდა), უცხოური ვიზიტების დროს დაცვის თანამშრომლები მაინც არ ჰყოფნიდათ. ამის მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ კა-გე-ბეს ხელმძღვანელები კონვერტირებული ვალუტის დაზოგვის მიზნით ცდილობდნენ რაც შეიძლება ცოტა თანამშრომლის საზღვარგარეთული მივლინება დაეფინანსებინათ. საბჭოთა ლიდერებს კი უცხოური ვიზიტებისას უყვარდათ ხალხში გასვლა და ამით საკუთარი პოპულარობის დამტკიცება. საბჭოთა დაზვერვის ადგილობრივი რეზიდენტიც იძულებული იყო, „ცენტრის" თანხმობით, რეზიდენტურის თანამშრომლების ხარჯზე გაეზარდა პირადი დაცვის რიცხოვნობა. ამიტომაც რეზიდენტურიდან სულ კინწისკვრით ყრიდნენ სხვადასხვა საბჭოთა დაწესებულების საფარქვეშ მოქმედ მზვერავებს, ხელში რაციას და ტაბელურ იარაღს აჩეჩებდნენ და დაცვაში უკრავდნენ თავს. უფრო უარესი ხდებოდა ათწლეულების მანძილზე ინდოეთში, სადაც დელის ან კალკუტის რეზიდენტურის მზვერავები მოსკოვიდან მიღებული ბრძანების თანახმად იძულებული იყვნენ ინდოეთის კონტრდაზვერვასთან ერთად მიეღოთ მონაწილეობა დაცვის ღონისძიებებში. სურათი მართლაც კომიკური იყო: მანქანის საჭესთან „რაჯა" (ადგილობრივი კონტრდაზვერვის თანამშრომელი) იჯდა, მის გვერდით კი მოსკოვიდან მივლინებული „მე-9"-ს ოფიცერი, კვადრატული „ვანია", ხოლო უკანა სავარძელზე საბჭოთა საელჩოს თანამშრომელი „დიპლომატი"-მზვერავი „პეტია", რომელმაც სირცხვილისგან არ იცოდა, სად დამალულიყო. ამავე შემადგენლობით გადიოდნენ ხალხშიც. საბჭოთა დელეგაციის ვიზიტებს ყურადღებით აკვირდებოდნენ უცხოეთის (უპირველესად აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ისრაელისა და საფრანგეთის) დაზვერვის თანამშრომლები, რომლებიც დაწვრილებით აანალიზებდნენ თითოეულ დეტალს, მათ შორის დაცვით ღონისძიებებსაც. ზემოთ აღწერილი „მასკარადის" შემდეგ, მათთვის ძნელი აღარ იყო იმის დადგენა, ვინ — ვინ იყო და საბჭოთა მზვერავების შემდგომ შენიღბვას აზრი ეკარგებოდა! ოფიციალური ვიზიტის დასრულების შემდეგ რომელიმე დიპლომატიურ მიღებაზე ამაყად მდგომ „პეტიას" უცხოელი კოლეგა-მზვერავი მიუახლოვდებოდა და მოურიდებლად სთავაზობდა მათ მხარეზე გადასვლას. ზოგიერთი საბჭოთა „შტირლიცი" თანხმდებოდა, ზოგი კი მაშინვე რეზიდენტთან გარბოდა და პატაკს წერდა გადაბირების მცდელობის თაობაზე.

წარბშეკრული რეზიდენტი და მისი მოადგილეები დიდხანს ცდილობდნენ დაედგინათ, სად დაუშვა შეცდომა საბჭოთა მზვერავმა და როგორ გაშიფრა ის ამერიკის ან ბრიტანეთის დაზვერვამ.

ხშირად ეს ტრაგიკომედია რამდენჯერმე მეორდებოდა, რადგან კოლეგები მოსვენებას არ აძლევდნენ საბჭოთა მზვერავს. ისიც ვალდებული იყო გადაბირების მცდელობის ყოველი ასეთი შემთხვევა დაწვრილებით მოეხსენებინა რეზიდენტისთვის. ბოლოს კი მოთმინებიდან გამოსული რეზიდენტი თავად სთხოვდა მოსკოვს „პეტიას" სამშობლოში დაბრუნებას.

ზემოთ მოთხრობილი ფაქტებისგან განსხვავებით გრანდიოზული ჩანს აშშ-ის პრეზიდენტების დაცვის მასშტაბები.

## როგორ იცავენ ამერიკის პრეზიდენტს

გასულ წელს ავსტრალიაში გამართული აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფორუმი ბევრი რამით იყო საინტერესო.

გაშმაგებული ანტიგლობალისტების საპროტესტო მიტინგების გარდა, უფრო დაკვირვებული თვალი აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დაცვის უპრეცენდენტო ღონისძიებებსაც შეამჩნევდა. ისიც უნდა ითქვას, რომ 2005 წლის 9 მაისს თბილისში ვიზიტისას ბუშს გაცილებით „მსუბუქად" იცავდნენ.

ავსტრალიის ფორუმის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე სიდნეიში ამერიკიდან 15 სპეცჯგუფი ჩავიდა, რომლებმაც სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლებით ბუშის ვიზიტის ყველა კუთხე-კუნჭული შეისწავლეს. ამერიკის პრეზიდენტის დაცვის სპეცსამსახურის (რომელიც სხვათა შორის რომელიმე ძალოვან სტრუქტურას კი არა, არამედ აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ექვემდებარება) 250 საიდუმლო აგენტი კი ბუშის ჩამოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე დაეშვა სიდნეის აეროპორტში. მათ 16(!) დაჯავშნული ავტომობილიც ჩაიყვანეს (მათგან რამდენიმე Cadillac DeVille

ეროვნული ბიბლიოთეკა

(DTS), რომელთაგან ერთი ბუშისთვის და ამერიკის „შავი პანტერასთვის“ – კონდოლიზა რაისისთვის იყო განკუთვნილი. ლორა ბუში შეუძლოდ გახდა და აშშ-ის სახელმწიფო მინისტრს პირველი ლედის წარმომადგენლობითი ფუნქციების შესრულებამ მოუწია. ჯორჯი და კონდი ისე „კურკურებდნენ“, რომ მათი რომანის შესახებ რუსეთის სპეცსამსახურებმა ახალი დეზინფორმაცია უკვე შექმნეს.

საინტერესოა, რომ ფორუმში მონაწილე სამ ათეულზე მეტი სახელმწიფოს მეთაურის პირადი დაცვის წევრებიდან მხოლოდ ჯორჯ ბუშის დაცვას ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება. საინფორმაციო წყაროების ცნობით, ბუშის დაცვის ღონისძიებებზე რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი დაიხარჯა. ამის მიუხედავად, კურიოზი მაინც მოხდა. ავსტრალიელმა ჟურნალისტებმა გადაწყვიტეს ბუშის დაცვის სიფხიზლის შემოწმება და მოტოციკლისტების კორტეჟის თანხლებით სამი ლიმუზინით, რომლებსაც კანადის ეროვნული დროშა ამშვენებდა, დაცვის კორდონების გავლა სცადეს. ორი გაძლიერებული ბლოკპოსტი ისე გაიარეს, რომ არავის დოკუმენტი არ მოუთხოვია. მხოლოდ იმ სასტუმროს კართან, სადაც პრეზიდენტი ბუში გაჩერდა, აღკვეთა დაცვამ ონავარი ჟურნალისტების მასკარადი. ტერორისტებს ეს მეთოდი რომ გამოეყენებინათ, მსხვერპლი გარდაუვალი იქნებოდა.

პრეზიდენტების დაცვის გეგმაში ადამიანებთან ერთად უახლესი ტექნიკა და ტექნოლოგიებიცაა ჩართული, სადაც განსაკუთრებული ადგილი შეჯავშნულ ავტომობილებს ეთმობა. ისინი არა მარტო ფიზიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ, არამედ კონფიდენციალური საუბრისთვისაც გამოიყენებიან.

## შეჯავშნული ავტომობილები პრეზიდენტების დაცვის სამსახურში

საავტომობილო გზებზე უკვე მივეჩვიეთ ისეთ მონსტრებთან შეხვედრას, როგორებიცაა „ნისან არმადა“, „ლინკოლნ ნავიგატორი“, H-2 და ა.შ.. ეს მასიური ავტომობილები უკვე აღარ არის იშვიათობა ჩვენს გზებზე და აღარ იწვევს ისეთ გაოგნებასა და აღფრთოვანებას, როგორც ადრე, იაფი საწვავის დროს.

სამაგიეროდ, შეჯავშნული ავტომობილები ჯერ კიდევ ახალი ხილია ჩვენში. გამოუცდელი თვალი მხოლოდ მათ ფერს (როგორც წესი, მუქ ტონებს), მარკას და ვიპ-სალონს თუ მიაქცევს ყურადღებას. ზოგჯერ კი შეჯავშნული ავტომობილის განსხვავება ჩვეულებრივისგან თვით პროფესიონალთათვისაც კი არ არის იოლი.

შეჯავშნული ავტომობილები ამ 15-17 წლის წინ მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტებისთვის იყო ხელმისაწვდომი. გავიხსენოთ თუნდაც ის ორი შეჯავშნული „მერსედესი“ საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას რომ დაატარებდა. მაშინ გავრცელებული ინფორმაციით, ორივე ავტომობილი საქართველოს სახელწიფო ბიუჯეტს 1 მილიონ დოლარზე მეტი დაუჯდა. შემდეგ წლებში კი, ოლიგარქებისა და დაქირავებული მკვლელების ზრდის კვალობაზე, შეჯავშნული ავტომობილები სასიცოცხლო აუცილებლობა გახდა. სწორედ ასეთმა „მერსედესმა“ იხსნა ედუარდ შევარდნაძე მასზე თავდასხმის დროს.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სპეცსამსახურებმა და კრიმინალებმა მოქმედების ტაქტიკა შეცვალეს და ლიკვიდაციის ფორმები „დახვეწეს“. ახლა ავტომობილზე პირდაპირი თავდასხმის ნაცვლად უფრო ხშირად იყენებენ სხვადასხვა შხამს ან მსხვერპლის საცხოვრებელ სახლთან ან ოფისთან ჩასაფრებულები მის ავტომობილიდან გადმოსვლას ელოდებიან.

გაგაცნობთ შეჯავშნული ავტომობილების იმ სპეციფიკურ თავისებურებებს, რომლებიც განსაზღვრავს მის საიმედობას, ხარისხსა და ფასს.

შეჯავშნა შეიძლება იყოს საქარხნო და არასაქარხნო წესით შესრულებული. საქარხნო წესით შეჯავშნა მხოლოდ ზოგიერთი ავტოგიგანტი აკეთებს. მაგალითად, „დაიმლერ-კრაისლერი“, „ჯენერალ-მოტორზი“, „ბე-ემ-ვე“, „აუდი“, „ვოლვო“ და ა.შ.. სხვა მარკის ავტომობილების დაჯავშნას, როგორც წესი, სპეციალიზებული ფირმები უზრუნველყოფენ.

## შეჯავშნის „გარდაუვალი ბოროტება“

ავტომობილის შეჯავშნა, რა თქმა უნდა, ზრდის ავტომანქანის მასას, რაც მის სიჩქარესა და მანევრირების უნარს აქვეითებს. დამძიმებული შეჯავშნული ავტომობილის შასის, როგორც წესი, სატვირთო ავტომობილების დეტალებისგან ამზადებენ. აუცილებელი ხდება ავტომობილის ძრავას გადაკეთება ან შეცვლა დამატებითი სიმძლავრისა და ბრუნვის მომენტის უზრუნველსაყოფად, რომელიც საჭიროა ავტომობილის ადგილიდან დასაძრავად. გარდა ამისა, მართვის სისტემამ უნდა შეძლოს შეჯავშნული ავტომობილის ეფექტიანად მანევრირების უზრუნველყოფა, ხოლო მუხრუჭებმა ავტომობილის გაჩერება რაც შეიძლება მცირე მანძილზე და აშ. ერთი სიტყვით, შეჯავშნა ბევრად ამძიმებს და აძვირებს ავტოს.

შეჟავშნული მონსტრის ფასი დამოკიდებულია შეჯავშნის დონესა და გამოყენებული მასალის ხარისხზე.

ევროპული სტანდარტის მიხედვით ცეცხლსასროლი იარაღისგან დაცვის

**აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ჯავშანმანქანა Cadillac DeVille (DTS) „ჯენერალ მოტორსის“ ერთ-ერთ განყოფილებაშია დამზადებული. მისი ღირებულება 2 მილიონ დოლარს უკაკუნებს და 4,5 ტონას იწონის.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



პრეზიდენტების დაცვის გეგმაში ადამიანებთან ერთად უახლესი ტექნიკა და ტექნოლოგიებიცაა ჩართული, სადაც განსაკუთრებული ადგილი შეჯავშნულ ავტომობილებს ეთმობა. ისინი არა მარტო ფიზიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ, არამედ კონფიდენციალური საუბრისთვისაც გამოიყენებიან.

დონეს აღნიშნავს ასო B (იწყება 3-დან და 7-მდე ადის). მსუბუქად შეჯავშნული ავტომობილი აღინიშნება B3-B3-ით, სადაც პირველი კოდი მინების, ხოლო მეორე ავტომობილის კორპუსის შეჯავშნის აღმნიშვნელია. ამ დროს ჯავშანმა უნდა გაუძლოს 9 მმ-ის კალიბრის პისტოლეტის ტყვიას.

B5-B5 აღნიშნავს საშუალო შეჯავშნას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს AK-47 კალაშნიკოვისა და სნაიპერული შაშხანის ტყვიებისგან დაცვა.

B7 აღნიშნავს ავტომობილის მაღალი (მძიმე) შეჯავშნის დონეს და უზრუნველყოფს AK-74 და ხელყუმბარის ნამსხვრევებისაგან დაცვას.

საშუალო შეჯავშნის მსუბუქი ავტომობილის ფასი 200-250 ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობს, ხოლო მძიმედ შეჯავშნული ავტომობილის ფასმა შეიძლება 1 მილიონ დოლარს მიაღწიოს.

პრეზიდენტებისთვის შეჯავშნული ავტომობილები სპეციალური და სრულიად გასაიდუმლოებული პროგრამით მზადდება. ურთიერთშეთანხმებით კლიენტის ვინაობა სამუდამოდ უცნობი უნდა დარჩეს. ბუნებრივია, ასეთი ექსკლუზიური ავტომობილები გაცილებით ძვირი ღირს.

მაგალითად, რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი კვლავ სპეციალურად მისთვის შეჯავშნული Mercedes-Benz S-Guard Pullman-ით სარგებლობს, რომლის ფასი 1,5 მილიონ დოლარზე მეტია.

აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ჯავშანმანქანა Cadillac DeVille (DTS) „ჯენერალ მოტორსის“ ერთ-ერთ განყოფილებაშია დამზადებული. მისი ღირებულება 2 მილიონ დოლარს უკაკუნებს და 4,5 ტონას იწონის.

თუ ჩვეულებრივმა მოკვდავმა მეზობლების ჯიბრზე შეჯავშნული ავტოს შეძენა გადაწყვიტა, პირველ ეტაპზე სოლიდური მწარმოებელი ფირმის არჩევა მოუწევს. მსოფლიოში მხოლოდ ათამდე კომპეტენტური და სანდო მწარმოებელია. ამიტომ სპეციალისტებთან კონსულტაცია ნამდვილად არ გაწყენთ.

## მასალა, რითაც იჯავშნება ავტომობილი

ავტომობილის ჯავშნის სიმტკიცის განსხვავებულ დონეს (შედეგში კი ღირებულებასაც) განსაზღვრავს ის სპეციფიკური მოთხოვნები, რომელთაც თქვენ დამამზადებელს წაუყენებთ. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს ავტომობილის დაცვა სხვადასხვა სისტემის, ტიპისა და კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღისგან. შეჯავშნის დონეს განსაზღვრავს სროლის კრიტიკული მანძილიც და ა.შ.

ჯავშანი შეიძლება დამზადდეს მინისგან, პოლიკარბონატისგან, კერამიკისგან, პლასტმასისგან, არმირებული მინისგან, ქსოვილისგან, ალუმინისგან და ფოლადისგან.

## მინა

ტყვიაგაუმტარი მინა უპირველესად გამოიყენება გვერდითა და საქარე მინებისთვის. მცირე კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღისგან დაცვას, როგორც წესი, უზრუნველყოფს 10-მილიმეტრიანი ერთშრიანი მინა. დიდი კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღისგან (მაგ. შაშხანა) თავის დასაცავად საჭიროა მინის 2-4 შრე, რომლებიც დამაგრებულია სპეციალური ნივთიერების საშუალებით. შედეგად, შეიძლება მივიღოთ 5-8 სანტიმეტრის სისქის მქონე ძალიან მძიმე მინა. ის არა მარტო ძალიან ძვირია, არამედ ოპტიკური დამახინჯებაც ახასიათებს.

შეჯავშნული ავტომობილის კარის მინები მზადდება უმსხვრევადი მინისგან. ამ დროს მინის შრეებს ერთმანეთთან ისე აერთებენ, რომ ავტოავარიის დროს პატარა ნამსხვრევებმა არ დააზიანოს მანქანაში მყოფნი. შემკვეთის სურვილისამებრ დამატებით შეიძლება დაყენდეს მინის ან ტონირებული პლასტიკის ფენები. ეს ამაღლებს დაცვით პოტენციალს, მართალია, მინას სრულიად ტყვიაგაუმტარს არ გახდის, მაგრამ დაგეხმარებათ ტყვიების უკუგდებასა და მინის ნამსხვრევების შეჩერებაში.

ტყვიაგაუმტარი მინის დაყენება კარების გადაკეთებას მოითხოვს. უფრო თანამედროვე ვარიანტია კევლარისგან დამზადებული შტორების დაყენება. ის ძალიან იოლად მაგრდება კარებისა და უკანა მინებზე. თუმცა შეჯავშნის ამ ვარიანტის ნაკლია ხილვადობის მკვეთრი შეზღუდვა.

ავტომობილის მინის სიმტკიცის გაზრდის ყველაზე თანამედროვე მეთოდია მათი დაფარვა სპეციალური დაჯავშნული აპკით, რომლის სისქე 5-35 მიკრონის ფარგლებში მერყეობს. ამ აპკებს ძალზე რთული ქიმიური სტრუქტურა აქვთ, სადაც მთავარი გამაძლიერებელი ფუნქცია წებოს შრეს აკისრია. მინა, რომელზედაც დაწებებულია რამდენიმე შეჯავშნული აპკის შრე, უძლებს აგურის დარტყმასა და პისტოლეტის ტყვიას. დაცვითი შრე აჩერებს იმ ხელყუმბარის ნამსხვრევებსაც, რომელიც ავტომობილის ახლოს ფეთქდება. ასეთი მინა უძლებს 70 ტონის დაწოლას ერთ კვადრატულ მეტრზე, თანაც აპკის შრეები არ იწვის. ჩამოთვლილი თვისებების გარდა, დაწებებული აპკის შრეებს აქვს კიდევ ერთი, პრეზიდენტებისა და ოლიგარქებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი თვისება: მათგან არ შეიძლება ინფორმაციის „მოხსნა“ არც ოპტიკური და არც ელექტრომაგნიტური საშუალებებით.

## პოლიკარბონატი

გამჭირვალეა, როგორც მინა. თუმცა მასზე უფრო მტკიცე და მსუბუქია, სამაგიეროდ ადვილად იკაზრება. გარდა ამისა, პოლიკარბონატის კიდევ ერთი უარყოფითი თვისებაა მისი ადვილად აალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ქსოვილი

კევლარი ყველაზე პოპულარულია ტყვიაგაუმტარ ქსოვილებს შორის და, ძირითადად, გამოიყენება ტყვიაგაუმტარი ტანსაცმლის წარმოებაში. ეს ბოჭკო პირველად 1972 წელს წარმოადგინეს. როგორც სხვა ტყვიაგაუმტარი მასალები, კევლარი ქმნის დაცვის სხვადასხვა დონეს მისი მრავალი შრის გამოყენების ხარჯზე. „არსენალის“ მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ, რომ ჩვეულებრივი კევლარის ჟილეტი არ იძლევა იმის სრულ გარანტიას, რომ ყველა ტყვიას შეაჩერებს. კევლერის საკმაოდ ბევრი შრეა საჭირო თუნდაც 9მმ კალიბრის ტყვიის შესაჩერებლად. კევლარს იყენებენ აგრეთვე ავტომობილის შიგნით დამატებითი თავდაცვის უზრუნველსაყოფად.

### კერამიკა და მინაბოჭკოვანი პლასტმასი

კერამიკა ტყვიაგაუმტარ მასალებს შორის გამოირჩევა სიმტკიცით, სიმსუბუქითა და დაცვის მაღალი ხარისხით. ზოგჯერ იყენებენ ავიაციაში, ძირითადად, შვეულმფრენებში პილოტის სავრძლების დასაცავად.

ამ მასალებით ავტომობილის დაჯავშნა, რაღა თქმა უნდა, ძალიან ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ თქვენი სიცოცხლე უფრო ძვირი არ ღირს?

### ფოლადი და ალუმინი

ეს ტყვიაგამძლე მასალები ყველაზე ხშირად გვხვდება შეჯავშნულ ავტომობილებში. ფოლადს იყენებენ იმ შემთხვევაში, თუ შაშხანისა და ტყვიამფრქვევის ტყვიისგან გვსურს თავის დაცვა. ეს მოითხოვს 3 მმ სისქის მქონე სპეციალურად ნაწრთობ ფოლადს, ხოლო მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევისგან თავდაცვა მოითხოვს 10 მმ სისქის მქონე სპეციალურ ფოლადს. თუმც ისიც კი ვერ შეაჩერებს ჯავშანგამტან და 50-კალიბრიან ტყვიამფრქვევის ტყვიებს, ვერ დაგიცავთ დისტანციური მოქმედების ნაღმებისგანაც.

ალუმინის ჯავშანი, უდავოდ, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მასალაა ავტომობილის შესაჯავშნად. მას იყენებენ იმ შემთხვევაში, თუ 9მმ-ზე უფრო დიდი კალიბრის იარაღით არ არის მოსალოდნელი თავდასხმა. ალუმინის მასალებით შეჯავშნა კომპრომისული გადაწყვეტილებაა კომფორტს, დაცვის ხარისხს, ფასსა და პრაქტიკულობას შორის.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

*ბესიკ ალადაშვილი*

# მსტოვრობის ისტორია საქართველოში

## მსჯავრება დიდი განსაცდელის ჟამს

**(გაგრძელება)**

XIII საუკუნის პირველი მეოთხედი ძალზე დაძაბული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენებით გამოირჩეოდა ევროპასა და აზიაში. რომის პაპად ახალარჩეული ჰონორიუს III მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებას გეგმავდა. მანამდე კი გულმოდგინედ ეძებდა მოკავშირეებს.

**მცირე დოსიე:**

**რომის პაპი ჰონორიუს III (1148-1227 წ.წ.), პონტიფიკი 1216-1227 წლებში. ერისკაცობაში ჩენჩინო საველი, დაიბადა რომში. წლების მანძილზე იყო პაპ ინოკენტი III-ს უახლოესი თანამდგომი. ამას თუნდაც ისიც ადასტურებს, რომ საკმაოდ დიდხანს იყო „წმინდა საყდარის“ ხაზინადარი და კათოლიკური ეკლესიის შემოსავალსა და ხარჯს აკონტროლებდა.**

1216 წელს, ინოკენტი III-ს გარდაცვალების შემდეგ, რომის პაპად აირჩიეს. ამის შემდეგ ჰონარიუს III-მ ევროპის სახელმწიფოების ხელმძღვანელებს ეპისტოლეები დაუგზავნა, სადაც ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებისკენ მოუწოდა. სავარაუდოდ, სწორედ ამგვარი ეპისტოლე მიიღო ლაშა-გიორგიმაც.

ლაშქრობის დასაფინანსებლად პაპს და კარდინალებს სამი წლის მანძილზე მიღებული შემოსავლის 10%, ხოლო სხვა მღვდელმსახურებს – 20% უნდა გაეღოთ. საინტერესოა, რომ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზატორები ჯარისკაცთა დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ. ამიტომაც ყველა მსურველს (ხეიბრებს, ქალებს, მოხუცებს და ავანტიურისტებს) ლაშქარში რიცხავდნენ. შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ამ გადაწყვეტილების სიმცდარე ცხადად წარმოაჩინა.

საქართველოს ახალგაზრდა მეფეს, ლაშა-გიორგის, რომის პაპ ჰონორიუს III-ს ეპისტოლე კათოლიკე ბერებმა აახლეს. ევროპის ქვეყნები მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობისთვის ემზადებოდნენ და „ურწმუნოებთან საბრძოლველად“ სრულიად საქრისტიანოს შეკრებას ცდილობდნენ. პონტიფიკი საქართველოს მეფეს სთხოვდა, ჯვაროსანთა დასახმარებლად ჯარი გამოეყვანა და მაჰმადიანთაგან პალესტინა ერთობლივი ძალებით გაეთავისუფლებინათ. დიდად ეამა ჭაბუკ მეფეს ესოდენ დაფასება, მისი სახელმწიფოს ძლიერების აღიარება და სალაშქროდ ჯარის მომზადებასაც შეუდგა.

საიდან და როგორ იღებდა რომის პაპი ინფორმაციას საქართველოს შესახებ? კათოლიკურ ეკლესიას საკმაოდ განვითარებული ჯაშუშური ქსელი ჰქონდა ოდითგან მთელ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. კათოლიკე მისიონერები და მოგზაურები დიდი დაკვირვებითა და რუდუნებით სწავლობდნენ უცხო ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. რომის პაპის მოციქულები კათოლიკური სარწმუნოების ქადაგებასთან ერთად ჯაშუშურ საქმიანობსაც კარგად ახერხებდნენ. გარდა ამისა, ჯვაროსნების რიგებში მებრძოლი რაინდებიც მოიპოვებდნენ სადაზვერვო ინფორმაციას.

ასე რომ, მაჰმადიანური სახელმწიფოებით გარშემორტყმული ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს – საქართველოს შესახებ ევროპაში რამდენიმე საუკუნით ადრე ჰქონდათ ცნობები.

მაგალითად, ისტორიულ წყაროებში შემორჩენილია ვინმე რაინდ დე ბუას წერილი, რომლის ადრესატია საფრანგეთის ქალაქ ბეზანსონის არქიეპისკოპოსი ამადე დე ტრემლე. წერილით ირკვევა, რომ დე ბუა მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა ჯვაროსნების ლაშქარში და ერთ-ერთ ციხე-ქალაქში დაბანაკებული ინტენსიურად აგროვებდა სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციას.

ჩვენამდე მოღწეული ეს წერილი თუ სადაზვერვო ცნობა ძალზე საინტერესო ფაქტებს მოიცავს საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის შესახებ. წერილში ნათქვამია:

„ახლა მოისმინეთ გასაოცარი და მნიშვნელოვანი ახალი ცნობები. ჯერ ყურმოკვრით შევიტყვე, ხოლო შემდეგ სანდო ელჩების (მოციქულების) მეშვეობით დანამდვილებით შევამოწმე, რომ იბერიელი ქრისტიანების, რომელნიც გეორგიანებად იწოდებიან, დიდძალმა ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარმა, ღვთის შეწევნით აღფრთოვანებულმა და ძალზე კარგად შეიარაღებულმა, გამოილაშქრა ურწმუნო წარმართების წინააღმდეგ, სწრაფად დაჰკრა მათ და უკვე აიღო 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი,რომელთაგანაც ძლიერნი დაიპყრო, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქცია... ზემოაღნიშნული ჯარი მოემურება, რათა გაათ-

ავისუფლოს იერუსალიმის წმინდა მიწა-წყალი და დაიპყროს წარმართთა მთელი სამყარო. მათი წარჩინებული მეფე 16 წლის ჭაბუკია“...

გარდა ამისა, ამ წერილში ახლო აღმოსავლეთის იმდროინდელი (1215-1219 წლების) სამხედრო-პოლიტიკური მოვლენებიც დაწვრილებითაა მოთხრობილი. თუ ყურადღებით წავიკითხავთ, წერილი გამოცდილი მზვერავის ცნობას უფრო ჰგავს. ჩანს, დებუას საშუალება ჰქონდა ინფორმაცია სხვადასხვა აგენტთან გადაემოწმებინა და დაეზუსტებინა.

ლაშა-გიორგი მეხუთე ჯვაროსნულ ომში მონაწილეობის მისაღებად ემზადებოდა, როდესაც სამეფო კარისთვის მოულოდნელად საქართველოს საზღვრებს უცნობი მტრის ჯარები მოადგა. ეს 1220 წელს მოხდა.

მანამდე კი 1211-1215 წლებში ჩინგიზ-ყაენმა ორჯერ დალაშქრა ჩრდილო ჩინეთი. მეორე ლაშქრობისას ჩინეთის დედაქალაქი პეკინი, დამხო ცინის დინასტია და თავის სამფლობელოს შემოუერთა დაპყრობილი ტერიტორიები. 1219 წელს კი შუა აზიისკენ დაძრა ლაშქარი. მონღოლები საგანგებოდ იყვნენ მომზადებული ხორეზმშაჰ მოჰამედის სახელმწიფოზე იერიშისთვის.

მონღოლთა მბრძანებელ ჩინგიზ-ყაენის ორი ყველაზე გამოცდილი სარდალი — სუბუდაი და ჯებე 30000 ცხენოსნით დასავლეთისკენ დაიძრნენ. ისინი დიდი ხნით არსად არ უნდა შეჩერებულიყვნენ, რომ დრო არ დაეკარგათ. მათი ორი დავალება მიიღეს მონღოლთა მბრძანებლისგან. ჯერ ერთი, ხორეზმშაჰი და მისი ვაჟი ჯალალ ედდინი უნდა შეეპყრათ ჩინგიზ-ყაენისთვის მიეგვარათ. პარალელურად კი კასპიის ზღვის მიმდებარე ქვეყნები უნდა დაეზვერათ და მათი სიძლიერე მოესინჯათ. ეს დავალება სამ წელში უნდა შეესრულებინათ და ჩრდილოეთის გზით უკან დაბრუნებულიყვნენ.

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ 1220 წლის მაისისთვის მონღოლებს თითქმის მთელი შუა აზია დაპყრობილი ჰქონდათ. სასტიკად უსწორდებოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

მოჰამედ ხორეზმშაჰმა გაქცევით უშველა თავს, თუმცა მონღოლები კვალში ედგნენ და არ ასვენებდნენ. შაჰმა კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულს შეაფარა თავი და მალევე გარდაიცვალა. მონღოლებმა კი დაიპყრეს ერაყი, შირვანი, ჩრდილოეთ ირანი და ამიერკავკასიის საზღვრებს მოადგნენ. რამდენად მოულოდნელი იყო ლაშა-გიორგის სამეფო კარისთვის მონღოლთა შემოჭრა?

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამის თაობაზე ორი მოსაზრებაა გავრცელებული.

პირველის თანახმად, სამეფო კარს „მენაპირეთა“ და აღმოსავლეთიდან მოსული ვაჭრებისგან მიღებული ჰქონდა მონღოლთა შესახებ ინფორმაცია, თუმცა სათანადოდ ვერ შეაფასეს მოსალოდნელი საშიშროება და ამიტომაც პირველი შეტაკებები მონღოლებთან საქართველოს ლაშქრის დამარცხებით დასრულდა. ისტორიკოსთა მეორე მოსაზრების თანახმად, მონღოლთა შემოსევა სრულიად მოულოდნელი იყო მეფე-დიდებულებისთვის და მათ მანამდე არაფერი იცოდნენ ავღანეთსა და სპარსეთში მონღოლთა დაპყრობითი ლაშქრობების შესახებ.

ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნოდ მეორე მოსაზრება უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოს სამეფო კარზე „მენაპირეთაგან“ ან მსტოვრებისგან მონღოლთა შესახებ ზუსტი ინფორმაცია რომ ჰქონოდათ:

ა) მონღოლთა უმთავრესი საბრძოლო ხერხი — ლაშქრის ორად გაყოფა, ვითომდა დამარცხება და უწესრიგო უკან დახევა, მტრის გამოტყუება და ჩასაფრებული ჯარის მეორე ნაწილით გადამწყვეტი შეტევა

— უკვე ეცოდინებოდათ. ამ საბრძოლო ეშმაკობით მანამდე ხომ ჩინგიზ-ყაენის ნოინებმა ბევრჯერ გაიმარჯვეს. სამწუხაროდ, ასევე დაამარცხეს მონღოლებმა ჯერ ლაშა-გიორგის, შემდეგ კი რუსუდან მეფის ლაშქარი;

ბ) ისიც ეცოდინებოდათ, რომ მონღოლები ერთმორწმუნე ქრისტიანები კი არ იყვნენ, არამედ სარწმუნოებაც მანამდე უცნობი ჰქონდათ და შამანებს უდრეკდნენ მუხლს.

შემორჩენილია წერილი, რომელიც 1223 წლით თარიღდება, სადაც რუსუდან მეფე და ივანე ათაბაგი რომის პაპ ჰონორიუს III-ს გულისტკივილით აცნობებდნენ, — მონღოლები ქრისტიანები გვეგონა, თუმცა ცუდი ქრისტიანები აღმოჩნდნენო.

ასე რომ, ლაშა-გიორგის მეფობის უკანასკნელ წლებში სახელმწიფოებრივი დასუსტების ნიშნები უკვე სახეზე იყო. ლაშქარი და მსტოვართა ქსელი ვეღარ ვარგოდა. ამ დროს კი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ძალზე საშიში მტერი მოიწევდა.

## მონღოლ-თათართა სიძლიერის საიდუმლო

ისინი არავის ჰგავდნენ. არც გარეგნობით, არც ცხოვრების წესით, არც შეიარაღებითა, არც ომის წარმართვის ხერხებით და თავს „ტატალებს“ უწოდებდნენ. ფართოდ გავრცელებული შეხედულებით, აქედან წარმოიშვა ტერმინი „თათარი“.

დაუნდობლები დიდსა და პატარას ერთიანად ჟლეტდნენ. უფრო ხშირად კი დაყვავებით, მოფერებითა და ეშმაკობით იმორჩილებდნენ სახელმწიფოებსა და ხალხებს. შესაძლოა, ტერმინები „აღმოსავლური ვერაგობა“ და „აღმოსავლეთი ფაქიზი საქმე“ სწორედაც მონღოლ-თათართა წყალობით დამკვიდრდა დიპლომატიასა და ცხოვრებაში.

გენიალური „დათა თუთაშხიას“ კაციჭამია ვირთხებისა არ იყოს, ისინიც ურთიერთგანადგურებისა და ერთმანეთთან დაუნდობელი ბრძოლით იკრებდნენ ძალას. ბავშობიდანვე სწავლობდნენ ნადირობის, ომისა და მსტოვრობის ხელოვნებას.

თემუჩინმა (მომავალმა ჩინგიზ-ყაენმა) იმ პერიოდისათვის მსოფლიოში უძლიერესი სამხედრო მანქანა შექმნა, რომლის გამართულად მუშაობისათვის აუცილებელი იყო უმკაცრესი დისციპლინა, სამხედრო საქმის ორგანიზაციის მაღალი დონე და ჯაშუშ-აეშაგთა მრავალრიცხოვანი გუნდი.

***(გაგრძელება შემდეგ ნომერში)***

*ბესიკ ალადაშვილი*




დავით აღმაშენებლის აღმოსავლელი მასწავლებლები

როგორ ეწყობა სახელმწიფო გადატრიალება

ინაური გამსახურდიას წინააღმდეგ

რუსეთის ახალი ხაფანგები

რუსეთის სამხედრო დაზვერვა

პოლიტიკური მკვლელობების საუკუნე

როგორ დავიცვათ თავი ფარული მოსმენებისაგან

ტელეპათია – სპეცსამსახურების ყველაზე საიდუმლო იარაღი

ფინეთი სტალინის „ჯიბეში“

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში

ან დარეკეთ 42-43-40; 38-26-73; 38-26-74

და მიიღეთ წიგნი სახლში, ფასნამატის გარეშე

www.elva.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „უნივერსალური ჯარისკაცი“



გასული საუკუნის 50-იან წლებში მსოფლიოში მეორე თაობის პირველი შვეულმფრენები გამოჩნდნენ, რომლებიც წინამორბედთაგან განსხვავებით აირ-ტურბინული ძრავებით იყვნენ აღჭურვილი. ასეთი ტიპის პირველი საბჭოთა შვეულმფრენი ზემძიმე კლასის Ми-6 იყო. 1958 წლიდან კი მიხაილ მილის საკონსტრუქტორო ბიურომ მუშაობა დაიწყო მოძველებული Ми-4-ის შესაცვლელი ახალი შვეულმფრენის შექმნაზე.

დროის დაზოგვის მიზნით გადაწყდა Ми-4-ის დეტალებისა და კვანძების მაქსიმალურად გამოყენება. ასე რომ, ახალი შვეულმფრენისთვის, რომელმაც მიიღო ნიშნული В-8, Ми-4-სგან ისესხეს მზიდი და კუდის ხრახნები, კუდის ძელი და მართვის სისტემა. შვეულმფრენის საერთო შეთანწყობა კი აპრობირებული Ми-6-ის სქემით უნდა მომხდარიყო, რომლის მიხედვითაც ძრავების ნაკვეთური სატვირთო ნაკვეთურის ზევით თავსდებოდა.

თავდაპირველი გადაწყვეტილების თანახმად, В-8 ერთძრავიანი სქემის მიხედვით იქმნებოდა. Ми-4-ის ტრანსმისიის გამოსაყენებლად არჩევანი АИ-24В-ის ტიპის ტურბოლილვური ძრავას საშვეულმფრენო ვარიანტზე შეჩერდა. მისი მაქსიმალური სიმძლავრე 1900 ცხ.ძ.-ს შეადგენდა, რაც В-8-სთვის, რომელიც Ми-4-ზე თითქმის ორჯერ დიდი უნდა ყოფილიყო, ცოტა არ იყოს, არასაკმარისი აღმოჩნდა. საჭირო იყო უფრო უსაფრთხო



Ми-8-ს ინტენსიური გამოყენება ქართულ სამხედრო-საჰაერო ძალებშიც ხდება



Ми-17-1Ш-ის სატვირთო-სადესანტო ნაკვეთური



Ми-8Т ეკიპაჟის კაბინა

და საიმედო ორძრავიან სქემაზე გადასვლა. 1960 წლის მაისიდან საკონსტრუქტორო ბიურო ორძრავიანი В-8А-ს შექმნაზე გადავიდა, რომელზეც მუშაობა В-8-ს პარალელურად მიმდინარეობდა. ორივე შვეულმფრენის პროექტირება ისე მიდიოდა, რომ მათ შორის განსხვავება მხოლოდ ძალური დანადგარი უნდა ყოფილიყო.

В-8-ზე გამოყენებულ იქნა ახალი ტიპის მთლიანმეტალური ფიუზელაჟი, რომლის ცხვირშიც განლაგებულ ფართო კაბინაში ეკიპაჟის სამი წევრი — მფრინავ-მეთაური, შტურმანი და ბორტტექნიკოსი — თავსდებოდა. პირველი ორი გვერდიგვერდ იყო განთავსებული, ხოლო ბორტტექნიკოსი — მათ შორის, სატვირთო-სამგზავრო კაბინაში, კართან.

ფიუზელაჟის ცენტრალურ ნაწილში საკმაოდ ფართო სატვირთო-სამგზავრო კაბინა იყო, რომელიც უკნიდან ორფრთიანი სატვირთო საგდულით იხურებოდა. ზედა გემბანზე კი განთავსებული იყო ძალური დანადგარის ნაკვეთური, რედუქტორი და სახარჯო ავზი.

В-8-ის ერთძრავიანი ვარიანტი, რომელზეც Ми-4-ისგან ნასესხები ოთხნიჩბიანი მზიდი ხრახნი იყო დაყენებული, პირველად 1961 წლის 24 ივნისს აფრინდა ჰაერში. საფრენოსნო გამოცდების შედეგების მიხედვით, შვეულმფრენი საკმაოდ კარგი გამოვიდა, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი ორძრავიანი ვარიანტის სასარგებლოდ გაკეთდა, რის გამოც ერთძრავიანი В-8 შემდგომში მხოლოდ სხვადასხვა ჩვენებაზე სადემონსტრაციოდ გამოიყენებოდა.

ერთი წლის შემდეგ მას ორი ТВ2-117-ის ტიპის ტურბოლილვური ძრავებით აღჭურვილი В-8А მიჰყვა, რომელიც ჰაერში 1962 წლის 2 აგვისტოს აფრინდა. დამუშავების შედეგად ახალი შვეულმფრენი სულ უფრო და უფრო განსხვავდებოდა საბაზო Ми-4-ისგან. ვიბრაციის შესამცირებლად В-8А-ზე Ми-4-ის ოთხნიჩბიანი მზიდი ხრახნი ხუთნიჩბიანით შეიცვალა, ძველი ხის ნიჩბებიანი კუდის ხრახნი კი მთლიანმეტალურით.

სახელმწიფო გამოცდის წარმატებით გავლის შემდეგ, 1964 წელს, შვეულმფრენი მზად იყო შეიარაღებაში მისაღებად. 1965 წლის მარტში კი ყაზანის №387 საავიაციო ქარხანაში დაიწყო მისი სერიული წარმოება. 1970 წელს მას ულან-უდეს საავიაციო ქარხანაც შეუერთ-



დღეს Ми-8 მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შვეულმფრენია

ეროვნული ბიბლიოთეკა


თურქმენეთის სამხედრო-საჰაერო ძალების Ми-8МТ თბილისის საავიაციო ქარხნის აეროდრომზე

და.

1965 წელს Ми-8Т (სატვირთო ვარიანტი) სამხედრო-საჰაერო ძალების, მოგვიანებით კი ფლოტის, მესაზღვრეების, სტრატეგიული დანიშნულების ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებაში შევიდა.

Ми-8-ს სამხედრო დებიუტი ავღანეთში შედგა. სატრანსპორტო დანიშნულების გარდა, მას ინტენსიურად იყენებდნენ დამრტყმელ ოპერაციებში, რისთვისაც გარესაკიდრებზე ბომბებსა და უმართავი რაკეტების გამშვებ კონტეინერებს ჰკიდებდნენ.

Ми-8Т-ის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, 1975 წლიდან დაიწყო მუშაობა მასზე გაზრდილი სიმძლავრის ТВ3-117МТ ძრავების დაყენებაზე, რომლებიც წინამორბედთან შედარებით 200 ცხ.ძ.-ზე მეტ სიმძლავრეს გამოიმუშავებდნენ. გაზრდილი სიმძლავრის წყალობით ეს მანქანები Ми-8Т-ისგან გაუმჯობესებული საფრენოსნო მახასიათებლებით გამოირჩეოდნენ. გაზრდილი ტვირთამწეობის წყალობით, პილონების რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა. გარდა ამისა, Ми-8МТ-ის კუდის ხრახნი ეფექტიანობის გასაზრდელად, ფრენის მიმართულების მიხედვით, მარცხენა მხარეს გადმოიტანეს. საექსპორტოდ განკუთვნილმა Ми-8МТ-მ მიიღო ნიშნული Ми-17.

Ми-8-ს მოდერნიზაციის შემდეგ ეტაპად მასზე დიდ სიმაღლეზე მომუშავე ТВ3-117ВМ ძრავების დაყენება გახდა. გაზრდილი სიმძლავრის ძრავების წყალობით, ახალ Ми-8МТВ-ს დაჯდომა 4000მ-ის სიმაღლეზე შეუძლია, მისი პრაქტიკული ჭერი კი 6000მ-მდე გაიზარდა. 1990 წელს, ნიშნულით Ми-8МТВ-1, სერიულ წარმოებაში ჩაუშვეს. ეს მოდიფიკაცია იმდენად ეფექტიანი გამოდგა, რომ მასზე საზღვარგარეთ დაუყოვნებლივ გაჩნდა მოთხოვნა და საექსპორტოდ ნიშნულით Ми-17-1В გადიოდა. გამოშვებულ იქნა Ми-8МТВ-2-ისა და Ми-8МТВ-3 მოდიფიკაციების მცირე პარტიაც.

მალევე შეიქმნა მისი გაუმჯობესებული ვარიანტი Ми-8МТВ-5, რომელშიც ძალური დანადგარი იგივე იყო, ცვლილებები კი, ძირითადად, პლანერმა განიცადა. შვეულმფრენიდან ჯარისკაცების გადმოსვლის ხანგრძლივობის შემცირების მიზნით, შემოსასვლელი კარის საპირისპირო მხარეს ანალოგიური ზომის კარი გააკეთეს. გარდა ამისა, წინამორბედებთან შედარებით ამ მანქანაზე შეცვლილი იყო სატვირთო-სამგზავრო ნაკვეთურის საგდულის


ხორვატიის Ми-17-1Ш-ის წყვილი საბრძოლო დავალებაზე მიემართება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტრუქცია. ორფრთიანი კარის ნაცვლად ერთი აპარელი იყო დაყენებული. ნაკვეთურში კი, ბორტზე ჯარისკაცების დამატებითი რაოდენობის აყვანის მიზნით (32 კაცი), შუაში სკამების დამატებითი რიგი გაკეთდა. ეს მოდიფიკაცია საექსპორტოდ ნიშნულით Ми-17-1Ш გადის. შემკვეთის მოთხოვნის შესაბამისად ამ მოდიფიკაციაზე იცვლება კაბინის დამინვის სქემა და ქვედა რიგში განლაგებული მინების ნაცვლად „დელფინის ცხვირის“ ტიპის გარსშემომდენი ყენდება.

Ми-8 მსოფლიოს თითქმის ყველა ლოკალურ კონფლიქტში მონაწილეობდა. ოფიციალური თბილისი მას აფხაზეთის ომშიც იყენებდა.

დღეისთვის Ми-8 მსოფლიოში ყველაზე მასიურ და ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ შვეულმფრენს წარმოადგენს. მისი სერიული წარმოების განმავლობაში (რომელიც დღესაც გრძელდება, თუმც არა იმ მასშტაბით) გამოშვებულია დაახლოებით 12000 ეგზემპლარი ორმოცზე მეტი სერიული და საცდელი მოდიფიკაციით. მაგრამ Ми-8-საც აქვს ნაკლი, რომელთაგან მთავარი მისი არაეკონომიურობაა (საათში საშუალოდ 600ლ), რაც აძვირებს მის ექსპლუატაციას.

Ми-8-ზე დამყარებულია 7 საერთაშორისო რეკორდი. „ხანდაზმულობის“ მიუხედავად, სამხედრო ვარიანტის სხვადასხვა მოდიფიკაციით ის დღემდე არის ავღანეთის, ალბანეთის, უკრაინის, ალჟირის, ანგოლის, სომხეთის, აზერბაიჯა-



ჩეხეთის სამხედრო-საჰაერო ძალების Ми-17-1Ш

**ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები**

მოდიფიკაცია — Ми-8МТ
მზიდი ხრახნის დიამეტრი — 21,30მ
კუდა ხრახნის დიამეტრი — 3,91მ
სიგრძე (პლანერის) — 18,42მ
სიმაღლზე — 4,75მ
წონა: ცარიელის — 7200კგ
ნორმალური ასაფრენი — 11100კგ
მაქსიმალური ასაფრენი — 13000კგ
საწვავის რაოდენობა — 2620ლ
ძრავა: ორი ტურბოლილვური — ТВ3-117МТ
სიმძლავრე — 2X1454ცხძ
მაქსიმალური სიჩქარე — 250კმ/სთ
კრეისერული — 210-220კმ/სთ
ფრენის მანძილი — 500კმ
სწრაფაღმავლობა — 540მ/წთ
პრაქტიკული ჭერი — 5000მ
ეკიპაჟი — 2-3 კაცი
სასარგებლო დატვირთვა — 24 ჯარისკაცი, ან 12 დაჭრილი საკაცით ან 4000კგ ტვირთი.
შეიარაღება: საბრძოლო დატვირთვა ექვს პილონზე — 2500კგ.
უმართავი საავიაციო С-5 და С-8 ტიპის რაკეტების ექვსი გამშვები ბლოკი УБ-32 და Б-8В20;
ორი საქვემეხო კონტეინერი УПК-23-250, ამდენივე უნივერსალური საშვეულმფრენო გონდოლა ГУВ;
ოთხი 500კგ-იანი ბომბი;
ეკიპაჟის კაბინასა და სატვირთო საგდულში დაყენებულია ორი ტყვიამფრქვევი ПКТ.





ულან-უდეს ქარხნის შექმნილი საექსპორტო Ми-17-1Ш (Ми-8МТВ5)

ნის, ბელორუსიის, ბულგარეთის, ბანგლადეშის, კამბოჯის, ჩინეთის, კოლუმბიის, ხორვატიის, კუბის, ჩეხეთის, ეგვიპტის, ეკვადორის, ესტონეთის, ფინეთის, გერმანიის, საქართველოს, უნგრეთის, ინდოეთის, ინდონეზიის, ირანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ლატვიის, ლიტვის, ლიბიის, მაკედონიის, მადაგასკარის, მალაიზიის, მექსიკის, მოლდავეთის, მონღოლეთის, მოზამბიკის, ნეპალის, ნიკარაგუის, პაკისტანის, ჩრდილო კორეის, პერუს, პოლონეთის, რუმინეთის, რუსეთის, სერბეთის, სლოვაკეთის, სომალის, სირიის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, უკრაინის, უგანდის, უზბეკეთის, აშშ-ის (სპეციალური დანიშნულების ჯგუფში), ვიეტნამისა და ვენესუელის სამხედრო და საზღვაო ძალების,




რადიოელექტრონული ხარვეზების დამდგმელი Ми-8ППА

სამხედრო ვარიანტის გარდა, Ми-8-ს სამოქალაქო ვარიანტი დღესაც ინტენსიურად გამოიყენება



სასაზღვრო ჯარებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებაში. რაც შეეხება Ми-8-ს სამოქალაქო ვარიანტებს, მათი ექსპლუატაცია ზემოთ ჩამოთვლილ თითქმის ყველა ქვეყანაში ინტენსიურად მიმდინარეობს.

ასე რომ, როგორც ჩანს, Ми-8-ს ნახვა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში კიდევ დიდხანს იქნება შესაძლებელი.

*თემურ პულუზაშვილი*




Ми-8-ს ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია საქართველოს საზღვრის დაცვის საქმეში...


არსენალი
0816
SFOR
Ми-8

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავღანეთის ცხელ ცაში...



ავღანეთის ომში შვეულმფრენებს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. მათი უნივერსალურობიდან გამომდინარე, ფართო სპექტრის ამოცანების შესასრულებლად გამოიყენებოდნენ და ხშირად სახმელეთო ჯარების დახმარების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდნენ. გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ შვეულმფრენებმა ავღანეთის ომის მთელი სიმძიმე იტვირთეს.

ჯერ კიდევ ინტენსიური საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე, 1979 წლის მარტში, ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებულ რვა Ми-8-ს კიდევ რვა შვეულმფრენი დაამატეს. 1980 წლისთვის ავღანური დაჯგუფებისთვის გადაცემული 34-ე შერეული ავიაკორპუსის შემადგენლობაში 110 შვეულმფრენი ირიცხებოდა, საიდანაც 85% Ми-8 იყო. ომის პირველ ზამთარს გზების გაუვალობის გამო შვეულმფრენების ძირითადი ამოცანა მთელი ავღანეთის ტერიტორიაზე მიმოფანტული სამხედრო ნაწილების (რომელთა ოდენობაც იმ დროს 81800 კაცს ითვლიდა) მომარაგება იყო.

გაზაფხულზე ამბოხებულებმა ინტენსიური საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს. ავღანეთის რთული მთაგორიანი რელიეფისა და ვარგისი გზების სიმცირის გამო ჯარების გადაადგილება ნელი ტემპით მიმდინარეობდა. მალე საჭირო შეიქნა ავღანეთის ტერიტორიაზე არსებული საშვეულმფრენო დაჯგუფების გაზრდა, თუმც ამან პრობლემებიც შექმნა.

ეკიპაჟების მომზადების დონე,რომელიც მშვიდობიან დროს სავსებით დამაკმაყოფილებლად ითვლებოდა, ავღანეთის საბრძოლო პირობებში არასაკმარისი გამოდგა. ბევრ მფრინავს დასაშვები ადგილის დამოუკიდებლად შერჩევა და მწყობრში ფრენისას მანქანის დაჭერა უჭირდა. შტურმანებს კი გამოკვეთილი ორიენტირებისა და რადიოშუქურების გარეშე ფრენის გამოცდილება არ ჰქონდათ. ომის პირველ წელს იყო შემთხვევები, როდესაც შვეულმფრენის ეკიპაჟს დესანტი შეცდომით სხვა ადგილას გადაჰყავდა. არც იარაღის სათანადოდ გამოყენება იცოდნენ, რადგან საბჭოთა კავშირში სატრანსპორტო შვეულმფრენების მფრინავების მომზადებაში ამ საქმეს ძალზე მწირი ყურადღება ეთმობოდა. მფრინავების უმრავლესობას მხოლოდ რამდენიმე ჩათვლითი სროლა ჰქონდა გაკეთებული.

მეორე დიდ პრობლემად პილოტირების შეზღუდვები იქცა. Ми-8Т-სთვის დაწესებული დაგვერდების არა უმეტეს $15^0$-ის შეზღუდვა მთებში ფრენისას ეკიპაჟისთვის შეიძლებოდა დამღუპველი ყოფილიყო. გაჭიანურებული პილოტაჟი მოწინააღმდეგეს პოზიციის შეცვლისა და სწრაფი საპასუხო ცეცხლის გახსნის საშუალებას აძლევდა. ამიტომაც ბევრი რამის სწავლა შვეულმფრენების ეკიპაჟებს რეალურ საბრძოლო პირობებში უწევდათ.

საუკეთესო მასწავლებლად კი ყოველდღიური სამუშაო ითვლებოდა. დღეში ეკიპაჟებს 5-6 გაფრენის შესრულება უხდებოდათ და ზოგჯერ ჰაერში 8-9 საათს ატარებდნენ. თვითგადარჩენის მიზნით მფრინავებმა პილოტირების რეგლამენტებში ცვლილებები შეიტანეს, — მაგალითად, კატეგორიულად აკრძალული მანევრები დიდი გადატვირთვებით, ვირაჟები $90^0$-იანი დაგვერდებით, გამანადგურებლებისგან ნასესხები საბრძოლო მოტრიალება, ბორცვები უარყოფითი გადატვირთვებით, რაც შვეულმფრენისთვის თეორიულად დაუშვებელია, და მკვეთრი პიკირება, რომლის დროსაც მიწა ეკიპაჟს წინხედვის მთელ არეს უჩრდილავდა. მკვეთრი პილოტაჟი საჭირო და ამავე დროს სარისკო იყო. პილოტირება ზღვრულ რეჟიმებზე მფრინავისგან დიდ გამოცდილებასა და ყურადღებას მოითხოვდა. 1980 წლის 9 აპრილს ყანდაარში Ми-8Т-ზე დესანტთან ერთად აფრენისას, კაპიტანმა ხარინმა მანქანა მკვეთრი ვირაჟით წაიყვანა. დაბალი სიმაღლისა და სიჩქარის გამო შვეულმფრენი ველარ დაიმორჩილა (Ми-8-ზე ეს მისი პირველი საბრძოლო გაფრენა იყო) და შვეულმფრენი ჩამოვარდა. შტურმანის გარდა ყველა დაიღუპა.

აეროდრომებს შორის არსებული დიდი მანძილის გამო შვეულმფრენებს ორი 915 ლ-იანი საწვავის ავზები დაუმატეს, რაც Ми-8Т-ს ფრენის მანძილს 930კმ-მდე ზრდიდა, მაგრამ ავზები სატვირთო ნაკვეთურის თითქმის ნახევარს იკავებდა.

Ми-24-ების უკმარისობის გამო ომის პირველ თვეებში Ми-8 საცეცხლე მხ-





ხშირად დიდ სიმაღლეზე დასაჯდომი ადგილის არ არსებობის გამო ტვირთის გადმოტვირთვა და ხალხის აყვანა შვეულმფრენის ჰაერშივე „ჩამოკიდების" დროს ხდებოდა

არდაჭერისთვისაც გამოიყენებოდა. ყოველ ესკადრილიაში Ми-8-ს სპეციალური დამრტყმელი ვარიანტის Ми-8ТВ-ის რამდენიმე ერთეული იყო. შვეულმფრენს დამატებითი ჯავშანი ჰქონდა და შეიარაღებული იყო ერთი А-12,7-ის ტიპის მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით, უმართავი 57მმ-იანი 32 საავიაციორაკეტიანი ექვსი გამშვები ბლოკით УБ-32-57 და ოთხი მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტით. გაძლიერებული შეიარაღების გამო შვეულმფრენის სამანევრო შესაძლებლობები გაუარესდა. ამიტომ მფრინავები Ми-8Т-ს ამჯობინებდნენ, რომელსაც ბომბებისა და С-5-ის ტიპის უმართავი საავიაციო რაკეტების ოთხი УБ-16-57УМВП კონტეინერის წაღება შეეძლო.

Ми-8-ს საცეცხლე შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად ეკიპაჟებს ჯარისკაცების ან თავისუფალი საფრენოსნო და ტექნიკური პერსონალის შემადგენლობიდან АКМ-ებით შეიარაღებული მსროლელები აჰყავდათ. შეტევისას შვეულმფრენის დასაფარავად კი ერთ-ერთ მათგანს სატვირთო ნაკვეთურის უკანა კარში არსებულ ლიუკთან ათავსებდნენ. შემოსასვლელ კარში კი 30მმ-იან ავტომატურ ყუმბარსატყორცნ АГС-17-ს დგამდნენ. 800მ-მდე დისტანციაზე ყუმბარსატყორცნი ცოცხალი ძალის წინააღმდეგ საკმაოდ მძლავრ ძალას წარმოადგენდა. როგორც წესი, АГС-ით ცეცხლის წარმოება გვერდით ფრენის მიმართულების მიხედვით ან მკვეთრი ვირაჟით ხდებოდა, მაგრამ საშტატო სამიზნის არაეფექტიანობის გამო სროლის სიზუსტე ბორტტექნიკოსის სიმარჯვეზე იყო დამოკიდებული.

განსაკუთრებით ეფექტიანად მფრინავები 57მმ-იან С-5-ის ტიპის სხვადასხვა საბრძოლო ქობინიან უმართავ საავიაციო რაკეტებს იყენებდნენ. განსაკუთრებით პოპულარული მსხვრევად-ფუგასური ტიპის საბრძოლო ქობინები იყო,რომელთა აფეთქებისას 70-75 ცალი 0,5-1-გრამიანი ნამსხვრევი წარმოიქმნებოდა. როგორც წესი, 1600-1800მ-ის დისტანციიდან ზალპით 8, 16 ან 32 რაკეტას უშვებდნენ. სროლის სიზუსტის გასაზრდელად ბევრი მფრინავი რაკეტებს გაცილებით მცირე – 200-300მ-ის დისტანციიდან უშვებდა.

მაგრამ სიზუსტის გარდა С-5-ის ტიპის რაკეტების ნაკლად დაბალი დაზიანებითი შესაძლებლობები ითვლებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც რაკეტები ავღანური სახლების თიხის კედლებშიც კი იჭედებოდნენ და არ ფეთქდებოდნენ.

ნაგებობებზე შეტევისას გაცილებით პრაქტიკული იყო მსხვრევადი და მსხვრევად-ფუგასური ტიპის ბომბების გამოყენება. ასკილოგრამიანი ბომბის აფეთქება 2500 მსხვილ ნამსხვრევს იძლეოდა, რომლებიც მომაკვდინებელ ძალას 35-45მ-ის რადიუსში ინარჩუნებდნენ. ჩვეულებრივ, Ми-8-ს ეკიპაჟები ორი ბომბისა და ორი უმართავი რაკეტების გამშვები კონტეინერისგან შემდგარ კომბინირებული სახის შეიარაღებას ამჯობინებდნენ. ასეთი სახის შეიარაღება უნივერსალურობით გამოირჩეოდა და ხშირად შეიარაღების ნაირსახეობა ბორტებს შორის ნაწილდებოდა. ადგილობრივი ხელმარჯვე ოსტატები Ми-8-ზე გამანადგურებლიდან მოხსნილი ტყვიამფრქვევისა და БМП-1-დან ნასესხებ 73მმ-იანი ქვემეხის დაყენებას ცდილობდნენ, მაგრამ მისი ჰაერში გამოცდა ძლიერი უკუდარტყმის გამო ვერ გაბედეს.

Ми-8-ს საბრძოლო გამოყენების ტაქტიკის დახვეწასთან ერთად მფრინავებმა შეტევის სხვადასხვა ტაქტიკის გამოყენება დაიწყეს. ყველაზე გავრცელებულს „შეკრული წრე" წარმოადგენდა, რომლის დროსაც რგოლის შემადგენლობით შვეულმფრენები შეტევაზე პიკირებით გადადიოდნენ და გამოსვლისას ერთმანეთს ფარავდნენ. წესისამებრ, ასეთი ტაქტიკისას უსაფრთხოების ინტერვალი ბორტებს შორის 1000-1500მ უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეუჩერებელი ცეცხლის საწარმოებლად ამ დისტანციას ამცირებდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც ცეცხლის გახსნისას წინ მყოფი მანქანა რამდენიმე წამით ადრე უხვევდა გვერდზე.

ხეობებში Ми-8-ები, ძირითადად, დაბალ სიმაღლეზე ფრენდნენ, მოწინააღმდე-






Ми-8-ის გარე საკიდარზე 500-კგ-იანი ფუგასური ბომბი და უმართავი რაკეტების გამშვები ბლოკი УБ-32А-24

გე კი ავტომატებითა და მოჯაჰედების საყვარელი „ენფილდის“ ინგლისური შაშხანებით ხსნიდა ცეცხლს.

თავდაპირველად, სწრაფად მოძრავი მიზნისთვის სროლის გამოცდილების უქონლობის გამო მოწინააღმდეგის ტყვიების უმეტესობა შვეულმფრენის კუდის ნაწილს ხვდებოდა. მჭიდროდ შეთანწყობილ გამანადგურებელთან შედარებით, სადაც ერთი ტყვიის მოხვედრასაც შეეძლო სისტემის ან აგრეგატის მწყობრიდან გამოყვანა, „ცარიელი“ შვეულმფრენი ასეთ დაზიანებას ადვილად უმკლავდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც Ми-8-ები ბრძოლიდან მზიდი ხრახნის ერთდროულად სამი დაზიანებული ნიჩბით (თავად ნიჩბებში კი 5-6 ნახვრეტი იყო), გახვრეტილი საწვავის ავზებით, დახეული ლონჟერონებით ბრუნდებოდნენ.

ეკიპაჟების სიცოცხლისუნარიანობის გაზრდის მიზნით მათ დაურიგეს დამცავი ჩაფხუტები და ჯავშანჟილეტები, მაგრამ ორკილოგრამიანი ჩაფხუტის დახურვა არც ისე ბევრს სურდა. ჯავშანჟილეტებს კი ტყვიებისგან დაცვის მიზნით სავარძლის ზურგზე ან ბლისტერზე კიდებდნენ. ამ დამცავი საშუალებების გარეშეც ეკიპაჟს ისედაც მძიმე პირობებში უწევდა მუშაობა. ზაფხულში შვეულმფრენის შემონაკერი +80-90⁰C-მდე ხურდებოდა და კაბინაში გაჩერება შეუძლებელი იყო. ხშირად ძლიერი სიცხის გამო ეკიპაჟები მხოლოდ შორტებსა და პანამებში დაფრინავდნენ. ყველაზე რთული მუშაობა კი ბორტტექნიკოსს ჰქონდა, რომელიც პასუხისმგებელი იყო შვეულმფრენის შეიარაღებაზე, დატვირთვაზე, საწვავით გამართვაზე. ფრენისას კი თვალს ადევნებდა სისტემების მუშაობას, ეხმარებოდა პილოტსა და შტურმანს, ისროდა და ხელმძღვანელობდა დესანტის გადასხმას.

აეროდრომზე შვეულმფრენის ტექნიკური დათვალიერებისას დამწვრობების თავიდან ასაცილებლად მათ გაგრილებას წყლით ცდილობდნენ. წყლის უქონლობისას კი მუშაობა მხოლოდ ხელთათმანებით იყო შესაძლებელი.

თუ საჭირო შეიქნებოდა საბრძოლო დავალებაზე Ми-8-ს სასწრაფოდ გაშვება, დაშვებული იყო აფრენა გაუმართავი აღჭურვილობით, ცალკეული სისტემის გაუმართაობითა და „დაუკერავი“ ნახვრეტებით. გამძლე Ми-8 ექსპლუატაციის უმძიმეს პირობებს უძლებდა. იყო შვეულმფრენები, რომლებსაც რამდენიმე ათეული ნატყვიარი ჰქონდა ან არ იყო დაბალანსებული მზიდი ხრახნის ნიჩბები. მართალია, ამ შემთხვევაში წარმოიქმნებოდა ვიბრაცია, მაგრამ ფრენა შეიძლებოდა. 1980 წლის გაზაფხულზე ორმა Ми-8Т-მ მჭიდრო მწყობრში ფრენისას ერთმანეთს მზიდი ხრახნები წამოსდო. ავარიული დაჯდომისა და ხელთ არსებული ინსტრუმენტების საშუალებით დეფექტების გამოსწორების შემდეგ, ორივე მანქანა ბაზაში მშვიდობიანად დაბრუნდა.

ზაფხულის ჩვეულებრივ დღეებში, როდესაც ტემპერატურა +40⁰C-ს უახლოვდებდა, დაბლობების აეროდრომებზეც კი Ми-8-სა და Ми-8Т-ზე დაყენებული ძრავების სიმძლავრე მესამედით ეცემოდა, მაღალმთიან რაიონებში კი ნახევრდებოდა. შესაბამისად, მცირდებოდა სასარგებლო დატვირთვაც. ზოგჯერ Ми-8-ს 4000კგ-იანი პასპორტული დატვირთვა 9-10 მედესანტით შემოიფარგლებოდა.

განსაკუთრებით პრობლემატური იყო ძრავების გაშვება, როდესაც კომპრესორებს



Ми-8-ს ბორტში ეს ნაპრალი „სტინგერის“ აფეთქების შედეგად, მზიდი ხრახნის მოგლეჯილმა ნიჩბის ნაწილმა გააკეთა



სერიოზული დაზიანების მიუხედავად, ამ შვეულმფრენის აღდგენა ერთ დღეში მოხერხდა



მზიდი ხრახნის ნიჩბის შეცვლა საველე პირობებში



ცხელი ჰაერის შეწოვა უჭირდათ. ჰაერის ოდნავ მაინც გასაცივებლად კი ჰაერმიმღებებზე ეკიპაჟის კაბინის ზედა ლიუკიდან წყალს ასხამდნენ.

ზაფხულში სიცხისას კვანძებში საპოხი მასალა დნებოდა, გადახურების გამო კი აკუმულატორები დუღდა. მტვერი აღწევდა სახსრებში, ჰიდრო- და ზეთის სისტემებში, რაც უჟანგავად მიჩნეული ფოლადის დეტალების კოროზიას იწვევდა. საწვავის ყოველ ტონაზე გამმართველ ცისტერნებში ნახევარი კილოგრამი ქვიშა და მტვერი მოდიოდა, რომელიც ადრე თუ გვიან ავზებში ხვდებოდა და ფილტრებს ჭედავდა. ეს კი ძრავების რეჟიმიდან თვითნებური გასვლის ან საერთოდ გათიშვის საშიშროებას ქმნიდა. არსებულ პირობებში ძრავები გათვალისწინებული რესურსის ნახევარსაც კი ვერ უძლებდა. Ми-24-სა და Ми-8T-ზე დაყენებულმა ქვიშადამცავმა მოწყობილობებმა კი, ისედაც დაბალი სიმძლავრიდან დამატებითადართმეული 6%-ის გამო, ვერ პოვა ფართო გამოყენება.

1980 წლის ივნისიდან Ми-8T-ზე დაიწყო შეიარაღებისა და ეკიპაჟის დაცულობის გაუმჯობესება. კაბინის გარე და შიდა მხრიდან ბლისტერების ნაწილზე დაყენდა 5მმ-იანი დაჯავშნული ეკრანები. ჯავშნის მასამ 180კგ შეადგინა და საკმაოდ ეფექტიანიც აღმოჩნდა — ის ნასროლი ტყვიების, მათ შორის მსხვილკალიბრიანის, 70%-ს აკავებდა. ცხვირში დამინვის ცენტრალური სექციის ნაცვლად დაყენდა მოძრავი 7,62მმ-იანი სატანკო ტყვიამფრქვევი 500-ვაზნიანი საბრძოლო კომპლექტით. ორი ПКТ უძრავად იყო დაყენებული გარე საკიდრის ფერმებზე, კიდევ ერთი კი კუდის ლიუკში. ზოგჯერ შემოსასვლელ კარში 12,7მმ-იან ДШК-ის ტიპის ტყვიამფრქვევსაც დგამდნენ.

1980 წელს მე-40 არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში უფრო ძლიერი ძრავებითა და საშტატო ქვიშადამცავი მოწყობილობებით აღჭურვილი პირველი Ми-8MT-ები შევიდნენ. თითქმის ერთ-ნახევარჯერ მომატებული ენერგოშეიარაღების წყალობით ეს მანქანები წინამორბედებისგან გაზრდილი სიჩქარით, მანევრულლობითა და სწრაფალმავლობით გამოირჩეოდა. Ми-8MT ერთი გამორთული ძრავითაც კი თავისუფლად დაფრინავდა. Ми-8MT-ს მოსინჯვის შემდეგ, Ми-8T მფრინავებს ნელი და მოუქნელი ეჩვენებოდათ. გაზრდილი ტვირთამწეობის წყალობით, შვეულმფრენში არსებული პილონების რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა, მის შეიარაღებაში კი 500კგ-იანი ბომბები და გაცილებით ძლიერი რაკეტების გამშვები კონტეინერები შევიდა.

მოულოდნელობის ეფექტის მარჯვედ გამოსაყენებლად ხშირად შვეულმფრენების ეკიპაჟები დაბალ სიმაღლეზე ფრენდნენ. 1980 წლის აგვისტოში ყანდაარის აეროდრომზე ერთ-ერთი Ми-8T დავალებიდან შასის წინა დგარის გარეშე დაბრუნდა, რომელიც დაბალ სიმაღლეზე ფრენისას ბორცვს წამოსდო. დაჯდომამ მას დადებულ ყუთებზე მოუწია. შეკეთების შემდეგ მწყობრში ჩადგა, სამახსოვროდ კი კაბინის შეჭყლეტილი იატაკი დარჩა.

განსაკუთრებით რთული მაღალმთიან რაიონებსა და უღელტეხილებზე განლაგებული საგუშაგოების სურსათითა და ტყვია-წამლით მომარაგება იყო. დიდ სიმაღლეზე ასასვლელად Ми-8-ს მაქსიმალურად ამსუბუქებდნენ. ხსნიდნენ ჯავშანს, გარესაკიდრის ფერმებს, სატვირთო ნაკვეთურის სავარძლებსა და აღჭურვილობის ნაწილს. „გაშიშვლებულ“ შვეულმფრენს რამდენიმე ასეული მეტრით უფრო მაღლა ასვლა შეეძლო, მაგრამ ხშირად დასაჯდომი ადგილის არარსებობის გამო ტვირთის გადმოტვირთვა და ხალხის აყვანა შვეულმფრენის ჰაერშივე ყოფნისას და ერთ-ერთი თვლის კლდეზე ჩამოდებით ხდებოდა.





ავღანეთში დაკარგული ერთ-ერთი პირველი Ми-8. ფოტო დასავლური ჟურნალისტის მიერაა გადაღებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავარიული დაჯდომისას ეკიპაჟის ბედს წუთები წყვეტდა. ასეთ შემთხვევაში ყველაზე ახლოს მყოფი მეორე შვეულმფრენი ავარიული მანქანის ეკიპაჟის ასაყვანად იქვე ჯდებოდა. ჰაერში დარჩენილები კი 200-250მ-ის სიმაღლეზე წრეს კრავდნენ და საჭიროების შემთხვევაში მიწაზე მყოფებს ცეცხლით ფარავდნენ. 1985 წლის ივნისში შვეულმფრენების სამაშველო ჯგუფი ბაგრამთან ჩამოგდებული გამანადგურებლის მფრინავს ეძებდა. ის მოკლული იპოვეს — პარაშუტით ჩამოშვებისას დუშმანებმა ჰაერშივე დაცხრილეს. ცხედრის წასაღებად დამჯდარი Ми-8-ს კარიდან გადმოსულ ბორტტექნიკოსს სნაიპერის ტყვია თავში მოხვდა და შვეულმფრენსაც ყუმბარსატყორცნებით ცეცხლი გაუხსნეს. მანქანიდან გადმოსვლა მხოლოდ შტურმანმა მოასწრო. მფრინავები ყოველწლიურად საშუალოდ 30-35 შვეულმფრენს კარგავდნენ, ზოგჯერ ეკიპაჟებიანად.

დაზიანების უმეტეს ნაწილს Ми-8-ები დესანტირებისას, ხალხის აყვანისას (50%) და სატრანსპორტო გადაზიდვებისას (15%) იღებდნენ. მოჯაჰედები უმეტესად შვეულმფრენის ეკიპაჟის განადგურებას ცდილობდნენ. სტატისტიკის თანახმად, საშვეულმფრენო ავიაციაში დანაკარგის 44% ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული მფრინავების ხარჯზე მოდიოდა. „ბურის" ტყვია, რომლის სროლის დისტანციაც 2600მ-ს შეადგენდა, არანაკლებ საშიშ ძალას წარმოადგენდა. 1982 წლის მარტში ლეიტენანტ მინინს



ზოგჯერ Ми-8-ს კარში მსხვილკალიბრიან ДШК-საც აყენებენ

„ბურის" ტყვია სახეში მოხვდა, მაგრამ შტურმანმა დროზე მოასწრო შვეულმფრენის სახიფათო ზონიდან გაყვანა. მის მიმყოლ კაპიტან ალექსანდროვს კი ტყვია ხელში მოხვდა და შვეულმფრენი დაჯდომისას გადაყირავდა. საბედნიეროდ, ეკიპაჟი გადარჩა. მწყობრში დაბრუნებულ მფრინავს კი პირველივე გაფრენაზე სნაიპერის ტყვია ისევ იმ ადგილას მოხვდა.

შვეულმფრენის აფრენა-დაფრენისას მოჯაჰედები ხშირად ხელის ყუმბარსატყორცნებსაც იყენებდნენ. РПГ-7-ით ნასროლ კუმულაციურჭობინიან ჭურვს შვეულმფრენის 1,5მ$^2$ ნახვრეტის გაკეთება ან კუდის ძელის მოგლეჯა შეეძლო. 1983 წლის გაზაფხულზე ასედაბადის აეროდრომზე ყუმბარმტყორცნელმა, პრაქტიკულად, 20მ-ის დისტანციიდან ახლად აფრენილ Ми-8МТ-ს РПГ-7 ესროლა. 4მ-ის სიმაღლეზე მყოფი ალმოდებული შვეულმფრენი მაშინვე ჩამოვარდა. ძლიერი ხანძრის მიუხედავად, მფრინავებმა მოასწრეს მანქანიდან გადმოსვლა და საშველად მოსულ БМП-ს შეაფარეს თავი. ერთ-ერთი Ми-8 ნაწილიდან გატაცებული Шилка-ს მსხვერპლი გახდა. 1980 წლის 22 ივნისს ყანდაართან სადაზვერვო ფრენის შესრულებისას შვეულმფრენს ფიუზელაჟი დაუზიანდა, — ის თითქმის შუაზე გადაიჭრა. მიმყოლ მანქანას, რომლის თვალწინაც მოხდა ყველაფერი, არ შეეძლო დახმარება და ალმოდებულ მანქანაში ყველა დაიწვა.

მოჯაჰედების შეიარაღებაში არსებული მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია შვეულმფრენების ეშელონების უფრო მაღალ სიმაღლეზე ატანა. ავღანეთში გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების გამოჩენამ კი ძირფესვიანად შეცვალა შვეულმფრენების გამოყენების ტაქტიკა. საფრენოსნო რუკებზე სახიფათო რაიონების აღნიშვნა 1980 წლიდან დაიწყეს, 1982-ში კი პანჯშერის ხეობაში საბჭოთა მებრძოლებმა ხელთ იგდეს დუშმანთა „სტრელები". 1983 წელს დაფიქსირდა გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების გამოყენების პირველი ფაქტები, შემდგომ წლებში კი მათ რიცხვმა საგრძნობლად იმატა. 1984 წლის ბოლოს დაფიქსირდა 62 გაშვება, 1985-ში — 141, 1986-ში კი — 847.

შვეულმფრენების გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებისგან დაცულობის გაზრდის მიზნით, 1980 წლის ზაფხულში მათზე ეკრანულ-გამოსაბოლქვი მოწყობილობებისა და სითბური ხაფანგების გამშვები АСО-2В კონტეი-



ნერების დაყენება გადაწყდა. ეკრანულ-გამოსაბოლქვი მოწყობილობა ფურცლოვანი მასალისგან დამზადებულ ერთგვარ ყუთს წარმოადგენდა, რომელიც შვეულმფრენის საქშენზე მაგრდებოდა. რადგანაც გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების რაკეტის თვითდამიზნებადი თავი საქშენიდან გამოსული ცხელი ჰაერის ჭავლზე რეაგირებდა, ეკრანულ-გამოსაბოლქვი მოწყობილობა საქშენიდან გამოსულ ცხელ ჰაერს „ყუთში" შესულ გარეჰაერთან ურევდა და ამავე დროს შერეულ ჰაერს სპეციალური მიმმართველების წყალობით მზიდი ხრახნის ბრუნვის სიბრტყეში ახვედრებდა. იქ კი ძლიერი ტურბულენტური ნაკადი მომენტალურად ახდენდა მის ჰაერთან შერევას, რაც 2-3-ჯერ ამცირებდა ძრავას სითბურ ფონს. ოთხი АСО-ს კონტეინერი, რომელთაგანაც თითოეული ЛО-56 ტიპის 32 პიროპატრონს შეიცავდა, ფოლადის ლენტებით კუდის ძელზე, ქვედა მხრიდან მაგრდებოდა. შემდგომში, იმისთვის, რომ ხაფანგები ძრავას სითბურ კვალში დამწვარიყვნენ, Ми-8МТ-ზე მათ სამ-სამს შვეულმფრენის ბორტებზე, შასის ძირითადი საყრდენის სამაგრსა და სატვირთო ლიუკს შორის ამონტაჟებდნენ.

მიუხედავად ბევრი მცდელობისა, ამ სისტემების გამოყენება არცთუ შედეგიანი გამოდგა. ხაფანგების ეფექტიანობა, რომელთა წვის ხანგრძლივობაც 5-8წმ-ს შეადგენდა, მხოლოდ 10-15%-ს აღწევდა. ეკრანულ-გამოსაბოლქვი მოწყობილობის ოპტიმალური ვარიანტის შესარჩევად კი სამჯერ გახდა საჭირო მისი კონსტრუქციის შეცვლა.

1982 წლიდან შვეულმფრენებზე დაიწყეს ხარვეზების დამყენებელი ოპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა





ხშირად Ми-8 დახმარების ერთად-ერთი საშუალებას წარმოადგენდა

ტიკურელექტრონული СОЭП-В1А Липа-სისტემის დამონტაჟება. Липа შვეულმფრენზე რედუქტორის უკან მონტაჟდება. მასში ქსენონის ძლიერი ნათურა ან ნიქრომის სპირალი ყენდება. მათი გაცხელებისას გამოყოფილი ინფრაწითელი გამოსხივება მბრუნავი ლინზების სისტემის წყალობით შვეულმფრენის გარშემო იფანტება. ამ დროს წარმოიქმნება მუდმივად გადაადგილებადი ინფრაწითელი სისტემის იმპულსური ნაკადი, რაც რაკეტის თვითდამიზნებად თავს აბნევს. სამივე სისტემის ჯამურმა ეფექტიანობამ საბრძოლო პირობებში 70-85%-ს მიაღწია.

გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებისგან დაცულობის გაზრდას ნაკლიც ჰქონდა. ეკრანულ-გამოსაბოლქვმა მოწყობილობებმა შვეულმფრენის მასას 68კგ მიამატეს, კიდევ 50 АСО-ს კონტეინერებმა და 25 – Липа-მ. მთლიანობაში შვეულმფრენი 500კგ-ით დამძიმდა, რაც ძალიან ბევრი იყო. საფრენოსნო მახასიათებლების შენარჩუნების მიზნით, ნაწილებში დაიწყო შვეულმფრენების შემსუბუქება. ხსნიდნენ გარესაკიდრის ფერმებზე დაყენებულ ПКТ-ებს, ხშირად კი ეკრანულ-გამოსაბოლქვ მოწყობილობებსაც, რომლებიც საგრძნობლად ზრდიდა შუბლა წინაღობას. განსაკუთრებით ეს შედარებით დაბალი სიმძლავრის მქონე ძრავებიან Ми-8Т-ზე ითქმის. კუდის ნახევარსფეროს დასაცავად განკუთვნილ ПКТ-ს ტოვებდნენ.

Ми-8-ზე ფიუზელაჟის გარეთ არსებული საწვავის ავზების დასაცავად გარედან ფოროვან რეზინას აწებებდნენ, რომელიც ავზის გახვრეტის შემთხვევაში ნახვრეტების დაცობას ახდენდა. შიგნიდან კი ქაფპოლიურეტანის ღრუბლით ავსებდნენ, რომელიც აჩერებდა ცეცხლის გავრცელებასა და ახშობდა აფეთქებას. ეს ზომები, პრაქტიკულად, გამორიცხავდა ხანძარს და საწვავის ავზების აფეთქებას მსხვილკალიბრიანი ტყვიის მოხვედრის შემთხვევაშიც. მართვის სისტემის დაცულობის მიზნით, ერთი მორტყმით რომ არ გადაჭრილიყო, კუდის ხრახნის მართვის ტროსები ერთმანეთს დააშორეს. დაჯავშნული ეკრანებით ფარავდნენ ზეთისა და ჰიდროსისტემებს. ძალზე ბევრი სამოდერნიზაციო სამუშაო Ми-8-ს მწარმოებელ ქარხნებსა და საკონსტრუქტორო ბიუროში უტარდებოდა.

1982 წლიდან Ми-8МТ-ზე დაიწყო С-8 ტიპის გაცილებით ძლიერქობინიანი 80მმ-იანი უმართავი რაკეტების გამშვებისა და 23მმ-იანი ქვემეხებით აღჭურვილი დასაკიდი კონტეინერების გამოყენება. ცოტა ხანში კი Ми-8МТ-ს ეკიპაჟებმა უნივერსალური საშვეულმფრენო გონდოლების ГУВ-ის გამოყენება დაიწყეს. ГУВ-1 აღჭურვილი იყო АГС-17-ის ბაზაზე შექმნილი АП-30 ავტომატური ყუმბარსატყორცნით, რომლის საბრძოლო კომპლექტიც 300 ყუმბარას შეადგენდა. მეორეში ГУВ-8700 – კი ორი 7,62მმ-იანი ოთხლულიანი ტყვიამფრქვევით ГШГ (1800 ვაზნა თითოზე) და ერთი 12,7მმ-იანი ტყვიამფრქვევით (750 ვაზნა).

დანაკარგების ზრდამ, შვეულმფრენების ეკიპაჟებს მოქმედების ტაქტიკის შეცვლა აიძულა. სულ უფრო ფართოდ გამოიყენებოდა მკვეთრი ზენიტსაწინააღმდეგო მანევრი და მოქმედება დაბალ სიმაღლეზე, რაც მოწინააღმდეგეს დამიზნების საშუალებას ურთულებდა. 1984 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში პანჯერის ხეობაზე მორიგი შეტევისას, ერთ დღეში, 16 ივნისს, ბაზაში არ დაბრუნდა ხუთი Ми-8. მათი მოძებნა არც უცდიათ, რადგან სამაშველო ოპერაციას შეიძლებოდა შვეულმფრენები და ხალხი შესწირვოდა. 1985 წელს ყანდაართან ჩატარებული ოპერაციისას Ми-8-ებმა ორი კვირის განმავლობაში 508 გაფრენა შეასრულეს.

1987 წლისთვის მოჯაჰედების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა იმდენად გაძლიერდა, რომ მე-40 არმიის ხელმძღვანელობამ აკრძალა შვეულმფრენების დამრტყმელ-საიერიშო ოპერაციებში გამოყენება და ეს ამოცანა მთლიანად დამრტყმელ თვითმფრინავებს დააკისრა. სულ უფრო ხშირად შვეულმფრენებს ღამით უწევდათ მოქმედება. ასეთი ფრენებისას უსაფრთხოების მიზნით დისტანცია მანქანებს შორის 800-1000მ-მდე გაიზარდა. Ми-8-ები, ჩვეულებისამებრ, დამრტყმელ ოპერაციებს Ми-24-ებთან ერთად ატარებდნენ. ამიტომ მათთვის ადგილმდებარეობის გასანათებლად 2500-3000მ-ის სიმაღლიდან მანათობელ ბომბებს САБ-ებს ყრიდნენ.

ავღანეთში ინტენსიური საბრძოლო მოქმედების შემცირებასთან ერთად, შემცირდა შვეულმფრენების აქტივობაც. 1988 წლის 15 მაისისთვის მე-40 არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების განკარგულებაში 331 შვეულმფრენი ირიცხებოდა.

1989 წლის 15 თებერვლის დილას, მე-40 არმიის მეთაურის, გენერალ გრომოვის უკანასკნელმა БТР-მა გადაკვეთა სახელმწიფო საზღვარი და მხოლოდ „პირველის“ გასვლაზე ინფორმაციის მიღების შემდეგ Ми-8-ებმა დაცვის ხუთი ჯგუფი აიყვანეს და ავღანეთი დატოვეს.

*თემურ პულუზაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# VENI, VIDI, VICI

„თუკი დაარღვევ კანონს, მხოლოდ ბატონობისთვის, ისე კი მუდამ უნდა იყო სამართლიანი", – ამბობდა იულიუს კეისარი, რომლის ცხოვრების არსს ძალაუფლებისკენ დაუოკებელი სწრაფვა წარმოადგენდა. ის რომაელი პატრიციების ჩამომავალი იყო. ამ მოდგმის ფუძემდებლად ლეგენდარული ტროელი ენეასის ვაჟიშვილს, იულიუსს ასახელებენ, ხოლო ენეასის დედად თავად ქალღმერთი ვენერა მიიჩნეოდა. ასე რომ, სახელოვანი იმპერატორი ღვთაებრივი წარმომავლობით ამაყობდა.

გაიუს იულიუს კეისარი დაიბადა ძვ. წ. 100 წლის 12 კვინტილისს. ეს იყო რომაული კალენდრის მეხუთე თვე, რომელსაც მოგვიანებით მისი სახელის უკვდავსაყოფად ივლისი ეწოდა. ოჯახმა ნიჭიერ ყმაწვილს ჩინებული განათლება მიაღებინა, რაც ბერძნული ენისა და ლიტერატურის, ფილოსოფიის, ისტორიისა და ორატორული ხელოვნების ცოდნას გულისხმობდა. განსაკუთრებული მონდომებით კეისარი ორატორობის ხელოვნებას ეუფლებოდა. ამ მხრივ მხოლოდ ციცერონს თუ ჩამოუვარდებოდა. ასე ფიქრობდა ციცერონიც.

თექვსმეტი წლის არც იქნებოდა მომავალი იმპერატორი, რომ მამა გარდაეცვალა. მიუხედავად ახალგაზრდობისა, გავლენიან ნათესავთა წყალობით იუპიტერის ქურუმის წოდება მიიღო. კეისრის მამიდა, იულია, ცოლად ჰყავდა სახელმოხვეჭილ მხედართმთავარ გაიუს მარიუსს, რომელიც შვიდგზის იყო კონსული (კონსული – უმაღლესი თანამდებობის პირი ძვ. რომში). ალბათ, იულიას სურვილით დააქორწინეს კეისარი მარიუსის უახლოესი თანამოაზრის, კორნელიუს კინას ასულზე. რომის რჩეულ საზოგადოებასთან სიახლოვე ღირსეულ ჭაბუკს ბრწყინვალე მომავალს უქადდა, თუმცა, მის გავლენიან მფარველთა ძალმოსილება მალე ისტორიას ჩაბარდა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც სახელმწიფოს სათავეში მოვიდა სულა (ძვ.წ. 82-79 წწ.), მარიუსის დაუძინებელი მტერი.

ჩაიგდო თუ არა ხელში დიქტატორის ძალაუფლება, სულამ ქურუმის წოდება აჰყარა კეისარს და მეუღლესთან გაყრაც მოსთხოვა. როდესაც ამაყმა და თავნება ჭაბუკმა არად ჩააგდო მისი მუქარა, ჯერ ცოლის მზითევი და მამის მემკვიდრეობა ჩამოართვა, შემდეგ კი მისი მოკვლის ბრძანებაც გასცა. კეისარი იძულებული გახდა, რომიდან გაქცეულიყო. ყოველღამ იცვლიდა სადგომს, რადგან ვერსად გრძნობდა თავს უსაფრთხოდ. რომის გავლენიანმა მოქალაქეებმა გაბედეს და სთხოვეს სულას, შეეწყნარებინა ჭაბუკი. როგორც ამბობენ, დიქტატორს უთქვამს: ,,როგორ ვერ ხვდებით, რომ იულიუსის გადარჩენით დალუპავთ იმ საქმეს, რომლისთვისაც ვი-



იულიუს კეისარი
რომის სახელოვანი
სახელმწიფო მოღვაწე,
მთავარსარდალი,
იმპერატორი
(ძვ. წ. 100/102-44 წწ.)

ბრძოდით; ამ ერთ ყმაწვილში უამრავი მარიუსია ჩაბუდებული!" მიუხედავად ამისა, სულამ მაინც შეიწყნარა გაიუსი, რომელმაც სულას ნათქვამის გაგებისთანავე დატოვა იტალია. მან სამსახური დაიწყო რომაულ ჯარში და თავი გამოიჩინა ლესბოსის ქალაქ მიტილენეს აღებისას, რის გამოც მუხის რტოების გვირგვინით დაჯილდოვდა.

სულას გარდაცვალების შემდეგ გაიუსი რომში დაბრუნდა, მაგრამ მალე გაემგზავრა როდოსისაკენ, რათა მჭევრმეტყველების ხელოვნებას დაუფლებოდა სახელმოხვეჭილ აპოლონიოს მოლონთან. ეგეოსის ზღვაში, კუნძულ ფარმაკუსას მახლობლად, ტყვედ იგდეს ყაჩაღებმა და გამოსასყიდად 20 ტალანტი მოსთხოვეს. ,,იაფად მაფასებთ!" – გაუცინია ტყვეს და 50 ტალანტს შეჰპირებია თავის გამოსახსნელად. შემდეგ კეისარმა თანამგზავრები დაგზავნა ფულის შესაგროვებლად, თავად კი ყაჩაღებთან დარჩა პირადი ექიმისა და ორი მსახურის ამარა. ორი თვე დაყო ყაჩაღებთან. ისე იქცეოდა, თითქოს ისინი მცველებად ემსახურებოდნენ. მოსვენებისას უკრძალავდა მათ სიმღერასა და ხმაურს, აიძულებდა, მოესმინათ თავისი შეთხზული სიტყვები და პოემები. როდესაც ყაჩაღებს აღფრთოვანებას ვერ შეატყობდა, ლანძღავდა, ველურებს უწოდებდა და ჩამოხრჩობით ემუქრებოდა. სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ ყაჩაღებს მისი მუქარა, თუმც სულ მალე ცხადი გახდა, რომ კეისარი ამაოდ არ იმუქრებოდა. როდესაც გამოსასყიდი გადაუხადა ყაჩაღებს და თავისუფლება დაიბრუნა, შეკრიბა რამდენიმე სამხედრო ხომალდი და დამტყვევებლებს დაედევნა. დაეწია, ხელთ იგდო ყველა და ჯერ თავისი ფული დაიბრუნა, შემდეგ კი ყაჩაღები ჯვარს აცვა ისე, რომ ხელისუფალთა თანხმობას არ დალოდებია.

მთელი წელი დაყო კეისარმა როდოსზე. მისმა თავდაუზოგავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო: თანამედროვენი აღფრთოვანებით ისმენდნენ მის ბრწყინვალე სიტყვებს. ციცერონიც კი აღიარებდა, რომ გაიუსის სიტყვები გამოირჩეოდა მახვილგონიერებით, სისხარტითა და აზრის გამოთქმის სინათლით. საგულდაგულოდ შერჩეული სიტყვები, მოხდენილად აწყობილი ფრაზები მის ყოველ გამოსვლას დიდებულების ელფერს მატებდა. მის წარმატებას ხელს უწყობდა ხმის სილამაზეც.

სულას გარდაცვალების შემდეგ რომში ამბოხებამ იფეთქა და გაიუსმაც გამოიყენა ეს სამშობლოში დასაბრუნებლად. დედის რჩევით არ მონაწილეობდა ამბოხ-



ებაში, რომელიც მის კრახით დასრულებას წინასწარმეტყველებდა.

კეისარმა მალე მიიმხრო საზოგადოება ჩვეული სითამამით, როცა მსჯავრს დებდა ყოფილი დიქტატორის გავლენიან თანამზრახველებს. ძალას, ენერგიასა და სახსრებს არ იშურებდა ხალხის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. უზარმაზარი ვალის აღება მოუხდა, რათა სამხედრო ტრიბუნის თანამდებობა მიეღო. მას შემდეგ სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა და ახლა უკვე ერთიმეორის მიყოლებით სთავაზობდნენ საპატიო თანამდებობებს. იყო კვესტორიც (კონსულის დამხმარე ფინანსურსა და სამსჯავრო საქმეებში), ედილიც (მოხელე, რომელსაც ქალაქის კეთილმოწყობა და ქალაქური ზეიმები ევალებოდა). ამ თანამდებობებზე ის ენერგიულად შეუდგა რომის გამშვენიერებას, ხოლო ხარჯებით, ხალხის გართობას რომ ემსახურებოდა, ყველა დაჩრდილა, ვისაც ოდესმე ღირსებია ეს სამსახური. მან პირველმა დაუთმო არენა გლადიატორთა მანამდე არნახულ რაოდენობას – 320 წყვილი ერთ ჯერზე – და ეს იყო ბევრად უფრო ცოტა, ვიდრე მას სურდა. აი, როგორ ახასიათებდა მას პლუტარქე: ,,რომში კეისარმა თავისი მჭევრმეტყველური გამოსვლებით სამსჯავროში ბრწყინვალე წარმატებები მოიპოვა, ხოლო თავაზიანობითა და კეთილგანწყობით უბრალო ხალხის სიყვარულიც დაიმსახურა, რადგან ყოველი ადამიანისადმი უფრო მეტ ყურადღებას იჩენდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო მისი ასაკის კაცისაგან, ხოლო ნადიმები, წვეულებები, და საერთოდ, ცხოვრების წესის დიდებულება ხელს უწყობდა მისი გავლენის გაძლიერებას სახელმწიფოში“. სულას შემდეგ ციცერონი, ალბათ, პირველი იყო, რომელსაც სახიფათოდ მიაჩნდა კეისრის მოღვაწეობა და ამ ადამიანში მხიარულსა და მოალერსე ნიღაბს ამოფარებული მტკიცე და შეუპოვარი ხასიათი დაინახა. როგორც ამბობდა, კეისრის ყველა ჩანაფიქრსა და მოქმედებაში ძალაუფლების ხელში ჩაგდების მძაფრი სურვილი გამოკრთოდა, მაგრამ დასძენდა: ,,ამ ადამიანს არ შეუძლია ისეთი დანაშაულის ჩადენა, როგორიც არის რომის სახელმწიფო წყობის დამხობა“. კეისარი კი სწორედ ამ მიზანს ისახავდა. ის თვლიდა, რომ შეეძლო არისტოკრატიულ-რესპუბლიკური წყობის დამხობა მრავალრიცხოვან პლებსზე (ძვ. რომში დაბალი წრეების წარმომადგენელი, პირადად თავისუფალი ადამიანი, რომელსაც პირველ ხანებში პოლიტიკური უფლება არ ჰქონდა) დაყრდნობით. ამიტომ იყო, რომ კეისარი სახსრებს არ იშურებდა და ვალებს იღებდა მათი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

რომში ჯერ კიდევ მრავლად იყვნენ მარიუსის მომხრეები. მათ სძულდათ სულა, მაგრამ ხმას ვერ იღებდნენ შიშით. და აი, კეისარმა სცადა მათი შეგულიანება. გაუგონარი რამ მოიმოქმედა: ღამით კაპიტოლიუმის ბორცვზე აიტანა მარიუსის მოოქრული ქანდაკებები. მათი წარწერები იუწყებოდნენ მხედართმთავრის სახელოვან საქმეთა ამბებს. სენატი ღელავდა სახალხო პარტიის აღორძინების გამო და კიდევ იმით, რომ ,,კეისარი ახლა მხოლოდ ძირს კი არ უთხრიდა რესპუბლიკას, არამედ თავს ესხმოდა ყველა ხერხით“. ხალხი კეისრის მხარეს იყო, ხოლო სენატმა კანონის დარღვევაში დაადანაშაულა. სამსჯავროზე კეისარმა ისეთი საპასუხო სიტყვა წარმოთქვა, რომ იოლად აიცილა სასჯელი, რითაც უამრავი მომხრე შეიძინა.

ამის შემდეგ თავი წარადგინა უზენაესი ქურუმის – დიადი პონტიფექსის თანამდებობაზე. ამ დროისათვის მას ისეთი ვალი დაედო, რომ არჩევნებზე მიმავალმა სახლიდან გასვლის წინ დედას დაუბარა: ,,დღეს ან დიდებულ პონტიფექსად დაგიბრუნდები, ან რომიდან გამაძევებენ“. გაიუსმა ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა, იმაზე მეტი ხმა მიიღო, ვიდრე ორივე მოცილემ ერთად.

იმხანად გაცხადდა კატილინას შეთქმულება, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებას ისახავდა მიზნად. როგორც კი იგრძნო საფრთხე, კატილინამ დატოვა რომი, მაგრამ ქალაქში დარჩნენ მისი მომხრენი, რომელთა სიკვდილით დასჯასაც ერთხმად ითხოვდა სენატი. სენატორების წინაალმდეგ მხოლოდ კეისარი გამოვიდა, რომელიც ქადაგებდა შეთქმულების არა დახოცვას, რადგან ისინი რომის უძველესი და ღირსეული მოდგმის ჩამომავალნი იყვნენ, არამედ დატყვევებას ქონების ჩამორთმევით. რატომ ითხოვდა კეისარი ასე თავგამოდებით კატილინას მომხრეთა შეწყნარებას? დაკითხვისას ცხადი გახდა, რომ თითქმის ორი წლის განმავლობაში კრასუსი და კეისარი ფარულ მოლაპარაკე-



ეროვნული

ბებს აწარმოებდნენ კატილინასთან იმ იმედით, რომ მიიღებდნენ განუსაზღვრელ უფლებებს რესპუბლიკაში. კატილინა გამარჯვების შემთხვევაში თავის მომხრეებს ჰპირდებოდა ვალების გაუქმებასა და მდიდართა ქონების დანაწილებას. და აი, მდიდარი კრასუსი დაფრთხა, გაუდგა შეთქმულებს და კონსულ ციცერონს გადასცა მათი მამხილებელი საბუთები. იმ დროისათვის კეისარი უზენაესი პონტიფექსი იყო და ისეთი სიყვარულით სარგებლობდა ხალხში, რომ ციცერონმა არ ისურვა მისი დადანაშაულება. კონსული დარწმუნებული იყო, რომ ის ვერ გაბედავდა ხმის ამაღლებას, საკუთარი უსაფრთხოების მიზნით მაინც. მაგრამ კეისარს ეყო ჭკუა და სითამამე, წინ აღდგომოდა სენატს სწორედ მაშინ, როდესაც მის მეგობართა ბედი წყდებოდა. ხალხი არასოდეს აპატიებდა მას, არ დაეცვა ისინი, ვინც გაილაშქრა მდიდართა და არისტოკრატთა ძალმომრეობის წინააღმდეგ.

კეისარმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა. თავი ისე მოაჩვენა ყველას, თითქოს ზრუნავდა არა შეთქმულთა, არამედ სენატორთა ბედზე, რომელთა დაუფიქრებელი გადაწყვეტილება სახალხო მღელვარებას გამოიწვევდა. ღრმა და გააზრებული სიტყვით კეისარი, ალბათ, მიიმხრობდა კიდეც სენატს, სენატორ მარკუს კატოს რომ არ დაერწმუნებინა საზოგადოება შეთქმულთა სიკვდილით დასჯის აუცილებლობაში. კეისარი თავის სითამამეს ემსხვერპლებოდა, ციცერონს რომ არ ეხსნა. კონსულმა სენატს დაუდასტურა, რომ თავად ამცნო კეისარს შეთქმულების ზოგი საიდუმლო.

მომდევნო წელს (ძვ. წ. 67 წ.) კეისარმა პრეტორის (უზენაესი მოსამართლე და კონსულის მოადგილე) თანამდებობა მიიღო. აქაც სცადა, ეთამაშა ღარიბთა და უპოვართა გრძნობებზე, რათა მათი „ერთადერთი ქომაგის" სახელი დაემსახურებინა: მისი წინადადებით სენატორმა კატომ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს ხარჯზე მოარსებე ლატაკთა რაოდენობა უნდა გაზრდილიყო.

პრეტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ კეისარს სამართავად გადასცეს პროვინცია ესპანეთი, მაგრამ ქალაქიდან ვერ გადიოდა, მევალეები არ უშვებდნენ, რადგანაც მისმა ვალმა ასტრონომიულ ციფრს – 25 მილიონ სესტერციუსს მიაღწია. თუმც, კეისარს ბედი სწყალობდა: თავდებობა რომის უმდიდრესმა წარჩინებულმა – მარკუს ლიკინიუს კრასუსმა იკისრა, მაგრამ არა უანგაროდ: კრასუსი იმედოვნებდა, რომ კეისრის გავლენას პომპეუსის წინააღმდეგ ბრძოლისას გამოიყენებდა, ესპანეთის მმართველს კი გამდიდრების საშუალება ეძლეოდა.

პროვინციისაკენ მიმავალი გზა ერთობ დამღლელი აღმოჩნდა. გალიის ერთი უბადრუკი ქალაქის ხილვისას ვიღაცამ ამალიდან კეისრის გასამხნევებლად თუ გასამხიარულებლად იკითხა: „ნუთუ აქ, ამ მივარდნილ ადგილზეც იბრძვიან ადამიანები ძალაუფლებისათვის, შურთ ერთმანეთის, გაიძვერობენ?" „რა თქმა უნდა, – უპასუხა კეისარმა, – მაგრამ მე ვისურვებდი ვიყო პირველი აქ, ვიდრე მეორე რომში!" კეისარი ყოველთვის პატივმოყვარე იყო. ამ მიყრუებულ პროვინციაში კი კიდევ უფრო მეტად არ ასვენებდა განდიდების მძაფრი სურვილი. ერთხელ ალექსანდრე მაკედონელზე წიგნის კითხვის დროს ცრემლები წამოსვლია. რა გატირებსო, უკითხავთ. კეისარს უთქვამს: „ალექსანდრეს ჩემს ასაკში უკვე მრავალი ქვეყანა ემორჩილებოდა, მე კი ჯერ ერთი საქმეც არ გამიკეთებია". ესპანეთში ყოფნის დროს კეისარმა პირველად გააცნობიერა ის, რომ განუსაზღვრელი უფლებების ხელში ჩასაგდებად უნდა დაყრდნობოდა მხოლოდ კარგად გაწვრთნილ ჯარს და არა ღარიბ მოსახლეობას. მან თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა მხედართმთავარმა, მრავალი ტომი დაიმორჩილა და დიდძალი სიმდიდრეც ჩაიგდო ხელში. კეისარმა გულუხვად დაასაჩუქრა თანამებრძოლები, მათ კი მადლიერების ნიშნად ის იმპერატორად აღიარეს.

სიტყვა „იმპერატორი" რესპუბლიკურ რომში მხოლოდ საპატიო სამხედრო ტიტული იყო, რომელიც ენიჭებოდა გამარჯვებულ მთავარსარდალს რომის სენატის გადაწყვეტილებით ან სულაც მისივე ჯარის სურვილით. ამ ტიტულის მფლობელი, ძალაუფლების თვალსაზრისით, პრივილეგიებით არ სარგებლობდა.

კეისარი რომისკენ ისწრაფოდა, რათა თავი წარედგინა კონსულის თანამდებობაზე. ამჯერად უარი თქვა ტრიუმფზე, რადგან საზეიმო სვლით რომში შესვლის მსურველი ქალაქის კედლებს მიღმა უნდა დალოდებოდა მისთვის განკუთვნილ რიგს. დრო კი არ ითმენდა. კეისარმაც დიდებას ძალაუფლების ხელში ჩაგდება ამჯობინა და ამჯერადაც გაუმართლა, წინააღმდეგობების მიუხედავად, ის კონსულად აირჩიეს. მეორე კონსული, მარკუს ბიბულუსი, შეურიგებელი არისტოკრატი იყო. წარჩინებულებმა სცადეს, კეისრის გამარჯვება დაეკნინებინათ. ამიტომ სენატმა დაადგინა, რომ ამ წელს არჩეული კონსულები არ დაენიშნათ მმართველებად პროვინციებში. მათ უმნიშვნელო საქმე ჩააბარეს – სახელმწიფო ტყეებისა და საძოვრების მოვლა.

კეისარს კარგად ესმოდა, რომ მარტოს გაუჭირდებოდა სენატთან ბრძოლა. ამიტომ განაახლა მეგობრობა კრასუსთან და თანამდგომად იხმო სახელგანთქმული მხედართმთავარი პომპეუსი. თუმცა კრასუსი და პომპეუსი აგერ უკვე ათი წელი იყო, რაც ერთმანეთს ექიშპებოდნენ, კეისარმა მაინც დაარწმუნა ორივე, რომ გაერთიანებული ძალებით იოლად შეძლებდნენ თავიანთ ნებაზე ეტარებინათ სენატიცა და სახალხო კრებაც. პომპეუსი ვარაუდობდა, რომ ამ კავშირით განიმტკიცებდა უფლებებს აღმოსავლეთში. ასევე, სურდა თავისი ხანდაზმული ჯარისკაცების დაჯილდოებაც. ამიტომ სიხარულით მიიღო კეისრის წინადადება და მეტიც, მის ქალიშვილ იულიაზე დაქორწინდა.

ამგვარად ძვ. წ. 60 წელს რომის სამმა აღმატებულად ძლევამოსილმა პირმა შეკრა საიდუმლო კავშირი, ტრიუმვირატი (სამი კაცის შეთანხმება), არსებული არისტოკრატიული წყობის დამხობისა და ძალაუფლების ხელში აღების მიზნით.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტამპლიერები

## „უქორწინელთა“ უმდიდრესი ორდენი

დიდი ხნით ადრე, ვიდრე ასასინების ისტორია ალამუთის ციხესიმაგრის დაცემით დამთავრდებოდა, შორს, ევროპაში (საფრანგეთი) ცხრა რაინდმა ტამპლიერების (ფრანგული ტემპლე — ტაძარი) ორდენის დაარსება განიზრახა.



ბერნარ კლევროსელი (1091-1153) ორდენის ერთ-ერთი დამაარსებელი

ორდენის წევრი რაინდი მორჩილების, სიღარიბისა და უქორწინობის აღთქმას დებდა. როგორც ამბობენ, ორდენის წესდება თავად წმინდა ბერნარმა შეადგინა, ხოლო 1128 წელს საფრანგეთის ქალაქ ტურში რომის პაპმა ევგენი მესამემ დაამტკიცა. ტამპლიერთა ორდენის წესდება ცისტერიანული ორდენის, ყველაზე მკაცრი და სასტიკი წესდების, გავლენით შეიქმნა. ეს უკანასკნელი არა სამხედრო-ბერული, არამედ კათოლიკურ-ბერული ორდენი იყო.



წესდების თანახმად, ტამპლიერების ორდენის წევრი რაინდი საწუთროს მთლიანად უნდა განდგომოდა, — უარი უნდა ეთქვა ოჯახსა და ნათესავებზე. საკვებად მხოლოდ პური და წყალი უნდა ეხმარა. აკრძალული ჰქონდა ხორცი, რძის პროდუქტები, მწვანილი, ხილი და, რა თქმა უნდა, ღვინო. მხოლოდ უბრალო, ხამი ქსოვილისგან შეკერილი სამოსი უნდა ცმოდა.

თუ სიკვდილის შემდეგ რაინდ-ბერის ნივთებში ოქროს ან ვერცხლის ნაკეთობას, ან ფულს აღმოაჩენდნენ, მას განწმენდილ მიწაში (სასაფლაოზე) არ დამარხავდნენ. თუ ასეტი ნივთები დასაფლავების შემდეგ აღმოჩნდებოდა, გვამს განწმენდილი მიწიდან ამოთხრიდნენ და ძაღლებს საჯიჯგნად მიუგდებდნენ.

ტამპლიერი რაინდები თეთრი მოსასხამებით იყვნენ მოსილი, რომლებზეც ალისფერი მალტური ჯვრები იყო გამოსახული. მათი საბრძოლო ყიჟინა იყო „ბოსენ!“ შავ-თეთრ დროშაზე (შტანდარტი) ეწერა დევიზი: “ ონ ნობის ომინე” — 113 ფსალმუნის დასაწყისი სიტყვები: “ნონ ნობის ომინე, ნონ ნობის სედ ნომინი ტუო და გლორიან”... — „არა ჩვენ, უფალო, არა ჩვენ, არამედ შენ სახელს მოჰფინე დიდება...“ ერთადერთი, რაც მათ ოდინდელ სიმწირეს მიანიშნებდა, გერბი იყო, რომელზეც ერთ ცხენზე ამხედრებული ორი რაინდი იყო გამოსახული. თავის დროზე, ხელმოკლეობის გამო ტამპლიერები იძულებული იყვნენ, ასე ემგზავრათ.



ორდენის სიმბოლო (1168 წ) რომელიც სირარიბეს აღნიშნავ-და

ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ტამპლიერთა მანტიაზე გამოსახულ ჯვარს არასრული სახე ჰქონდა და ლათინურ ასო ტ-ს ჰგავდა. ორდენის წევრები სამ ფენად იყოფოდნენ: რაინდებად, მღვდლებად და სერჟანტებად (მსახურები, პაჟები, საჭურველმტვირთველები, ხელზე მოსამსახურენი, ჯარისკაცები, მცველები და სხვა). ტევტონური ორდენისგან განსხვავებით, ბერული აღთქმა ტამპლიერთა ყველა ფენისთვის იყო აუცილებელი, რაც მკაცრად უნდა დაეცვათ. აღქმის დადების შემდეგ ორდენის წევრს საძმოდან გასვლა აღარ შეეძლო. თავდაპირველად, ორდენის რაინდის წოდება მხოლოდ კეთილშობილი ფრანგების პრივილეგია იყო. მხოლოდ მათ შეეძლოთ მაღალი თანამდებობების (დიდი მაგისტრის, სამფლობელოს მაგისტრის, კაპიტულიერის, კაშტელანის, დრაპიერის) დაკავება. თუმც, ამ კანონს არცთუ მკაცრად იცავდნენ. რაინდებს შორის მრავლად იყვნენ ინგლისელები, იტალიელები, ესპანელები, ფლამანდიელები.

ორდენის სერჟანტობის უფლება ჰქონდათ როგორც შეძლებულ მოქალაქეებს (საჭურველმტვირთველნი, მოანგარიშენი, მეკუჭნავეები, პაჟები) ასევე უბრალო წრიდან გამოსულებს (მცველები, ჯარისკაცები, ფარეშები).

ორდენის მღვდლები იყვნენ კათოლიკური ეკლესიის მსახურნი, თუმცა, როცა კათოლიკე მღვდელი ტამპლიერთა ორდე-

ნის წევრი ხდებოდა, მოვალე იყო მხოლოდ დიდ მაგისტრსა და მის ქვეშევრდომებს დამორჩილებოდა. ეპისკოპოსების, კარდინალებისა და თვით რომის პაპის უფლებები მათზე აღარ ვრცელდებოდა.

ორდენმა მალე გაითქვა სახელი, დაახლოებით ორ წელიწადში მასში 300 მხოლოდ რაინდი ირიცხებოდა. მათ შორის არაერთი პრინცი და ჰერცოგი იყო. ტამპლიერების ესოდენ დიდი პოპულარობა შესაძლებელია იმით იყო გამოწვეული, რომ ორდენის წევრობა უზრუნველყოფდა რაინდებისა და მასში შემავალი სხვა ფენების ფიზიკურ უსაფრთხოებას, იცავდა მათ და მათი ოჯახის წევრების საკუთრებას მეზობელი ფეოდალების თავდასხმებისაგან, როცა ორდენის წევრები მამულებიდან შორს, ჯვაროსნულ ლაშქრობაში იყვნენ. იმ პერიოდში ხომ კანონი არაფერს ნიშნავდა, — ძლიერი ყოველთვის მართალი იყო და ორდენის წევრის შეურაცხყოფა თავად ორდენზე გალაშქრებად ჩაითვლებოდა.

საქმე საქმეზე რომ მიდგა, აღმოჩნდა, რომ მკაცრი წესდება მხოლოდ დაბალი ფენებისთვის იყო აუცილებელი, ორდენის რჩეულნი კი... (ვინც უკვე ჩაწვდა სარწმუნოების უმთავრეს საიდუმლოს) არაფრით იყვნენ შეზღუდული. ტამპლიერებმა სახელი გაითქვეს სიხარბითა და გაუმაძღრობით, აღვირახსნილი ქეიფებითა და ბაკქანალიებით, ლოთობით. ხოცავდნენ და ძარცვავდნენ განურჩევლად ყველას, ხშირად ერთმორწმუნეებსაც. ეს კარგად აქვს აღწერილი ინგლისელ მწერალ ვალტერ სკოტს რომანში „აივენჰო". მართალია, ის მხატვრული ნაწარმოებია, მაგრამ ინგლისური ისტორიული ქრონიკები პირწმინდად ადასტურებენ ტამპლიერთა უდიერ ქცევასა და ზნეს.

მიუხედავად იმისა, რომ პირველმა ტამპლიერებმა ღარიბ რაინდთა საზოგადოება დააარსეს, დროთა განმავლობაში ორდენი ძალზე გამდიდრდა. სხვადასხვა ქვეყნის ხელმწიფე-გამგებელნი, ფეოდალები ტამპლიერების ორდენს სწირავდნენ მიწებს, სოფლებს, ქალაქებს, ციხე-კოშკებს, ტაძრებსა და მონასტრებს, რომელთაგან შემოსული გამოსაღებები და გადასახადები უწყვეტად მიედინებოდა ორდენის სალაროსაკენ. 1133 წელს ესპანეთის პროვინცია არაგონის უმემკვიდრეო ხელმწიფემ ალონსო პირველმა, რომელიც ნავარასა და კასტილიასაც ფლობდა, მთელი სამეფო ტამპლიერებისა და ჰოსპიტალიერების ორდენს უანდერძა. თუმცა, ანდერძი არ აღსრულებულა, მაგრამ არაგონის სამეფოს ტახტზე ასულ რამირო ელ მონხეს საკმაოდ დიდი თანხის გადახდამ მოუწია. 1222 წელს კი საფრანგეთის მეფე ფილიპე პირველმა ტამპლიერებს იმ დროისათვის უზარმაზარი თანხა — 52 ათასი ოქრო შესწირა.

მაგრამ, როგორც ისტორიკოსთა უმრავლესობა ამტკიცებს, ორდენის შემოსავლებისა და სიმდიდრის ძირითადი წყარო არა სამხედრო-საომარი ალაფი და შემოწირულობები, არამედ მევახშეობა იყო; საქმიანობა, რომელმაც, ფაქტობრივად, შექმნა ევროპის საბანკო სისტემა. როცა ებრაელების, რომლებსაც დღეს თანამედროვე საბანკო სისტემის მამამთავრებად მიიჩნევენ, ეკონომიკური ფანტაზია ქუჩაში ფულის გადახურდავებას ვერ სცილდებოდა, ტამპლიერებს უკვე საკრედიტო და სავექსილო განვითარებული სისტემა ჰქონდათ, ფულადი ოპერაციები კი არა მარტო ოქროს, არამედ ფასიანი ქაღალდების მეშვეობითაც ტარდებოდა.



ქვეითის ალკაზმულობა

როცა ორდენმა გავლენა და სიმდიდრე მოიპოვა, თითო რაინდს სამი ცხენი, საჭურველმტვირთველი და მოსამსახურე ჰყავდა. ამ დროისათვის ყველას როდი შეეძლო გამხდარიყო ტამპლიერთა ორდენის წევრი, ეცხოვრა მათებურად, ჰქონოდა ის თვისებები, რომელსაც „მკაცრი წესდება" მოითხოვდა. ამას პროზელიტს (პროზელიტი — ვისაც ახალმიღებული აქვს რომელიმე სარწმუნოება) ორდენის წევრად მონათვლისას შეახსენებდნენ ხოლმე.

— ძვირფასო ძმაო, — ეტყოდნენ, — შენ მხოლოდ გარსს, ორდენის გარეგნულ მხარეს ხედავ. ხედავ, რომ მდიდრულად აღკაზმული საუკეთესო ცხენები გვყავს, მაძღრისად ვჭამთ და ვსვამთ, მდიდრული სამოსი გვაცვია. აქედან გამომდინარე, გგონია, რომ შენც იგივე პატივი მოგეგება, რაკი ჩვენი ძმა გახდები. შენთვის ჯერ უცნობია ის მკაცრი კანონები, რომელიც ჩვენს საძმოში ბატონობს. ამწამს შენ შენი თავის ბატონ-პატრონი ხარ და გაგიძნელდება სხვისი სურვილიების აღსრულება. დღეის შემდეგ აღარ შეგეძლება საკუთარი სურვილისამებრ ცხოვრება. როცა შენი გული ზღვის აქეთა მხარეს ყოფნას მოინდომებს, მის საწინააღმდეგო მხარეს გაგგზავნიან; როცა აკრაში ცხოვრებას მოინდომებ, სადღაც, პროვინციაში — ანტიოქიაში, ტრიპოლიში ან ინდოეთში გადაგკარგავენ; შეიძლება გაგზავნონ ლომბარდიაში, ბურგუნდიაში, ინგლის-საფრანგეთში, კუნძულ სიცილიაზე — დედამიწის ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში, სადაც ჩვენი ორდენის თვალუწვდენელი მამულებია გადაჭიმული.

არც ჯვაროსნულ ომებში გამოუხე-



ეროვნული ბიბლიოთეკა



რაინდის ალკაზმულობა

ნიათ დიდი გმირობა-სიქველე და ქრისტიანობის უანგარო სიყვარული ტამპლიერებს.

1187 წელს სალადინი (სალაჰ ალდინი, იუსუბ იბნაიუბ – ეგვიპტის გამგებელი (1138-1193)) იერუსალიმის სამეფოში შეიჭრა და ალყა შემოარტყა ტავერიადს. ქალაქი მალე დაეცა. ტყვედ ჩავარდა ტამპლიერთა უმრავლესობა, დიდ მაგისტრ ჟერარ დე რიდფორდთან ერთად. ზოგიერთი ისტორიული წყაროს თანახმად, დიდმა მაგისტრმა სიცოცხლე ისლამის სარწმუნოებაზე გადასვლით და მასთან ერთად დატყვევებული ტამპლიერების სიკვდილით დასჯის ფასად გამოისყიდა. ასეა თუ ისე, ტავერიადაში დატყვევებულ ტამპლიერთა შორის ცოცხალი მხოლოდ ის გადარჩა.

1198 წლის 15 ივნისს, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დასაწყისში, ქრისტიანებმა კვლავ მოახერხეს იერუსალიმის დაუფლება. გაცოფებულმა ტამპლიერებმა ძველი ტაძრის კედლებთან მაჰმადიანთა საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს. ორდენის ერთ-ერთი მაგისტრი ამის შესახებ რომის პაპს სწერდა: „როცა ჩვენი მხედრები სოლომონის ტაძრის კარიბჭეში და თავად ტაძარში შედიოდნენ, უწმინდურთა სისხლი მათ ცხენებს მუხლებამდე წვდებოდა“. იმდროინდელი ისტორიკოსები წერენ, რომ იმ ხოცვა-ჟლეტის დროს ჯვაროსნებმა 30 ათასი მაჰმადიანი და იუდეველი ამოწყვიტეს.

1240 წლის ოქტომბერში ინგლისის მეფე ჰენრი მესამის ძმამ, რიჩარდ კორნუოლმა დამასკელ და ეგვიპტელ მაჰმადიანთა შორის შუღლის ჩამოგდება მოახერხა, რის შემდეგაც ეგვიპტელებთან ზავს მიაღწია. ჯვაროსნებმა უბრძოლველად მიიღეს პალესტინის მნიშვნელოვანი ტერიტორიები, მათ შორის იერუსალიმიც. ამ დროს ტამპლიერებმა უღალატეს ჯვაროსანთა საერთო საქმეს, საიდუმლოდ შეეკრნენ დამასკელებს და გაერთიანებული ძალებით თავს დაესხნენ ეგვიპტელების სულთან აიუბის (აიუბიდები – ეგვიპტის მმართველთა დინასტია) ლაშქარს. მეტიც, თავს დაესხნენ ჰოსპიტალიერების ორდენის წევრებს, აკრიდან გამოყარეს ტევტონთა ორდენის წარმომადგენლები და დაატყვევეს ჰოსპიტალიერები. თანამოძმეებს ტამპლიერები უკიდურესად სასტიკად მოექცნენ, – დაღუპულების დამარხვის ნებაც კი არ მისცეს.

მალე ეგვიპტის სულთანმა აიუბმა სამხედრო კავშირი შეკრა მონღოლთაგან ლტოლვილ ხვარაზმელებთან და წმინდა ომი წამოიწყო ქრისტიანების წინააღმდეგ. ივლისის შუა რიცხვებში მან ალყა შემოარტყა იერუსალიმს, ექვსი კვირის შემდეგ აიღო ქალაქი და ქრისტიანების არნახული ხოცვა-ჟლეტა მოაწყო. ახლა მათ ცხენებს წვდებოდა ქრისტიანთა სისხლი მუხლებამდე. 1243 წელს ეგვიპტელთა და ხვარაზმელთა გაერთიანებულმა ლაშქარმა ღაზასთან სასტიკად დაამარცხა ჯვაროსანთა ასევე გაერთიანებული ძალები. მხოლოდ ოცდაცამეტმა ტამპლიერმა, ოცდაექვსმა ჰოსპიტალიერმა და ტევტონური ორდენის სამმა წარმომადგენელმა დააღწია თავი ბრძოლის ველს.

ასე რომ, ტამპლიერების ღალატმა 1241 წელს ქრისტიანთა და მაჰმადიანთა წმინდა მიწებისათვის დაპირისპირებაში საფუძვლიანი გარდატეხა მოახდინა მაჰმადიანთა სასარგებლოდ.

მომდევნო ჯვაროსნულ ლაშქრობებს, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანები დროდადრო გამარჯვებას აღწევდნენ, აღარ შეეძლო სასურველი შედეგის მოტანა – ძალთა ადრინდელი თანაფარდობის აღდგენა.

1290 წლის ბოლოს მაჰმადიანები ქალაქ აკრას მიადგნენ, რომელშიც ტამპლიერების მთავარი ტაძარი იდგა. ქალაქის დაცვას დიდი მაგისტრი გიშარ დე ბოჟო ხელმძღვანელობდა. გარნიზონი 15 ათას მეომარს ითვლიდა. მათ შორის 900 ტამპლიერი და ჰოსპიტალიერი იყო. ექვსთვიანი ალყის შემდეგ მაჰმადიანებმა კედელის სანგრევით ერთ-ერთი გოდოლი შეანგრიეს. გარნიზონის დაახლოებით მეოთხედმა, ძირითადად, ჰოსპიტალიერებმა სწრაფად შეაფასეს მდგომარეობა, გაარღვიეს ალყა, ხომალდებზე ასვლა მოახერხეს და კუნძულ კვიპროსისკენ აიღეს გეზი.

1291 წლის 18 მაისს მაჰმადიანები ციხეში შეიჭრნენ. ბრძოლისას 300 რაინდი ტამპლიერი და მათი მეთაური, დიდი მაგისტრი დე ბოჟო დაიღუპნენ. სხვებმა (რამდენიმე ასეულმა) თავი მთავარ ტაძარს შეაფარეს. რამდენიმედღიანი მოლაპარაკების შემდეგ, რომლის დროსაც ტამპლიერებმა 300 მაჰმადიანი გალავანს შიგნით შეიტყუეს და მუსრი გაავლეს, სულთანმა ამელიქ აზაშრაფმა ციტადელის დანგრევის ბრძანება გასცა. ტაძრის საძირკველს ძირი გამოუთხარეს, კედლებზე კი უზარმაზარი ხეები მიაყუდეს და ცეცხლი წაუკიდეს. რამდენიმე დღის შემდეგ ტაძრის კედლები დასკდა და საშინელი გრიალით ჩაიშალა. ტამპლიერთაგან არავინ გადარჩენილა, ნაწილი ნანგრევებში მოჰყვა, ზოგს კი ცეცხლმა და კვამლმა მოუღო ბოლო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველები ფრენას სწავლობენ

**საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ახალგაზრდა მფრინავებმა სწავლების კიდევ ერთი ეტაპი დაასრულეს. მსმენელები უკრაინაში, ხარკოვის სამხედრო უნივერსიტეტში რვა თვის განმავლობაში სხვადასხვა სახის სწავლებებს გადიოდნენ. ქართველი სამხედროები საბრძოლო თვითმფრინავების მართვის თეორიულ საფუძვლებს გაეცნენ.**



უკრაინაში სწავლებისას თითო მსმენელმა 25-საათიანი პრაქტიკული მომზადება L - 39 ტიპის სამხედრო-სასწავლო თვითმფრინავისა და Ми-8 ტიპის შვეულმფრენის მართვის კურსებით გაიარა.

მსმენელები ხარკოვის სამხედრო სასწავლებელში საქართველოსა და უკრაინის სამინისტროებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მომზადდნენ.

ხარკოვში დაახლოებით 150 სამხედრო იყო მივლენილი. მსმენელთა 30-კაციანი ჯგუფი სამშობლოში რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა და ახლა სამხედრო მფრინავის მოსამზადებელ პროგრამას მარნეულის სამხედრო ავიაბაზაში ეუფლება.

სამშობლოში უკრაინიდან დაბრუნებულ მფრინავებს ალექსეევკის სამხედრო ავიაბაზაში გავესაუბრეთ.

სერჟანტი ალექსანდრე ჯინჯიხაძე: — ფრენა ბავშვობიდან მინდოდა. როდესაც კონკურსის შესახებ შევიტყვე, გადავწყვიტე, ბედი მეცადა. გამიმართლა — დღეს უკვე სამხედრო მფრინავის სპეციალობას ვეუფლები, ბავშვობის ოცნება რეალობად მექცა.

— **სასწავლო პროგრამაზე რას იტყვით?**

— სასწავლო პროგრამა ძალზე საინტერესო იყო. მსმენელებს თეორიული სწავლების პარალელურად, პრაქტიკული მეცადინეობებიც გვიტარდებოდა. მე და ჩემმა მეგობრებმა რვათვიანი სასწავლო კურსი გავიარეთ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელობას, ასევე უკრაინელ სამხედრო სპეციალისტებს გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადავუხადო. სწორედ მათი დიდი ძალისხმევის შედეგია, რომ მე და ჩემმა მეგობრებმა სამხედრო პილოტის დაწყებითი განათლება უკრაინაში მივიღეთ.



**კაპრალმა ეკა ქვლივიძემ ოცნების — გახდეს სამხედრო მფრინავი, შესრულება დაიწყო**

— **მიღებული განათლება შენს დაოსტატებას, ალბათ, ძალზე შეუწყობს ხელს...**

— იმისათვის, რომ პროფესიონალი პილოტი გავხდე, ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს ასათვისებელი. ალბათ, მალე მოვა ის დროც, როდესაც ჩემი ცოდნის სრულ რეალიზებას მოვახდენ და საბრძოლო თვითმფრინავით ცაში ავფრინდები.

— **ჩვენ პროფესიონალიზმი ვახსენეთ. როგორ ფიქრობ, როგორი უნდა იყოს პროფესიონალი მფრინავი?**

— ჰაერში ერთ წამსაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აქედან გამომდინარე, მფრინავს სხარტი აზროვნება და განვითარებული რეფლექსები უნდა ჰქონდეს, რადგან ფრენისას არა მხოლოდ საფრენი აპარატი, არამედ საკუთარი თავიც უნდა მართოს.

— **თუ შეგიძლია ის ემოცია გადმოსცე, რომელიც თვითმფრინავის აფრენისას გეუფლება ხოლმე?**

— ვიდრე სამხედრო სამსახურს დავიწყებდი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე. პროფესიით ოკეანოლოგი ვარ და წყალქვეშა სამყაროს კარგად ვიცნობ. ახლა ჰაერსაც ვეცნობი

ეროვნული ბიბლიოთეკა



კაპრალი ზურაბ მირონაძე



კაპრალი ალექსანდრე ჯინჯიხაძე


პოლკოვნიკი მიხეილ ტყემალაძე

და პარალელებსაც ვავლებ. ცაში ისეთივე რომანტიკულია ყოფნა, როგორც წყალქვეშ.

— **ამჟამად რა სახის სასწავლო პროგრამით ემზადები?**

— სასწავლო კურსს მარნეულის სამხედრო ბაზაზე გავდივარ. თეორიულ და პრაქტიკულ ტრეინინგებს ქართველი ინსტრუქტორები გვიტარებენ. მათი დახმარებით უკვე არაერთი ფრენა შევასრულე და როგორც ინსტრუქტორები მეუბნებიან, წარმატებით...

კაპრალი ზურაბ მირონაძე: — სამხედრო კარიერაზე არასოდეს მიფიქრია, თუმცა მფრინავი რომ ვყოფილიყავი, ამის სურვილი ყოველთვის მქონდა. ახლაც მახსოვს ბავშვობაში აწყობილი თვითმფრინავის მაკეტები და მისგან მიღებული სიხარული. ასეთი განცდა ახლაც მეუფლება ხოლმე, თუმცა ერთი განსხვავებით, — სათამაშო საფრენი აპარატები ნამდვილი საბრძოლო თვითმფრინავებით შეიცვალა, რომლითაც შემიძლია გავფრინდე და საბრძოლო ამოცანა შევასრულო.

— **შენს ნაამბობში ერთდროულად ნოსტალგია, რომანტიზმი და დიდი ენთუზიაზმი იგრძნობა, რომელიც სამხედრო პირს არცთუ ისე ხშირად ახასიათებს. ჯარში სამსახური როდის გადაწყვიტე?**

— გასულ წელს თავდაცვის სამინისტრომ სამხედრო-საჰაერო სპეციალობებზე მისაღები კონკურსი გამოაცხადა. მთავარი, რისთვისაც სამხედრო სამსახურის დაწყება გადავწყვიტე, ამ სტრუქტურაში მიმდინარე რეფორმები იყო. ქართული არმია ყოველდღიურად ვითარდება. დიდი სურვილი მაქვს, ჩემს მეგობრებთან ერთად ამ პროგრესის თანამონაწილე მეც ვიყო.

— **ჯარში მფრინავობა ერთ-ერთი პრესტიჟული პროფესიაა.**

— ფორმის ტარება თავად პრესტიჟია. მსიამოვნებს, როდესაც ქუჩაში გავდივარ და ხალხის კეთილგანწყობილ მზერას ვგრძნობ. ასეთი რამ თუნდაც რამდენიმე წლის წინ სანატრელი იყო.

— **ტელეეთერში ხშირად გადის რეკლამა, სადაც მოქალაქეს საკონტრაქტო პირობებით ჯარში სამსახურს სთავაზობენ, შენ სწორედ ერთ-ერთი მათგანი ხარ, ვინც არმიაში კონტრაქტით მსახურობს. როგორ ფიქრობ, რეკლამა სრულად ასახავს ჯარში არსებულ რეალობას?**

— რეკლამის სიტყვიერი პირობების რეალიზაცია ქართულ ჯარში საქმით ხდება. მე არა სხვათა ნათქვამს, არამედ საკუთარ თავზე განცდილ რეალობაზე მოგახსენებთ. თავად განსაჯეთ, წელიწადია, რაც ჯარში ვარ და სასწავლო კურსი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც გავიარე. ვეუფლები უცხო ენას, მაქვს მაღალი ხელფასი მომავალში ზრდის პერსპექტივით და რაც მთავარია, იმის შესაძლებლობა, რომ სამშობლოს ვემსახურო. ასე რომ, თუ ვინმე ჯარს კიდევ უყურებს სკეპტიკურად, ძალიან ცდება და ურჩევნია, შეიარაღებული ძალების რიგებში ჩადგეს. აქ მას როგორც ერთი დიდი ოჯახის წევრს, ისე მიიღებენ.

კაპრალი ეკა ქვლივიძე: — ბედნიერი ვარ, რომ ბავშვობის ოცნება ავისრულე და სამხედრო მფრინავის სპეციალობას ვეუფლები. ჯარში საკონტრაქტო სისტემით ვმსახურობ. პირობები იმაზე მიმზიდველია, ვიდრე მეგონა. იმედი მაქვს, ინსტრუქტორების დახმარებით სულ მალე სათანადო ცოდნას მივიღებ და საბრძოლო თვითმფრინავის მართვას სრულად ავითვისებ.

— **თვითმფრინავის მართვას უკრაინაში სწავლობდი, მანამდე კი საქართველო, ნატახტარის აეროდრომი იყო...**

— უკრაინის სასწავლო პროგრამა ძალიან მომეწონა. რვა თვის განმავლობაში ქართველ მსმენელთა ნაკადმა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მომზადება გაიარა და უკრაინელ ინსტრუქტორთა უმაღლესი შეფასებაც დაიმსახურა.

— **როგორც ვიცი, მასპინძლები განსაკუთრებით ქართველ გოგონათა მომზადების დონემ მოხიბლა...**

— დიახ, ბიჭებს ტოლი არ დავუდეთ და უკრაინიდან უმაღლესი შეფასებებით დავბრუნდით.

— **ამჟამად რა სახის სასწავლო პროგრამით ემზადებით?**

— ივნისიდან პრაქტიკულ მეცადინეობებს დავიწყებთ და საშუალება გვექნება L-39 ტიპის სამხედრო-სასწავლო თვითმფრინავის ტექნიკურ მახასიათებლებს გავეცნოთ, შემდეგ კი საკონტროლო ფრენებსაც შევასრულებთ.

— **შესაძლოა, ერთ დღეს სასწავლო ფრენა საბრძოლოთი შეიცვალოს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის პრიორიტეტული თავდაცვითი დოქტრინაა...**

— საბრძოლო ფრენისათვის ჯერ არ ვარ მზად, მაგრამ მჯერა, მოვა დრო და პროფესიონალი სამხედრო პილოტი აუცილებლად ვიქნები, რომელიც სამშობლოს ინტერესებს დაიცავს!

*შალვა ლონდარიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მტერი
## რომელიც მწარედ იკბინება

ცივი ზამთრისა და უჩვეულოდ გრილი გაზაფხულის შემდეგ, ალბათ, ყველა მოუთმენლად ელის ზაფხულის დადგომას. თბილი მზე, ლაჟვარდოვანი ცა, მხიარული განწყობილება... ეს ყველაფერი წელიწადის ყველაზე ცხელ და საყვარელ სეზონს თან ახლავს ხოლმე. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ თავისი „ბზიკები“ ზაფხულსაც ჰყავს, თანაც სულ სხვადასხვა დასახელებისა და სახესხვაობის. მათაც ძალიან უყვართ თბილი მზე, ლაჟვარდოვანი ცა და კბენა, რასაც მათთვის არ ვიცი, მაგრამ ჩვენთვის უდავოდ უსიამოვნოა. მართალია, მწერების თემა ჩვენი ჟურნალის კონტექსტიდან ამოვარდნილს ჰგავს, მაგრამ თუ დავუკვირდებით, ეს სულაც არ არის ასე. წვევამდელებს, რეზერვისტებსა და სხვა სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთაც სწორედ ახლა, ზაფხულში უწევთ სამხედრო მომზადების გავლა, საველე წვრთნებში მონაწილეობა თუ ამ ყველაფრის ხელმძღვანელობა, უსათუოდ დასჭირდებათ ის რჩევები, რომელთა საშუალებითაც შეძლებენ მწერებისაგან და ქვეწარმავლებისგან თავის დაცვას. ისინი ხომ ხშირად მტერზე ვერაგნი არიან.

მწერებსა და ქვეწარმავლებს იმაზე მეტი უსიამოვნების მოტანა შეუძლიათ, ვიდრე შიმშილსა და წყურვილს. ამასთან, უამრავი დაავადების გადამტანიც არიან. არსებობს დაავადებათა გადაცემის ორი ძირითადი მექანიზმი. პირველს ეწოდება კონტაქტური. „ბრიტანულ ენციკლოპედიაში“ ნათქვამია, რომ როგორც ადამიანს ქუჩიდან სახლში შემოაქვს ფეხსაცმლით ჭუჭყი, ასევე „ოთახის ბუზებს თავიანთი რამდენიმე, მილიმეტრიანი კიდურებით შემოაქვთ ათასობით მიკროორგანიზმი, რომელთა სიჭარბემ, შესაძლოა, ადამიანის დაავადება გამოიწვიოს“. მაგალითად, ბუზს გადააქვს ფეკალური მასის ნაწილი, ჯდება საკვებ პროდუქტზე და მასზე ბინძურ კვალს ტოვებს. ადამიანი კი შეიძლება დაავადდეს ისეთი დაავადებებით, როგორიცაა ტიფი, დიზინტერია და ქოლერა. ბუზები არიან ტრაქომის გადამტანიც, რაც სიბრმავის გამომწვევ მიზეზებს შორის გავრცელების თვალსაზრისით ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში. დღეს ამ დაავადებით მილიონობით კაცია დაავადებული.

მწერებისა და ქვეწარმავლების ნაკბენით გადამდები მიკრობები განსაზღვრულ ბუნებრივ პირობებში, განსაკუთრებით ცხელ კლიმატში, ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას და მრავლდებიან კიდეც. ამა თუ იმ დაავადების გამომწვევი მიკრობი ადამიანს ერთი ან რამდენიმე სპეციფიკური გადამტანისაგან გადაეცემა ხოლმე, მაგრამ, როგორც წესი, მისი გავრცელება პარაზიტების მკვებავი ორგანიზმისაგან ხდება. თუ ეს ორგანიზმი არ არსებობს, მაშინ არ არსებობს არც დაავადების გამომწვევი მიზეზიც, რამდენი პოტენციური გადამტანიც უნდა დადიოდეს. ასეთ სპეციფიკურ ორგანიზმად ხშირად თავად ადამიანი ხდება ხოლმე. მაგალითად, მალარიის შემთხვევაში.

### კოღო და მალარია

კოღოს ნაკბენი არა მხოლოდ არასასიამოვნო, არამედ შეიძლება სასიკვდილოც აღმოჩნდეს. კოღოები დედამიწის ყველა კუთხეში ბინადრობენ. ზომიერი კლიმატის მქონე რეგიონებში მაისსა და ივნისში კოღოს რაოდენობა ხშირად უფრო მეტია ხოლმე, ვიდრე ტროპიკულ სარტყელში. მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობა თვისობრიობის განმსაზღვრელია, ამ პატარა (ხან კი დიდი) მწერების შესახებ ამას ვერ ვიტყვით. მათი რაოდენობა ნამდვილად არ განსაზღვრავს საფრთხის მეტ-ნაკლებობას. ყველაზე სახიფათონი მაინც ტროპიკული კოღოები არიან, რადგან ისინი მალარიის, ყვითელი ციებ-ცხელების, ენცეფალიტის და სხვა საშიში დაავადების გადამტანი არიან. იმ შემთხვევაში, თუ ღამის გათევა ღია ცის ქვეშ გიწევთ, კოღოს თავდასხმის ასაცილებლად იხელმძღვანელეთ შემდეგი რჩევებით:

1. გაშალეთ ბანაკები ჭაობებისგან


მორიელი


ბუზი


კოღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოშორებულ ადგილებში;

2. დაიძინეთ კოღოს საწინააღმდეგო დამცავი ბადის ქვეშ, მისი არქონის შემთხვევაში გამოიყენეთ სხვა ნებისმიერი შესაბამისი მატერია;

3. ძილის წინ სახეზე წაისვით ტალახი;

4. ჩაიცვით გრძელი შარვალი და ჩაიტანიეთ წინდებში ან ფეხსაცმელებში;

5. ჩაიცვით რაც შეიძლება მეტი ტანსაცმელი;

6. წაისვით კოღოს საწინააღმდეგო კრემი ტანზე ან ტანსაცმელზე. მისი ეფექტიანობა რამდენიმე დღე შეიძლება გრძელდებოდეს;

7. მიიღეთ მალარიის საწინააღმდეგო აბები;

8. კოღოების დასაფრთხობად შეგიძლიათ გამოიყენოთ სიგარეტის კვამლი, ან ევკალიპტის ფოთლები (მკვეთრი სუნის მისაღებად დასრისეთ...).

## ბუზი

ბუზი, ისევე როგორც კოღო, წარმოადგენს დისკომფორტისა და საფრთხის წყაროს. მათ წინააღმდეგ შეგიძლიათ გამოიყენოთ იგივე საშუალებები, რომლებსაც კოღოს წინააღმდეგ ვიყენებთ.

## ტარაკანი

ტარაკანი, რომელიც საკვების ნარჩენებით იკვებება, დაავადებებს კონტაქტურად ავრცელებს. ექსპერტების აზრით, ასთმური დაავადებების საგრძნობი მატება, განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებში, ტარაკანაზე ალერგიას უკავშირდება. ამ „შინაური ცხოველის“ ყოლის შემთხვევაში გირჩევთ ჰუმანურობა დაივიწყოთ და სასწრაფოდ შეიძინოთ საწამლავი საშუალება.

## რწყილი

ეს პატარა მწერი საკმაოდ სახიფათოა, რადგან შეუძლია გაავრცელოს მძიმე დაავადებები. როგორც წესი, ჩვეულებრივ მათ მღრღნელებისაგან ჭირი გადააქვთ. მათგან თავდასაცავად გამოიყენეთ შესაბამისი ფხვნილი და ჩაიცვით მჭიდროდ მომდგარი ფეხსაცმელი.

## ტკიპა

ეს მწერი მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, განსაკუთრებით ტროპიკულ და სუბტროპიკულ სარტყელში. ის გახლავთ რეციდივული ციებ-ცხელებისა და ტიფის გადამტანი მწერი. ტკიპას ძალზე გავრცელებული სახესხვაობაა ტროპიკული რწყილი. ეს პატარა პარაზიტი მსოფლიოს მრავალ ადგილას ბინადრობს. ადამიანთან კონტაქტის შემთხვევაში ის კანში მჭიდროდ ესობა და იწვევს კანის დაავადებებს, ქავილსა და ტკივილს, შედეგად კი შეიძლება განვითარდეს ინფექცია. განსაკუთრებით უნდა ერიდონ მათ ნაკბენს მგრძნობიარე კანისა და ალერგიის მქონენი. შეეცადეთ, არ მოიქავოთ ტკიპის ნაკბენი, შესაძლოა, ამან დააჩქაროს ინფექციის შეჭრა. ეპიდემიური ტიფითა და რეციდივული ციებ-ცხელებით შეიძლება დაავადდეთ ტილის კბენითაც. თუ არ გაქვთ ტილების საწინააღმდეგო საშუალება, მაშინ ტანსაცმელი მდუღარე წყალში ჩაალბეთ ან დამდუღრეთ. თუ ამის შესაძლებლობაც არ გაქვთ, მაშინ სხეული და ტანსაცმელი რამდენიმე საათით მზეს მიაფიცხეთ. ამის შემდეგ კი იბანავეთ, სასურველია, საპნით. თუ ხელთ არ გაქვთ საპონი, გამოიყენეთ სილა ან მდინარის ფსკერის სხვა ბუნებრივი ნალექი. ხშირად შეიმოწმეთ სხეულის თმიანი ნაწილები, რათა დროულად შენიშნოთ პარაზიტი.

## ობობები

ზოგიერთ სახეობას თუ არ ჩავთვლით, ობობა განსაკუთრებული საფრთხის წყაროს არ წარმოადგენს. ტარანტულის ნაკბენის გარდა, თითქმის არც ერთი სხვა ობობას ნაკბენი არ არის სასიკვდილო. მეტ-ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს „შავი ქვრივი“ (შავი ობობა თეთრი, ყვითელი ან წითელი კოპლებით), რომელ-


ტკიპა

იც ტროპიკებში ბინადრობს. მისი ნაკბენი იწვევს მწვავე ტკივილს, შესივებასა და, შესაძლოა, ლეტალური შედეგიც კი მოჰყვეს. შესაძლოა, კბენამ გამოიწვიოს კუჭის მძიმე სპაზმები, რაც რამდენიმე დღე გრძელდება.

## მორიელი

ამ პატარა ქვეწარმავლის ნაკბენი მტკივნეული და მომაკვდინებელია. მორიელის ზოგიერთი მსხვილი სახეობა ძალზე საშიშია, – სიკვდილს იწვევს. მორიელი გვხვდება ვრცელ ტერიტორიებზე. შეუძლია შეუმჩნევლად აცოცდეს ადამიანის სამოსზე. მორიელის თავდასხმისაგან თავდასაცავად კარგად დაფერთხეთ ტანსაცმელი, სანამ ჩაიცვამდეთ. თუ მორიელმა გიკბინათ, ჭრილობაზე ცივი კომპრესი ან ტალახი მიიდეთ. ტროპიკულ სარტყელში მათ მაგივრობას ქოქოსის კაკლის შიგთავსიც გაგიწევთ. მორიელის ნაკბენი იწვევს საერთო სპაზმს, ტკივილსა და პირღებინებას. სასურველია ჭრილობა დამუშავდეს სპირტით ან გამდინარე თბილი წყლით.

## ლოკოკინა და ყურბელა

ყურბლები, ძირითადად, ტროპიკებშია გავრცელებული. მისი ზოგიერთი მსხვილი სახეობის კბენას აუტანელი ტკივილის გამოწვევა შეუძლია. მორიელივით ადამიანს პირველი არასოდეს ესხმის თავს


ბზიკი


ობობა


რწყილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



და მხოლოდ მაშინ არის აგრესიული, როდესაც ექცევა ხაფანგში, ანუ ხვდება ტანსაცმელზე, საგნებში, საწოლში და სხვ. მის ნაკბენს ხშირად შესივებაც ახლავს.

ლოკოკინა შეიძლება გახდეს ბებერებისა და წყლულების გაჩენის მიზეზიც. ე.წ. „ელექტრონული ლოკოკინის“ მრავალჯერადმა ნაკბენმა კი, რომელიც ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში ბინადრობს, შესაძლოა, სიკვდილიც გამოიწვიოს.

## გარეული ფუტკარი და ბზიკი

გალიზიანებული და გარეული ფუტკრებისა და ბზიკების გუნდი ძალზე სახიფათო და ზოგ შემთხვევაში, სასიკვდილოც კი არის. თავი მოარიდეთ მათ ბუდეებს, მაგრამ თუ სიფრთხილის მიუხედავად, მათ თავდასხმას ვერ გაექეცით, თავი ხშირ ბუჩქნარს შეაფარეთ.

არც „შინაური“ ფუტკრები არიან ნაკლებსაშინელი. მათი ნაკბენი ხშირად იწვევს მწვავე ტკივილს, წვას, ანთებას. ვისაც ალერგია აწუხებს, განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოს, რადგან ფუტკრის კბენას, შესაძლოა, ისეთი გართულებები მოჰყვეს, როგორიცაა ხორხის შეშუპება, ჰაერის უკმარისობა, მოდუნება. სასწრაფო სამედიცინო დახმარების გარეშე დარჩენილი ადამიანი, შესაძლოა, დაიღუპოს კიდეც. კბენის შემთხვევაში აუცილებლად ამოიღეთ ნესტარი, ნაკბენი კი ნიშადურის სპირტით ან თბილი წყლით დაიმუშავეთ. თუ ამის საშუალება არ არის, შეგიძლიათ ჭრილობა დაიზილოთ ოხრახუშის ფოთლებით.

## წურბელა

ეს სისხლისმსმელი ორგანიზმები თითქმის ყველგანაა გავრცელებული. ისინი ეკრობიან ბალახს, ფოთოლს, ტოტებსა და ადამიანებსაც. მათი ნაკბენი დისკომფორტს იწვევს, ხშირად კი სისხლდენასაც და, შესაძლოა, ახლდეს ინფექციაც. წურბელას ამოძრობა შეიძლება სიგარეტის მოწევით, ასანთით, სველი თუთუნით ან სპეციალური მწერების საწინააღმდეგო საშუალებით.

ტრემატოდა და ბრტყელი ჭიები. ეს პარაზიტები გვხვდებიან ტროპიკულ სარტყელში – ამერიკის, აფრიკის, აზიის, იაპონიის, ფილიპინებისა და კიდევ ზოგიერთ წყნარი ოკეანის კუნძულების მდორე წყლებში. მტკნარ წყლებში ტრემატოდა არ ბინადრობს. ადამიანთან კონტაქტის შემთხვევაში ორგანიზმში კანის მეშვეობით, სასმელი წყლის მიღებისას ან ბანაობისას აღწევს. ორგანიზმში იკვებება ერითროციტებით და კვერცხებს დებენ სისხლსა და სწორ ნაწლავში. სუფთად




გარეცხილი სამოსი საშუალებას მოგცემთ, თავი აარიდოთ ამ საშინელ მწერს.

ნემატოდა (ჭია) გავრცელებულია ტროპიკებსა და სუბტროპიკულ სარტყელში. ის სხეულში აღწევს შიშველი ფეხებით სიარულის დროს ან სხეულის სხვა მოშიშვლებული ნაწილების საშუალებით. ის არ ბინადრობს უდაბნოში და დასახლებული პუნქტების მოშორებით.

არსებობს რამდენიმე პრაქტიკული რჩევა, თუ როგორ შეიძლება ავარიდოთ თავი მწერების ან ქვეწარმავლების თავდასხმას:

ნუ გაივლით ბალახზე (თუნდაც ცრიანზე) ფეხშიშველი. შესაძლოა, ამან ხელი შეგიშალოთ მამულის შეცნობაში, სამაგიეროდ, დაგიცავთ კბენისაგან.

ნუ მოწყვეტთ ხილს, ნუ დაყნოსავთ ყვავილებს და თავი მოარიდეთ ყვავილოვან და მსხმოიარე მცენარეებს.

იმ ადგილებში, სადაც ჩვეულებრივ ბევრი მწერი გვხვდება ხოლმე, ეცადეთ, ატაროთ გრძელსახელოებიანი პერანგი და გრძელი შარვალი.

ნუ დატოვებთ ფანჯარას დიდი ხნით ღიას, მით უმეტეს, თუ დაღამებულზე გინთიათ ელექტრონათურა.

შეგიძლიათ ფანჯარაზე და სავენტილაციო მილებზე მიამაგროთ ბადე. ეს საშუალება ყველაზე ეფექტიანად დაგიცავთ მწერებისაგან.

იმ შემთხვევაში თუკი თქვენს ადგილსამყოფელთან ახლოს აღმოაჩენთ კოღოს, ბზიკის ან ველური ფუტკრის ბუდეს, მასთან ახლოს დაწვით ქაღალდი ან რაიმე ქსოვილი. კვამლი მათ აიძულებთ, გაიფანტონ. ამის შემდეგ კი ჩამოაგდეთ ბუდე და ისიც დაწვით.

მწერების სიმრავლის მიუხედავად, თავდაცვის საშუალებების მიხედვით პირველ ადგილს კოღოები და რწყილები იკავებენ. რაც უნდა საშიში იყოს სხვა შხამიანი მწერი თუ ქვეწარმავალი, ზაფხულში ყველაზე მეტ დისკომფორტსა და საფრთხეს სწორედ ისინი წარმოადგენენ. არსებობს სამი ყველაზე ეფექტიანი საშუალება და მათი კომბინაცია, რომელიც უდავოდ მოქმედებს:

1) ტანსაცმელი, კოღოს საწინააღმდეგო აეროზოლები და სხვ.

2) რწყილების წინააღმდეგ ძალზედ ეფექტიანია ვანილი. ვანილის ფხვნილი გახსენით დარბილებულ კარაქში და ტანი დაიზილეთ.

3) ასევე ეფექტიანია ფისი, კვამლი და ცეცხლი.

ბიბლიოთეკა

# ნაცნობი-უცნობი ყარაბაღის ომი



საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრიდან არცთუ ისე შორს, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი მდებარეობს. კონფლიქტის დაწყებამდე ყარაბაღს 4392 კვადრატული კილომეტრი ეკავა, ხოლო მოსახლეობა 1988 წლის 1-ელი იანვრის მდგომარეობით 183900 კაცს შეადგენდა, საიდანაც 74%, ანუ 136 ათასი სომეხი და 23,7%, ანუ 32,5 ათასი აზერბაიჯანელი იყო.

კონფლიქტი, რომლის მიზეზი მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანისგან გამოყოფა გახდა, გარკვეულწილად საქართველოსაც შეეხო. საომარ მოქმედებებში საქართველოს აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების ბევრი მოქალაქე მონაწილეობდა.

1989-91 წლებში დანაღმული საქართველოს ტერიტორიები წითელი ხიდის მიდამოებში მოსახლეობისათვის დღემდე საშიში რჩება, ხოლო რამდენჯერმე ჩვენს მხარეს შემთხვევით ჭურვებიც კი შემოფრინდა.

დაპირისპირებულ მხარეთა მონაწილეობით საქართველოს ტერიტორია დივერსიული ომის ნამდვილ ასპარეზად გადაიქცა. 1989 წლის 16 სექტემბერს თბილისში დანაღმული „თბილისი-ბაქოს“ მარშრუტის ავტობუსი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აფეთქდა. დაიღუპა 5 და დაიჭრა 25 კაცი. 1990 წლის 10 აგვისტოს ისევ თბილისში დანაღმული „თბილისი-აღდამის“ მარშრუტის ავტობუსის აფეთქებამ 20 კაცის სიცოცხლე შეიწირა, 30 კი დაიჭრა.

1993 წლის 31 აგვისტოს თბილისი-ერევნის მატარებელი სადახლოსთან აფეთქდა და ვაგონები ლიანდაგიდან გადავარდა. დაიღუპა 2 და რამდენიმე კაცი დაიჭრა. მარნეულის რაიონში სომხეთისაკენ მიმავალი გაზსადენისა და სარკინიგზო-საავტომობილო ხიდების მწყობრიდან გამოყვანის მიზნით რამდენიმე აფეთქება მოხდა.

ყარაბაღში ნაბრძოლმა ბოევიკებმა აფხაზეთში სეპარატისტთა ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის მომზადებაშიც შეიტანეს წვლილი და პირად შემადგენლობას გამოცდილება გაუზიარეს.

მომეტებული სამხედრო რიტორიკის ფონზე, ყარაბაღის მოუგვარებელი კონფლიქტის განახლების ალბათობა ძალზე დიდია და კვლავინდებურად არსებობს სხვადასხვა სახის ქმედებებისათვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენების საშიშროება.

კონფლიქტის მიზეზი ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე სესიის 1988 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება გახდა, რომელიც ყარაბაღის აზერბაიჯანის შემადგენლობიდან გამოყვანასა და სომხეთთან შეერთებას მოითხოვდა.

სეპარატისტთა ამ ნაბიჯმა სომხებისა და აზერბაიჯანელთა დაპირისპირება გამოიწვია, რომელიც თებერვალში სტეფანაკერტში, ასგერანსა და სუმგაითში სომეხი ეროვნების მოქალაქეთა დარბევებში გადაიზარდა. საპასუხო აქციები სომხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ათეულათასობით აზერბაიჯანელის წინააღმდეგ განხორციელდა.

ეთნიკურ ნიადაგზე დაწყებულ დაპირისპირებას თან მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი ახლდა და შემდგომი სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად აზერბაიჯანის მთელი რიგი რაიონები საბჭოთა არმიის ნაწილებმა დაიკავეს და ერთხანს სიტუაციის გაკონტროლება მოხერხდა.

თებერვლის მოვლენებს სომხეთში „ყარაბაღის კომიტეტის“ შექმნა მოჰყვა და ყარაბაღელ სომეხთა დახმარების მიზნით შეიარაღებულ ფორმირებათა ჩამოყალიბების მთელი ტალღა გამოიწვია, რომლის ფორმალურ მიზეზად მასობრივ აქციათა დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა დასახელდა. ყველა ფორმირება „ყარაბაღის კომიტეტის“ განკარგულებაში იყო, მისი ერთ-ერთი თავკაცი სომხეთის მომავალი პრეზიდენტი და დღევანდელი ოპოზიციის ლიდერი ლევონ ტერ-პეტროსიანი გახლდათ.

მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდა სომხეთის საერთო-ეროვნული მოძრაობის, სომხეთის ეროვნული არმიისა და ეროვნული თვითგამორკვევის ორგანიზაციის შეიარაღებული ფორმირებები. იყვნენ სრულიად დამოუკიდებელი, შედარებით მცირერიცხოვანი შეიარაღებული რაზმებიც, ხოლო რამდენიმე რაიონს ადგილობრივი ძალებით ორგანიზებული თავდაცვის რაზმები ჰყავდა.

ფორმირებები დაახლოებით 20 ათას კაცს აერთიანებდა და შეიარაღებული იყო ავტომატური იარაღითა და გლუვლულიანი სანადირო თოფებით, თვითნაკეთი ნალმსატყორცნებითა და ხელყუმბარებით. მცირე რაოდენობით გაჩნდა: ყუმბარსატყორცნები, ტყვიამფრქვევები, სეტყვის საწინააღმდეგო ქვემეხები და „ალაზნის“ ტიპის სარაკეტო დანადგარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1988 წლის ზამთრიდან შეიარაღებული რაზმების ჩამოყალიბებას ყარაბაღის სომეხი მოსახლეობა შეუდგა. მებრძოლები მომზადებას ოლქის ძნელად მისადგომ რაიონებში მოწყობილ სასწავლო ბანაკებში გადიოდნენ. მიმდინარეობდა იარაღისა და საბრძოლო მასალის შემოტანა-დაგროვება. რაზმებს რეზერვში მყოფი ბევრი ყოფილი სამხედრო და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სომეხი ეროვნების მოქალაქე შეუერთდა.

ყარაბაღს სომხეთთან პირდაპირი სატრანსპორტო კავშირი არ ჰქონდა, ამიტომ პროდუქტების, მედიკამენტების, იარაღის, საბრძოლო მასალების გადატანასა და უკანა გზაზე ლტოლვილთა და დაჭრილთა გამოყვანას სომხეთის სამოქალაქო ავიაცია უზრუნველყოფდა. სამგზავრო Ан-2 და Як-40 ტიპის თვითმფრინავები, Ми-8 ტიპის შვეულმფრენები ყარაბაღის დედაქალაქ სტეფანაკერტის აეროდრომსა და ზოგიერთ ადგილზე მოწყობილ გრუნტის ასაფრენ-დასაჯდომ ზოლებს იყენებდნენ.

ასეთი რეისები დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, — ერთი სომხური Як-40-ის ტიპის სამგზავრო თვითმფრინავი 1990 წლის 1-ელ აგვისტოს ლაჩინის რაიონში დაუდგენელი მიზეზით ჩამოვარდა და 43 კაცი იმსხვერპლა.

ეს ხდებოდა ყარაბაღში საბჭოთა შინაგანი ჯარის 15-ათასიანი კონტინგენტის ყოფნისას, რომლის ამოცანა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა განიარაღება და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა იყო. ერთხანს შინაგანი ჯარი სომხეთთან საჰაერო მიმოსვლისათვის ხელის შეშლასაც ცდილობდა, მაგრამ ერევნის პროტესტის შემდეგ მოსკოვმა სამხედროებს ამის გაკეთება აუკრძალა.

1989 წლის ზაფხულიდან ყარაბაღელ სომეხთა შეიარაღებული რაზმები აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ. მცირერიცხოვანმა მობილურმა ჯგუფებმა მიზანში აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფლები ამოიღეს და მოსახლეობის დაშინების მიზნით „ალაზნის“ ტიპის რაკეტებს, სეტყვის საწინააღმდეგო 100 მმ-იან КС-19 ტიპის საზენიტო ქვემეხებსა და პატარა კალიბრის თვითნაკეთ ნაღმსატყორცნებს ესროდნენ.

თავდასაცავად აზერბაიჯანული სოფლები შეიარაღებულ რაზმებს ქმნიდნენ და მისადგომებს საფორტიფიკაციო ნაგებობებით ამაგრებდნენ.

1989 წლის აგვისტოდან კონფლიქტის ზონაში მოხალისეებითა და თადარიგის სამხედროებით დაკომპლექტებული, მაგრამ სუსტად შეიარაღებული აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის რაზმები შევიდნენ.

1989 წლის იანვრიდან ყარაბაღი, ფაქტობრივად, აზერბაიჯანის ადმინისტრაციული კონტროლიდან გამოსული იყო და ამით გამოწვეულმა პროცესებმა ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება მკვეთრად გაამწვავა. გამოჩნდა კომუნისტური რეჟიმის სრული უსუსურობა და მთელ რიგ ქალაქებში ძალაუფლება აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ხელში გადავიდა.

კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა ბაქოში, სადაც 1990 წლის 19-20 იანვრის ღამეს საბჭოთა არმიის ნაწილები შემოიჭრნენ და ბრძოლებით ქალაქი დაიკავეს. ამ ტრაგიკულ მოვლენებს აზერბაიჯანის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღება მოჰყვა. დაიწყო აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისა და სახალხო ფრონტის რაზმების განიარაღება-დაშლა.

საგანგებო მდგომარეობა სომხეთს არ შეხებია და ადგილობრივი გასამხედროებული ფორმირებები თავისუფალი მოქმედებისათვის მეტ-ნაკლებად უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. იარაღის მოპოვების მიზნით თავდასხმები გახშირდა სომხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებსა და დაწესებულებებზე, არასაუწყებო დაცვის ორგანოებზე, უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო კათედრებზე, სეტყვის საწინააღმდეგო არტილერიის პარკებზე.

იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის მოსაპოვებლად სომეხთა რაზმები საბჭოთა არმიის ნაწილებსა და საწყობებზე თავდასხმასაც არ ერიდებოდნენ და რამდენიმე შემთხვევაში მსხვერპლიც იყო.

შთამბეჭდავია იმ პერიოდში სომხური ფორმირებების ხელში გადასული იარაღის რაოდენობა: 6179 ერთეული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 19 ერთეული ჯავშანტექნიკა, 133 სეტყვის საწინააღმდეგო ქვემეხი, 17 „ალაზნის“ ტიპის რაკეტის გამშვები დანადგარი, 3 ნაღმსატყორცნი, 13 ათასი ჭურვი და რაკეტა, 1921 ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება, დიდი რაოდენობით ავტომობილები და კავშირის საშუალებები. მთელი ეს შეიარაღება პირველ რიგში ყარაბაღისათვის იყო განკუთვნილი.

1990 წლის მეორე ნახევრისათვის სომხური სხვადასხვა ფორმირება დაახლოებით 15 ათასამდე კაცს აერთიანებდა. მათ განკარგულებაში გადავიდა სამოქალაქო ავიაციის Ми-8 ტიპის 20-მდე შვეულმფრენი.

1990 წლის მეორე ნახევრიდან აზერბაიჯანს ყარაბაღში უსაფრთხოების ღონისძიებათა დამოუკიდებლად გატარებისათვის მეტი უფლებები მიეცა და ბოევიკებთან საბრძოლველად შინაგან საქმეთა სამინისტროსთან 3-ათასიანი „ომონის“ რაზმები შეიქმნა.

1990 წლის აგვისტოში სომხური ფორმირებები სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის ჩრდილო-დასავლეთ სექტორში გააქტიურდნენ და სეტყვის საწინააღმდეგო ჭურვების მასირებული დარტყმის ქვეშ ყაზახისა და თაუზის რაიონების მილიციისა და საბჭოთა შინაგანი ჯარის პოსტები გაანადგურეს.

ვითარება იმდენად რთული იყო, რომ სომეხთა საცეცხლე წერტილების ჩასახშობად ცხინვალთან დისლოცირებული 292-ე შვეულმფრენთა პოლკის Ми-24 ტიპის საბრძოლო შვეულმფრენები დაფრინავდნენ.

საცეცხლე პოზიციები სომხური სოფლების მახლობლად მდებარეობდა და შვეულმფრენები შეზღუდულ დარტყმებს ასრულებდნენ მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად, თუმცა ყოველთვის ეს არ ხერხდებოდა.

აზერბაიჯანული „ომონისა“ და შინაგანი ჯარის ერთობლივი მოქმედებით იმავე წლის ბოლოსთვის ხოჯალის აეროპორტსა და რამდენიმე დასახლებულ პუნქტზე კონტროლის აღდგენა


ყარაბაღის ომის შედეგი

მოხერხდა, თუმცა ვითარება კვლავინდებურად რთული იყო.

1991 წლის იანვრიდან ყარაბაღელ სომეხთა შეიარაღებული ჯგუფები აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ. გახშირდა თავდასხმა შინაგანი ჯარის პოსტებსა და აზერბაიჯანულ სოფლებზე.

ყარაბაღის ჩრდილოეთით შაუმიანგიულისტან-ათერქის რაიონში დაახლოებით 5 ათასამდე შეიარაღებული სომეხი იმყოფებოდა. ინჟინრულად კარგად დაცული საბაზო ბანაკი ძნელად მისადგომ მთიან ადგილას მდებარეობდა. იქვე იყო მოწყობილი შვეულმფრენთა მისაღები მოედნები, საბრძოლო მასალების საწყობები, კავშირის კვანძი. ჰქონდათ ჯავშანტექნიკისა და არტილერიის რამდენიმე ერთეული. მომარაგებასა და პირადი შემადგენლობის როტაციას სომხეთიდან სამოქალაქო ავიაციის შვეულმფრენები უზრუნველყოფდნენ.



ყარაბაღი, 1991 წლის ზამთარი

შედარებით პატარა ბაზა ყარაბაღის სამხრეთ ნაწილში რაიცენტრ ჰადრუთის მახლობლად იყო განთავსებული.

30 აპრილს საბჭოთა არმიის, შინაგანი ჯარისა და აზერბაიჯანული „ომონის“ რაზმებმა ყარაბაღის ჩრდილოეთ სექტორში გამაგრებული პუნქტების წინააღმდეგ ერთობლივი ოპერაცია „კოლცო“ წამოიწყეს. როგორც აზერბაიჯანული წყაროები აღნიშნავენ, ამ ოპერაციის შესახებ სომეხთა ფორმირებებს წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია.

ოპერაციაში მონაწილეობდა შინაგანი ჯარის სოფრინოს 21-ე ოპერატიული დანიშნულების ბრიგადა, ბაქოს შინაგანი ჯარის პოლკი, 23-ე მოტომსროლელი დივიზიის ქვედანაყოფები და სხვა ნაწილები — სულ 6 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე. ჰაერიდან საბრძოლო უზრუნველყოფას შვეულმფრენები აკეთებდნენ.

მიმდინარეობდა სომხური სოფლებისა და საკომუნიკაციო საშუალებათა ბლოკირება, ბოევიკთა გამოვლენის მიზნით შემოიღეს საპასპორტო რეჟიმი. მამაკაცებს სომხეთში დაუყოვნებლივი დეპორტირება უკეთდებოდა, ხოლო ქალები და ბავშვები სომხეთისაკენ ავტოტრანსპორტით იგზავნებოდნენ. ამ ღონისძიებებს თან სროლა, შეტაკებები, მშვიდობიან მოსახლეობაზე ძალადობა ახლდა, რაც ურთიერთსიძულვილს კიდევ უფრო ამწვავებდა და ბრძოლის ჟინს ზრდიდა.

საბრძოლო ავიაციის გამოუყენებლობისა და არტილერიისა და ჯავშანტექნიკის შეზღუდულად გამოყენების გამო მაინც მოხერხდა ყარაბაღელ სომეხთა რაზმების შევიწროება, რომლებმაც მოკლულდაჭრილთა და ტყვეთა სახით დიდი დანაკარგი განიცადეს. სომხეთიდან მომარაგებაც დროებით შეჩერდა. გადარჩენილმა ძალებმა უკან დაიხიეს და თავი ძნელად მისადგომ ადგილებს შეაფარეს. 15 მაისს ოპერაცია ისე შეწყდა, რომ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა დაშლა-განიარაღების პროცესი მაინც არ იქნა ბოლომდე მიყვანილი.

შეიქმნა ერთგვარი პაუზა, რომლის დროსაც ყარაბაღელ სომეხთა რაზმებმა ძალთა გადაჯგუფება შეძლეს და სომხეთიდან რეზერვების მიღების შემდეგ ივლისში დამოუკიდებლად მოქმედ აზერბაიჯანის „ომონს“ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს.

სომხური რაზმები ბრძოლების დროს არც შინაგანი ჯარის ქვედანაყოფებს ერიდებოდნენ, ერთი Ми-24 ტიპის შვეულმფრენი ჩამოაგდეს და რამდენიმე დააზიანეს.

1991 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირის ფაქტობრივ დასამარებასთან ერთად შინაგანმა ჯარმა ყარაბაღში საგანგებო რეჟიმის უზრუნველყოფა შეწყვიტა და ადგილობრივ სეპარატისტულ ხელისუფლებას ღია მოქმედების საშუალება მიეცა.

1991 წლის 2 სექტემბერს ყარაბაღელმა სომხებმა მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს. ადგილობრივი თავდაცვის რაზმები, პარტიული ფორმირებები და სომხეთიდან შესული რაზმები, დაახლოებით 15 ათასამდე კაცი, ე.წ. „მთიანი ყარაბაღის თავდაცვის ძალებში“ გაერთიანდა, რომელიც შემდგომში „მთიანი ყარაბაღის თავდაცვის არმიად“ გადაკეთდა და თავდაცვის კომიტეტს დაემორჩილა.

ყარაბაღის არმია უკვე წარმოადგენდა კარგად გაწვრთნილ-ორგანიზებულ და გამოცდილ ძალას, რომლის პირისპირ აზერბაიჯანელთა სუსტი და ცუდად შეიარაღებული ქვედანაყოფები დარჩა. ამასთან, აზერბაიჯანში დაწყებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა შეიარაღებულ ფორმირებათა ერთი ნაწილის ბაქოსა და სხვა ქალაქებში დაბრუნება მოითხოვა.

1991 წლის შემოდგომაზე, სომხეთის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, საბჭოთა არმიის რიგებში სომხეთში მცხოვრებ მოქალაქეთა გაწვევა განახლდა და სომხეთის ტერიტორიაზე განლაგებული მე-7 გვარდიული არმიის დივიზიებმა და ცალკეულმა ქვედანაყოფებმა სომეხი წვევამდელები მიიღეს.

წვევამდელთა ერთი ნაწილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 171-ე სასწავლო ცენტრის დანაყოფებში თბილისში, გორში, ყარაიაზში, დმანისში გაიგზავნა.

სასწავლო ცენტრები სომხეთის მომავალი არმიისათვის არტილერისტებს, ტანკისტებს, მესანგრეებს, მეზენიტეებს, მეკავშირეებსა და სხვა სპეციალობათა უმცროს მეთაურებსა და სპეციალისტებს ამზადებდნენ. ამას ხელს უწყობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე საბრძოლო მომზადებაში გენერალ-ლეიტენანტი იოსიფ ოგანიანი.

იმ დროს, როცა საქართველო და აზერბაიჯანი შიდაპოლიტიკური მოვლენებით იყვნენ დაკავებული, სომხეთი საბჭოთა ოფიცრების ხელმძღვანელობით სრულფასოვან არმიას ქმნიდა.

*(დასასრული მომდევნო ნომერში)*

**თემურ ჩაჩანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვენეციის ფლოტის ისტორია

ვენეციური გალერა



**ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარე იტალიის ულამაზესი ქალაქი ვენეცია დიდხანს იყო დამოუკიდებელი რესპუბლიკა და ხელსაყრელი მდებარეობის წყალობით ევროპისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი საკვანძო პორტის მოვალეობას ასრულებდა.**

ჯვაროსანთა ლაშქრობების დროს „წმინდა მიწაზე“ რაინდთა რაზმები ვენეციასთან ერთად იტალიის სხვა ქალაქების ხომალდებსაც გადაჰყავდა და საზღვაო გადაზიდვებს ქალაქი-რესპუბლიკისათვის დიდი მოგება მოჰქონდა, რომელიც იმავდროულად დაპირისპირების მიზეზიც ხდებოდა.

ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის მონაწილეებს ვენეციამ კარგ საფასურად 80 გალერა, 55 მომცრო საბრძოლო ხომალდი და 72 სატრანსპორტო გემი გაუგზავნა. როდოსთან ვენეციელებს ბევრად მცირერიცხოვანი პიზის ფლოტი შეუერთდა და ორი ქალაქის ხომალდების ეკიპაჟთა შორის შურის ნიადაგზე დაწყებული დავა ბოლოს ბრძოლაში გადაიზარდა, რომელიც უფრო სუსტის დამარცხებით დასრულდა.

ჯვაროსნებისათვის გაწეული დახმარების სანაცვლოდ ვენეციამ პალესტინაში ჯვაროსანთა დედაქალაქ სენ ჟან-დ'აკრში (აკო) ქალაქის ნაწილი საწყობების მოსაწყობად და მთელ იერუსალიმში თავისუფალი ვაჭრობის უფლება მიიღო.

1123 წლის 30 მაისს ასკალონის მახლობლად ვენეციელთა ფლოტმა არაბების ფლოტი დაამარცხა, რითაც ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში არაბთა ბატონობას ბოლო მოუღო.

მომდევნო წლის თებერვალში ჯვაროსნებმა ქალაქი ტვიროსი ვენეციელთა ხომალდების დახმარებით ალყაში მოაქციეს. ტვიროსი იმ დროს დიდ ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას განიცდიდა და აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს ციხე-ქალაქად ითვლებოდა. ჯერ კიდევ შტურმის დაწყებამდე ვენეციამ ქალაქისა და ოლქის მესამედი მოითხოვა.

ეს პირობა რაინდებმა მიიღეს, რადგან ხომალდების გარეშე ქალაქის აღება არ ხერხდებოდა და ხუთთვიანი ალყის შემდეგ ტვიროსი ჯვაროსნებს ჩაჰბარდა.

ტვიროსისა და ასკალონის დაკარგვა ბიზანტიის ინტერესებს იმდენად შეეხო, რომ იმპერატორმა იოანე II-მ ვენეციური ხომალდების ხელში ჩაგდების ბრძანება გასცა. ამის საპასუხოდ ვენეციის ფლოტი არქიპელაგისაკენ დაიძრა.

ვენეციელთა რაზმებმა ფლოტის დახმარებით კორფუ დაიპყრეს, მახვილითა და ცეცხლით გადაუარეს ლესბოსს, სამოსსა და როდოსს.

დაპყრობილ ადგილებზე დასაყრდენ ციხესიმაგრეებს აგებდნენ და ნელ-ნელა ვენეციამ ადრიატიკის ზღვასა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მტკიცედ მოიკიდა ფეხი.

საზღვაო კომუნიკაციებზე გაბატონების სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ვენეციელები ხშირად სარწმუნოებასაც ივიწყებდნენ და ქრისტიანებს მაჰმადიანთა მსგავსად ებრძოდნენ.

ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის მიზანი ჯერ ეგვიპტისა და შემდეგ იერუსალიმის დალაშქვრა იყო. 1202 წელს რაინდებმა იტალიიდან, საფრანგეთიდან და გერმანიიდან კუნძულ ლიდაზე დაიწყეს თავმოყრა, მაგრამ მოლაშქრეთა საკმარისი რაოდენობის შეგროვება არ ხერხდებოდა.

ვენეციას ეგვიპტესთან კარგი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა და იარაღსაც კი აწვდიდა, ამიტომ მის ინტერესებში ეგვიპტის დალაშქვრა არც შედიოდა.

კუნძულზე ყოფნა რაინდებს ვალებში გადაეზარდათ, რომელიც დღითი დღე მატულობდა და გადახდის საშუალებაც ამოწურული იყო. მაშინ ჯვაროსნებს ვალის დასაფარავად დალმაციაში, ქალაქ ზადარის აღება შესთავაზეს. ზადარი ვენეციას ვაჭრობაში კონკურენციას უწევდა და მარტო ვერ უმკლავდებოდა. რაინდებს ქალაქი მეკობრეთა დიდ თავშესაფრად დაუხასიათეს და ჯვაროსნები „წმინდა მიწის“ მაგივრად ქრისტიანული ზადარის წინააღმდეგ დაიძრნენ.

1202 წლის 8 სექტემბერს ვენეციელთა 70 გალერა და 150 სატრანსპორტო გემი ზადარისაკენ გაიგზავნა. გალერებზე რაინდები, მეშურდულეები და მეიარაღეები იყვნენ, ხოლო სატრანსპორტო გემებს საალყო მანქანები, პროვიანტი, იარაღი და ცხენები მიჰქონდა. 11 ნოემბერს ფლოტმა ზადარის პორტის ჯაჭვი გაარღვია და ორი დღის შემდეგ ჯვაროსნებმა ქალაქი აიღეს.

ვენეციამ არც ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობაზე თქვა უარი და 1203 წლის 23 ივნისს ვენეციელთა 50 ხომალდი ჯვაროსანთა 10-12 ათასი არმიით კონსტანტინოპოლს მიადგა. დასუსტებულ ბიზანიტიას ფლოტი უკვე აღარ ჰყავდა და იმპერატორ ალექსი III-ს ბრძანებით ძლივს მოხერხდა ძველი 20 ხომალდის შეკეთება.

5 ივლისს ვენეციელმა მეზღვაურებმა ოქროს რქის ჩამკეტი ჯაჭვი გაგლიჯეს და ყურეში შევიდნენ. ქალაქის გადამწყვეტი შტურმი 17 ივლისს შედგა, როცა რაინდებმა ვენეციელთა ხომალდები შეაწყვილეს, გალავნის კედლებს მიადგნენ და კოშკები აიღეს.

ზღვაზე პირველობის მიღწევის სურვილმა იტალიური ქალაქები ერთმანეთთან სისხლისმღვრელ ბრძოლებში ჩაითრია. განსაკუთრებით ხანგრძლივი გენუა-ვენეციის ომი გამოდგა.

1257 წელს სირიის სანაპიროსთან, სენ ჟან-დ'აკრის მახლობლად, ერთმანეთის პირისპირ ვენეციისა და გენუის ხომალდები დადგნენ. ორივე ფლოტი ორმოცდაცამეტ- ორმოცდაცამეტ ხომალდს ითვლიდა. ვენეციელებმა ბრძოლის ინიციატივა ხელში აიღეს, გენუელთა ხაზი გაარღვიეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომალდები გააცალკევეს და მოწინააღმდეგეების დამარცხება შეძლეს.

სენ ჟან-დ'აკრის ბრძოლა 124-წლიანი ომის დასაწყისი გახდა, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და გადამწყვეტ ბრძოლაში, 1380 წელს, კიოჯოსთან გამარჯვება ვენეციის ფლოტს დარჩა.

ვენეციის ფლოტის დიდ შესაძლებლობებზე წარმოდგენას ქმნის პასუხი, რომლითაც დოჟმა ენრიკო დანდალომ 1201 წელს საფრანგეთის მეფის ელჩები გაისტუმრა.

დანდალო ჯვაროსნული ლაშქრობისათვის საფრანგეთის მეფეს 4500 ცხენის გადასაყვან იუსერს (ცხენების გადასაყვანი სპეციალური გემი) და 4500 რაინდის, 9000 მეიარაღისა და 20000 ჯარისკაცის მისაღებად საჭირო ხომალდს ჰპირდებოდა. ადამიანებსა და ცხენებს ცხრა თვის მანძილზე საკვების ნაკლებობა არ ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ თითოეული ცხენისა და ადამიანისათვის შესაბამისი ანაზღაურება იქნებოდა გაღებული. მეტიც, ვენეცია 50 შეიარაღებული გალერის გამოყოფის პირობას იძლეოდა.

XV საუკუნეში ვენეციის ფლოტმა ძლიერების ზენიტს მიაღწია, როცა საბრძოლო ფლოტი 100 გალერასა და 10 ათას კაცს ითვლიდა. ხომალდების პირადი შემადგენლობა უკვე მეთაურებად და რიგითებად იყოფოდა. ხომალდის მეთაურს კაპიტანი ერქვა და ის აუცილებლად პრივილეგირებული წრის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. მას ჰყავდა ორი მოადგილე – სააბორდაჟო რაზმის მეთაური ლეიტენანტი და მენიჩბეთა უფროსი კომიტი.

ფლოტი, ძირითადად, გალერებისაგან შედგებოდა, რომელიც VII საუკუნეში გამოჩნდა და მის პროტოტიპად რომაელთა ლიბურნა მიიჩნევა. გალერა უპირველესად საბრძოლო დანიშნულებისა იყო, მაგრამ სატრანსპორტო მიზნითაც გამოიყენებოდა.

გალერამ სხვა სახის ნიჩბიანი ხომალდები თანდათან განდევნა და შუა საუკუნეების დასაწყისისათვის ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების მთავარი საბრძოლო ხომალდი გახდა.

ხომალდს დაბალი წყალზედა ბორტი ჰქონდა, რომელიც ცხვირზე გრძელ და ვიწრო ტარანში გადადიოდა. სიგრძე 40-60 მეტრისა და სიგანე 4-7,5 მეტრის, ხოლო წყალწყვა 180-200 ტონის ფარგლებში მერყეობდა.

თითოეულ ბორტს 16-32 ნიჩაბი ჰქონდა. თავიდან ნიჩაბს ერთი კაცი ემსახურებოდა, მაგრამ თანდათან მენიჩბეთა რაოდენობა ერთ ნიჩაბზე 5-9 კაცამდე გაიზარდა. სიჩქარე ნიჩბებით ცურვის დროს 7 კვანძს აღწევდა. იალქნები კვლავინდებურად ცურვის დამხმარე საშუალებად რჩებოდა.

გალერაზე საჭის მოვალეობას 2 ნიჩაბი ასრულებდა, რომელიც XIII საუკუნის ბოლოს საჭემ შეცვალა. ეკიპაჟი საშუალოდ 450 კაცს ითვლიდა.

XV საუკუნეში ხომალდების შეიარაღებაში არტილერია შევიდა და ზარბაზნების დასაყენებლად გალერას ცხვირისა და კიჩოს ნაწილები გამოიყენებოდა. ზარბაზნები განსაზღვრული თანმიმდევრობით იდგა, შუაში – ძლიერი და გვერდებზე – შედარებით პატარა.

1571 წლის ერთ-ერთ ვენეციურ გალერას 26 ზარბაზანი ჰქონდა, საიდანაც ოთხი 150 მმ-იანი, ოთხი 120 მმ-იანი, ოთხი 88 მმ-იანი და 14 მცირე კალიბრის იყო.

ხომალდის საცეცხლე ძალის გასაძლიერებლად XVI საუკუნის მეორე ნახევარში ვენეციელმა გემთმშენებელმა ფრანჩესკო ბრესანიმ გალერის ზომები გაზარდა და ზარბაზნები ბორტების გასწვრივ დააყენა. სხვადასხვა კალიბრის ზარბაზანთა რაოდენობამ 70-ს მიაღწია და ახალი კონსტრუქციის ხომალდი – გალეასი საცეცხლე ძალით გალერას 5-ჯერ აღემატებოდა.

ნიჩბიან-იალქნიანი, მაღალბორტებიანი გალეასი წყალში ღრმად იჯდა და ორსამ ანძაზე დიდი ლათინური აფრები ჰქონდა. გალერასაგან განსხვავებით ზამთარშიც დაცურავდა.

ხომალდი სიგრძეში 70-80 მეტრს და სიგანეში 8-16 მეტრს აღწევდა. ჰქონდა ორი გემბანი. ქვევით მენიჩბეები ისხდნენ, ხოლო ზევით, სადაც ზარბაზნები იყო განლაგებული, ჯარისკაცები და ბომბარდირები.

გალეასის საბრძოლო დებიუტი ლეპანტოს ბრძოლაში შედგა. „წმინდა ლიგის" ცენტრის წინ ვენეციელთა 6 გალეასი დუიდოს მეთაურობით იდგა და ვენეციელებს ზარბაზნების ცეცხლით თურქებისათვის მაქსიმალური ზიანის მიყენება ჰქონდათ დავალებული.

გალეასის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ეკიპაჟის შემადგენლობაში შედიოდა: კაპიტანი, 3 თანაშემწე, 2 ლოცმანი, 4 საზღვაო ოფიცერი, ბოცმანი, ბოცმანის თანაშემწე, მღვდელი, 62 მატროსი, 7 მუშა, 250 მენიჩბე (5 მენიჩბე ერთ ნიჩაბზე და 25 ნიჩაბი თითოეულ ბორტზე), 4 არმიის ოფიცერი, 254 ჯარისკაცი და ბომბარდირი.

კარაკას ტიპის ოთხანძიან ხომალდებს საბრძოლო-სატრანსპორტო დანიშნულება ჰქონდა. კარაკა მძიმე და მოუქნელი ხომალდი იყო და, ხანგრძლივ ლაშქრობებზე იყო გათვლილი. ხომალდი სიგრძეში 30-ს, სიგანეში კი 10 მეტრს აღწევდა, ხოლო წყალწყვა 600 ტონას შეადგენდა. ეკიპაჟი 100 კაცს ითვლიდა.

კარაკას ანძებზე მოწყობილი იყო სპეციალური მოედანი – მარსი, საიდანაც ბრძოლის დროს ჯარისკაცები მოწინააღმდეგეს არბალეტსა და ცეცხლსასროლ იარაღს ესროდნენ.

ვენეციელთა საბრძოლო ხომალდებზე მენიჩბეთა მოვალეობას სამხედრო ტყვეები, პატიმრები და მონები ასრულებდნენ. იშვიათად დაქირავებულებსაც იყენებდნენ.

ბრძოლის ტაქტიკა სიახლით არ გამოირჩეოდა. ხომალდები ანტიკური ხანის მსგავსად ერთ ხაზად ან ნახევარმთვარისებურად ეწყობოდნენ. ბრძოლა ზარბაზნების სროლითა და სატყორცნი მანქანების გამოყენებით იწყებოდა, რომელსაც ხომალდების



შუა საუკუნეების ვენეციური სავაჭრო-სატვირთო გემი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვენეციური ხომალდების ესკადრა

ურთიერთდაახლოება ენაცვლებოდა. ბოლო აკორდი აბორდაჟული შეტაკება იყო.

არტილერია ბრძოლის მსვლელობაზე ზეგავლენას ჯერ კიდევ არ ახდენდა, მაგრამ ლეპანტოს ბრძოლამ საზღვაო ბრძოლის ტაქტიკის გადახედვა მოითხოვა და მასში ბევრი ცვლილება შეიტანეს.

ვენეციის სავაჭრო ფლოტი დაახლოებით 3500-მდე სხვადასხვა ტიპის გემს ითვლიდა. ტიპური სავაჭრო გემი სიგრძით 30 მეტრი იყო. ჰქონდა ორი ანძა ლათინური აფრებით, გემბანზე ერთი ლიუკი და ლაცპორტი საქონლის პირდაპირ ტვინდეკში მისაღებად.

დიდ სავაჭრო გემად ითვლებოდა ნეფი, რომელიც მაღალი ბორტებით, ძლიერ აწეული ცხვირისა და კიჩოს ნაწილებით გამოირჩეოდა. ერთ-ორ ანძაზე სწორკუთხა ან ცერა ლათინური აფრები ჰქონდა. 28-29 მეტრი ხომალდის წყალწყვა 600 ტონამდე აღიოდა და ნაპირთან დგომის დროს 7 ღუზა აჩერებდა.

მოუქნელი და ნელმავალი ნეფი იმ დროის ყველაზე დიდ გემად ითვლებოდა და ზოგიერთზე 1500 კაცი თავსდებოდა.

ჯვაროსნები ასეთ გემებს ჯარისა და აღჭურვილობის გადასატანად ხშირად ქირაობდნენ. პალესტინისაკენ მგზავრობა დაახლოებით ერთი თვე გრძელდებოდა და ამ ხნის მანძილზე ადამიანებს უმძიმეს პირობებში უხდებოდათ ყოფნა. ნახევარი მეტრი სიგანისა და ორი მეტრი სიგრძის ბინძურ საწოლში ორ კაცს თავშექცევით ეძინა. მგზავრებს პურის მაგივრობას ქვასავით მაგარი, ძველი ორცხობილა უწევდა. ბაღლინჯოები ჩვეული მოვლენა იყო, რასაც თან მუდმივი ტენიანობა ემატებოდა.

გემები მძიმე სუნით იყო გაჟღენთილი, რომელსაც კვების პროდუქტების ნარჩენები, ექსკრემენტები, ზღვის ავადმყოფობით გამოწვეული ნარწყევი და ცხენის ნეხვი გამოყოფდა. გემებზე ცხენებისთვის სპეციალური საკიდები კეთდებოდა, ჩლიქებით გემბანთან შეხების საშუალება რომ არ ჰქონოდათ.

სავაჭრო გემები ცალკეულ პირს ან სავაჭრო კომპანიებს ეკუთვნოდა, რომელიც ტვირთის მფლობელს, კაპიტანს, თანაშემწეებსა და მატროსებს აერთიანებდა. მოგვიანებით მატროსებს კამპანიაში მონაწილეობა აეკრძალათ, მაგრამ საქონლის ნაწილს შემოსავლის მიღების მიზნით იღებდნენ. გემის დაღუპვის შემთხვევაში ეკიპაჟი უგასამრჯელოდ რჩებოდა.

სესხი, რომელიც ძველ დროში სავაჭრო საქმიანობისათვის არსებობდა, თანდათან გემისა და ტვირთის დაზღვევაზე შეთანხმებებმა შეცვალა. დაზღვევა საზღვაო კატასტროფას არ ეხებოდა.

ხომალდების მშენებლობასთან ერთად ვენეციაში გემთმშენებლობის ორგანიზებისა და მეცნიერულ საფუძველზე გადაყვანისათვის ბევრი რამ გაკეთდა. შეიქმნა პორტებისათვის აუცილებელი საპორტო მეურნეობები და არსენალები.

დიდი ზიანი მიაყენა ვერფებს 1569 წლის 12 სექტემბერში გაჩენილმა ხანძარმა. განადგურდა თითქმის ყველა ნაგებობა, აფეთქდა დენთის საწყობი და ბევრი გალერა დაიწვა.

ხომალდებისა და გემების ტევადობის ნორმირებისათვის აუცილებელი პირველი წესები ვენეციაში ჩამოყალიბდა. 1253 წლიდან ვენეციის საზღვაო წესების კრებულში გემების ბორტებზე სპეციალური სატვირთო მარკირებისათვის მთელი რიგი მოთხოვნები გაჩნდა.

დაიწყო გემების აზომვა და შემოწმება, წყალზედა ბორტის სიმაღლის განსაზღვრა გემის კლასის მიხედვით, გემის კონსტრუქციისა და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით ცურვის რაიონის დადგენა და ა.შ.. ამ წესებმა სრულყოფა ასეული წლის მანძილზე განიცადა და ნელ-ნელა სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა.

XIV საუკუნეში პირველად შემოვიდა კარანტინის ცნება, რაც შავი ჭირისაგან დაცვის ღონისძიებას ნიშნავდა. ადამიანები და ტვირთი 40 დღე იზოლაციაში იყო, რითაც ავადმყოფობის გავრცელების საშიშროება მცირდებოდა.

ვენეციურმა ხომალდებმა რამდენჯერმე შავ ზღვაში ილაშქრეს. ვენეცია-გენუის ომების დროს ვენეცია გენუის სავაჭრო კომუნიკაციების შავ ზღვაში გადაკეტვას შეეცადა და ამ მიზნით ესკადრა გამოგზავნა. 1295 წელს ვენეციელთა ხომალდები ყირიმში, ქალაქ კაფუს (ფეოდოსიას) მიადგნენ, დაწვეს გენუელთა ხომალდები და დაანგრიეს ქალაქი, მაგრამ მოპოვებულის შენარჩუნება ვერ შეძლეს.

1350 წელს ვენეციელთა ესკადრა 35 გალერით მარკო რუძინის სარდლობით ეგეოსის, მარმარილოსა და შავ ზღვებში კრეისერობდა. ბლოკადაში მოექცა ბოსფორის მისასვლელები და დაკავდა შავი ზღვიდან გამომავალი გენუელთა რამდენიმე სავაჭრო გემი. 1352 წლის დასაწყისში კი ტრაპიზონს დაესხნენ და გენუელთა გემები დაწვეს.

ვენეციელ დიდვაჭრებს ზღვაზე ბატონობის მნიშვნელობა არ ესმოდათ, უფრო მეტად მიმდინარე მომენტებიდან სარგებლის მიღება აინტერესებდათ. შეეძლოთ თავიანთი დახმარება გაეყიდათ ან მშვიდობა ყველაზე მიუღებელი პირობებითაც კი ეყიდათ. ამ დროს კი თურქები სულ ახალ-ახალ მიწებს იპყრობდნენ და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთში პოზიციას იმაგრებდნენ.

კონსტანტინოპოლის დაცემამ, დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა და სავაჭრო გზების ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტის ოკეანეში გადანაცვლებამ ვენეციის საზღვაო ძლიერებას წერტილი დაუსვა.

ადრიატიკის ზღვასთან ურღვევ კავშირს ვენეციელებმა ყოველწლიური სიმბოლიზებული ნიშნობის ცერემონიალი მიუძღვნეს, რომლის დასაწყისად 998 წელი ითვლება. რესპუბლიკის მეთაური დოჟი მდიდრული ორნამენტებით შემკული საპარადო გალერა „ბუცენტავრითა" და ნიჩბიანი ხომალდების თანხლებით ლაგუნაში გადიოდა, სადაც რიტუალური სიტყვების თანხლებით ზღვაში ოქროს ბეჭედს ისროდა.

ას წელიწადში ერთხელ ახალი „ბუცენტავრი" იგებოდა. ხომალდის სიგრძე 35,2 მეტრი და სიგანე 7,5 მეტრი იყო. 21 წყვილ ნიჩბს 168 მენიჩბე უსვამდა. ბოლო ხომალდი ნაპოლეონის ჯარისკაცებმა 1798 წელს გაანადგურეს.

მიმდინარე წლის დასაწყისში საფრანგეთის პრეზიდენტი სარკოზი ორიგინალური ინიციატივით გამოვიდა, — ნაპოლეონის არმიისგან ვენეციისათვის მიყენებული ზარალი საფრანგეთმა უნდა აანაზღაუროსო.

სარკოზის წინადადებამ ვენეციელ ენთუზიასტებს „ბუცენტავრის" აგების იმედი მისცა. ხომალდი, ალბათ, ისტორიულ ვერფზე „არსენალში" აიგება და, სავარაუდოდ, 20 მილიონი ევრო დაჯდება.

თემურ ჩაჩანიძე

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. დაპატიმრებული სამხედრო მოსამსახურეთა მოსათავსებელი შენობა; 6. სპორტის სახეობა; 7. პაკისტანის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი; 8. მაჰმადიანთა რელიგია; 11. ავსტრიული პისტოლეტი; 12. პირველი რუსი კოსმონავტი; 17. მინირესტორანი; 18. ფრანგული ნავსაწინაალმდეგო ტორპედო; 19. ბელგიური პისტოლეტი; 20. ლხინი, წვეულება; 23. ისრაელის სამხედრო-საზღვაო ფლოტის კატერი; 24. ამერიკული ავიაბაზა იტალიაში; 25. კურორტი რაჭაში; 27. რუსული პისტოლეტი; 28. ბრიტანული საბრძოლო შვეულმფრენი; 29. ძველი ბერძენი; 31. ტაილანდის სადესანტო ხომალდების ტიპი; 32. აშშ-ს სახმელეთო ჯარების ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსი; 33. დაცლილი ვაზნა.

**შვეულად:** 1. ბრიტანული ბომბდამშენი; 2. ქვეყანა ევროპაში; 3. ფეხბურთის მატჩის ნაწილი; 4. სამხედრო ხროვა; 5. ქვეყანა აზიაში; 9. უდაბნო აფრიკაში; 10. პირის ნაცვალსახელი; 12. სწრაფმავალი სამხედრო თვითმფრინავი, რომელიც განკუთვნილია მტრის თვითმფრინავებთან საბრძოლველად; 13. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 14. მშვილდით სატყორცნი; 15. დიდი სანთელი; 16. შვედური პისტოლეტი; 19. ესპანური რევოლვერი; 21. ორლულიანი თოფიდან ორი ერთდროული გასროლა; 22. სამხედრო წოდებულება გენერალს ზემოთ; 26. მეომარი ქვეყნის მიერ თავის ტერიტორიაზე შეპყრობა, ნეიტრალური ქვეყნის ტრანსპორტის საომრად გამოყენების მიზნით; 27. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 30. ამერიკული ფრეგატების ტიპი, რომლებიც დღეს შეიარაღებაში აქვს ეგვიპტის, საბერძნეთისა და ტაივანის სამხედრო-საზღვაო ძალებს.

---

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 1. მონდრაგონი; 6. რევანშიზმი; 7. სისე; 8. რეიგანი; 9. რეტოლასა; 14. ინდიგო; 16. კოროლა; 17. გალერა; 18. ამბოხი; 19. ინძაგი; 22. ქაოსი; 24. კი; 25. ფორტი; 27. ატილა 28. ინოგაკი; 29. ნიკე; 30. ბლოხინი; 31. მი; 32. ბატალიონი. **შვეულად:** 1. მორტირა; 2. ნეველი; 3. რენეგატი; 4. გეიტსი; 5. ნამუსი; 9. რეკოგნისცირება; 10. ოროველა; 11. ატამანი; 12. ფიოდოროვი; 13. კორკი; 15. ნავმაქია; 20. ძალოსნობა; 21. გარანდი; 23. ირა; 25. ფინდიხი; 26. ტრევისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# Kriss Super

# უცნაური, მაგრამ ევოლუციური

## ახალ შვეიცარიულ-ამერიკულ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს საიარაღო საქმეში გადატრიალების მოხდენა შეუძლია



მას შემდეგ, რაც ავტომატური ჯერებით მსროლელი იარაღი შექმნეს, გადაუჭრელ პრობლემად იქცა ავტომატურ რეჟიმში სროლის სიზუსტის დაცვა.

რაც უფრო დიდია იარაღის მასა, მით უფრო ადვილად შეიძლება განეიტრალდეს ავტომატური ცეცხლის წარმოებისას წარმოქმნილი უკუდარტყმების იმპულსი. მაგრამ გასაგები მიზეზების გამო კონსტრუქტორები ცდილობენ რაც შეიძლება შეამცირონ იარაღის მასა (რისთვისაც ათასნაირ პოლიმერულ მასალას იყენებენ).

ეს ტენდენცია თვალში საცემია პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებში. პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები შედარებით მცირე იმპულსის მქონე (ავტომატისა და მით უმეტეს, შაშხანის ვაზნებთან შედარებით) პისტოლეტის ვაზნებზეა გათვლილი. მიუხედავად ამისა, თუნდაც ერთ-ერთი საუკეთესო პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის – გერმანული MP5-ის ავტომატური ჯერით სროლისას მიზნისთვის ყველა ტყვიის ზუსტად მორტყმა საკმაოდ პრობლემატურია.

გასულ წელს აშშ-ის არმიის შეიარაღების საკვლევმა ცენტრმა (US Army ARDEC) დაიწყო უცნაური კონსტრუქციის უახლესი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის გამოცდა, რომელმაც საიარაღო საქმეში, შესაძლოა, გადატრიალება მოახდინოს.

ლაპარაკია შვეიცარიულ-ამერიკულ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ Kriss Super V-ზე, რომელიც პისტოლეტის ძლიერ ვაზნებზე .45ACP-ზეა (კალიბრი 11,43 მმ) გათვლილი. .45ACP ვაზნის ტყვიის მასა 12-15 გრამია (მოდიფიკაციების მიხედვით), საწყისი სიჩქარე 235-258 მ/წმ, ხოლო ენერგია 326-494 ჯოულს უტოლდება.

ამ ვაზნის ტყვიის მასა და ენერგია აღემატება MP5 პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებში გამოყენებული 9X19 მმ PAR ტიპის ვაზნების ტყვიის მასასა და ენერგიას და შესაბამისად, უფრო მეტი უკუდარტყმის იმპულსი აქვს.

აქედან გამომდინარე, ახალი Kriss Super-ი ლეგენდარულ MP5-ზე უფრო

ელექტრონული ბიბლიოთეკა

**ჩვენი დოსიე:** სერიული წარმოებისთვის განკუთვნილი Kriss Super-ი მჭიდისა და ვაზნების გარეშე დაახლოებით 2 კგ-ს იწონის. მას პისტოლეტ Glock 21-ის მჭიდი უყენდება, რომელშიც .45ACP ტიპის 13 ვაზნა თავსდება. თუმცა, მომავალში გათვლილია დოლის ფორმის მჭიდის დაყენება, რომელშიც 30 ცალი 11,43 მმ კალიბრის ვაზნა ჩაეტევა. გაშლილი კონდახით პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის სიგრძე 635 მმ-ია, დაკეცილით კი — 406 მმ. სროლის ტემპი 800-1100 გასროლაა წუთში, ხოლო სროლის ეფექტიანი მანძილი 100 მეტრს უტოლდება.



ნაკლები სროლის სიზუსტით უნდა გამოირჩეოდეს ავტომატური ჯერებით სროლისას, მაგრამ პრაქტიკამ საპირისპირო აჩვენა და აი, რატომ...

დღემდე არსებული ყველა სახის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევისგან და სხვა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებისგან განსხვავებით გასროლის შედეგად წარმოქმნილი უკუდარტყმის იმპულსი უკან კი არ ვრცელდება, არამედ ქვემოთ წარიმართება!

სიტყვებით ახსნაზე უკეთ ამის გაგება იმ ორი ნახაზით შეიძლება, რომელიც

გასროლის შემდეგ წარმოქმნილი უკუდარტყმის იმპულსი უკან უბიძგებს მსუბუქ საკეტს, რომლის მოძრაობა თავდაპირველად ოდნავ შენელდება, რადგან სპეციალური ბალანსორი ჯერ უკან და შემდეგ ქვევით მისრიალებს (გადადის კუთხეს), უკუდარტყმის იმპულსის მთლიანი განეიტრალება კი ქვემოთ, იარაღის ძირში ხდება.



სტატიაში გვაქვს მოყვანილი.

გარდა ამ მართლაც რომ რევოლუციური გადაწყვეტილებისა, Kriss Super-ში გამოყენებულია კიდევ ერთი მომგებიანი ტექნიკური გადაწყვეტილება — იარაღის პისტოლეტის ხელმოსაკიდი ატანილია ლულის წრფის მაღლა, რაც ასევე აუმჯობესებს სროლის სიზუსტეს. პირველად ეს ტექნიკური გადაწყვეტილება — პისტოლეტის ხელისმოსაკიდის ლულის წრფის ზემოთ განთავსება — გამოყენებულ იქნა საბჭოთა სპორტულ მცირეკალიბრიან პისტოლეტ МЦ-3-ში. მას შემდეგ, რაც საბჭოთა მსროლელებმა ამ პისტოლეტით რამდენიმე შეჯიბრებაზე გამარჯვება მოიპოვეს, სხვა ქვეყნების მსროლელებმა კატეგორიული პროტესტი გამოთქვეს და ეს პისტოლეტი შემდგომი შეჯიბრებებიდან მოხსნეს.

მართალია, Kriss Super-ი არ გამოირჩევა ლამაზი დიზაინით, კონსტრუქციისა და ფორმის დახვეწის შემდეგ მას დიდი მომავალი ელოდება.

*ირაკლი ალადაშვილი*



ISSN 1987-5061